



ბულგარიათის
ქალთა
ფონდი

იპითხევ სტრიქონებს შორის

შავი ზღვის რეგიონში ქალთა და ადამიანის უფლებადამცველ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ქვიარ კოლექტურებისა და აქტივისტების გამოცდილების დოკუმენტირება
მიმდინარე კრიზისებისგან გამოწვეული სირთულეების ფონზე, რომელთა შორისაა
COVID-19-ის (პოსტ) პანდემიის შედეგები და რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ



B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

ფონდი ტასო
Taso Foundation

UKRAINIAN
WOMEN'S
FUND

ვალია ფონდის სამსახური
WOMEN'S FUND IN GEORGIA

სარჩევი

პროექტის შესახებ 3

გთოდოლობი 4

ძირითადი მიზნები და რეკომენდაციები 5

4.1 შესავალი 7

იპითხა სტრიქონებს შორის: უპრაინდი 7

4.2 ამოცანები 8

4.3 მეთოდოლოგია 9

4.4 ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების ზოგადი
გამოცდილება. ორგანიზაციის სტატუსი და მდგომარეობა
ფართომასშტაბიანი ომის დაწყებისას 9

4.5 ძირითადი გამომწვევი მიზეზები და ბარიერები ქალთა
ორგანიზაციების დაყყოვნებებითი რეაგირებისთვის 11

4.6 ურთიერთობა სამიზნე ჯგუფებთან. მიზნობრივი ჯგუფების
საჭიროებების დაკამაყოფილება 12

4.7 ურთიერთობა მთავრობასთან და ადგილობრივ
ხელისუფლებასთან 13

4.8 ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან,
დონორებთან 15

4.9 ორგანიზაციის ზოგადი ზოგადი სულისპილობა და
გადაწვასთან (BURNOUT) გამკლავების გვები 17

4.10 ძირითადი მიზნები 17

4.11 ძირითადი რეკომენდაციები 19

4.11.1 უპრაინდი ქალთა უფლებადამცველი
ორგანიზაციებისთვის 19

4.11.2 დონორებისთვის, მათ შორის გაეროს სააგენტოებისთვის,
სხვა საერთაშორისო მთავრობათაშორისი
ორგანიზაციებისთვის, საერთაშორისო არასამთავრობო
ორგანიზაციებისთვის და ორმხრივი დონორებისთვის 20

იპითხა სტრიქონებს შორის: საერთოებო 22

5.1 შესავალი 22

5.2 მეთოდოლოგია 24

5.3 პონტექსტი - როგორ მოვალით აქამდე? 25

5.4 სიცრცეების შექმნა და აქტივიზაცია 28

5.5 የወጪ አገልግሎት አስተዳደር እና ተቋማ የሚያስፈልግ ይችላል	29
5.6 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	32
5.7 የወጪ አገልግሎት አስተዳደር እና ተቋማ የሚያስፈልግ ይችላል	33
5.8 ማመልከት የሚያስፈልግ ይችላል	35
5.9 የወጪ አገልግሎት አስተዳደር እና ተቋማ የሚያስፈልግ ይችላል	37

በጀትዎን ሁኔታውን ምክንያት የሚያስፈልግ ይችላል 39

5.1 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	39
5.2 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	39
5.3 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	41
5.4 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	42
5.5 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	43
5.6 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	44
5.7 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	45
5.8 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	46
5.9 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	47
5.10 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	48
5.11 የወጪ አገልግሎት አስተዳደር	49
እጋል በመስጠት የሚያስፈልግ ይችላል	51

1

პროექტის შესახებ

პროექტი „იკითხე სტრიქონებს შორის: (პოსტ) პანდემიური ეკონომიკური გავლენა ქალთა უფლებადაცვით ორგანიზაციებზე ბუღარეთში, საქართველოსა და უკრაინაში“ იკვლევს და აღწერს შავი ზღვის რეგიონში თანადროულად არსებული კრიზისებიდან წარმოშობილ მრავალ სირთულეს, რომელიც დაკავშირებულია (პოსტ) პანდემიურ ეკონომიკურ შედეგებსა და ასევე, ახალწარმოშობილ საგანგებო მდგომარეობასთან – რუსეთის შეჭრასთან უკრაინაში. ის აკვირდება ფემინისტური და ადამიანის უფლებადამცველი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (სსო) და აქტივისტების გამოცდილებას, რათა სამოქალაქო სექტორში ციფრების მიღმა არსებული დინამიკის რეალური სურათი წარმოაჩინოს.

ათი თვის განმავლობაში (2022 წლის მარტი-დეკემბერი) მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა ჩაატარა **63** ინტერვიუ სამოქალაქო სექტორის **67** წარმომადგენელთან აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, ბელორუსიდან, ბუღარეთიდან, საქართველოდან და უკრაინიდან. მათ გააანალიზეს კრიზისებთან დაკავშირებული რეაგირებისა და მდგრადობის მოდელები და ასევე, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გავლენა და სარგებელი ქალთა და ქვიარ თემთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიმართულებით. სამი კვლევითი ნაშრომისგან შემდგარი წინამდებარე კრებული ასახავს პრობლემებს, განსაზღვრავს საჭიროებებსა და სასარგებლო პრაქტიკებს და ამასთანავე, იძლევა რეკომენდაციებს სამოქალაქო სე-

ქტორის მხარდაჭერისა და მოწყვლადი ჯგუფების დაცვის პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული კრებული დამხმარე ინსტრუმენტია რეგიონის საერთო სურათის აღსაქმელად, თუმცა, ამასთანავე, იძლევა ადგილობრივი პრობლემების ბუნების გაგების საშუალებასაც. ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული მიდგომები იყენებენ ქვევიდან ზევით მიმართულ მეთოდოლოგიას, რომელიც აძლიერებს ქალებისა და მარგინალიზებული ჯგუფების ხმას სამოქალაქო საზოგადოებაში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ის გვთავაზობს სტრუქტურული ჩარევებისა და ინსტიტუციური ზეწოლის კონცეფციებს.

პროექტი ასევე აძლიერებს რეგიონულ თანამშრომლობას ოთხ ქალთა ფონდის შორის, რომლებიც პარტნიორთა გაერთანებას ქმნიან, ესენია: ქალთა ფონდი ბუღარეთში, ქალთა ფონდი უკრაინაში, ქალთა ფონდი საქართველოში, ფონდი „ტასო“ (საქართველო) და მათი გრანტების მიმღები პარტნიორები, რომლებიც დაფუძნებულები არიან ბუღარეთში, უკრაინასა და საქართველოში. მსგავსი თანამშრომლობა შესაძლებელი ხდება რეგიონის შესახებ ცოდნის გამდიდრებითა და საერთო ისტორიისა და ხმის შექმნით. თანამშრომლობის მიზანია ხელი შეუწყოს და დაიცვას დემოკრატიული და ევროპული ღირებულებები და უზრუნველყოს იმ ორგანიზაციებისა და მოძრაობების მდგრადობა, რომლებიც მარგინალიზებულ თემებს ემსახურებიან და სახელმწიფოთა პოლიტიკის მარეგულირებელ მექანიზმებად გვევლინებიან.

2

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია შთაგონებულია ზეპირსიტყვიერი ისტორიით, რომელიც წარმოადგენს პირველადი, ისტორიულად საინტერესო ინფორმაციის – პირველადი წყაროს მასალის – წარმოშობისა და პირადი მოგონებებისა და გამოცდილებების გზით შენარჩუნების ტექნიკას, წინასწარ დაგეგმილი და ჩაწერილი ინტერვიუების მეშვეობით! ინტერვიუს ეს მეთოდი გამოიყენება იმ ადამიანთა ხმების, მოგონებებისა და პერსპექტივების შესანარჩუნებლად, რომლებიც ოფიციალურ ისტორიულ/პოლიტიკურ ნარატივებს მიღმა არიან. იგი იყენებს ქვევიდან ზევით მიმართულ მიდგომებს, რომლებიც აძლიერებენ იმ ქალთა და მარგინალიზებულ ჯგუფთა ხმებს, რომლებსაც უშუალოდ მიემართებათ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის შედეგები. ეს მოიცავს სიღრმისეულ ინტერვიუებს, მონაცემთა შეგროვებას და დოკუმენტურ ისტორიებს ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების, ქვიარ მოძრაობების წარმომადგენლებთან და აქტივისტებთან ბულგარეთიდან, საქართველოდან და უკრაინიდან. ინტერვიუები ეფუძნებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებულ მითითებებს. ის მოიცავდა კითხვებს, რომლებიც ეხებოდა კვლევის თემებს, დაწყებული 2022 წელს რესპონდენტთა საერთო გამოცდილებიდან, დამთავრებული რეკომენდაციებითა და ძირითადი მიგნებებით.

ეგიებისა და არსებულ სიტუაციაზე რეაგირების შესახებ. შედეგად, მსგავსი მეთოდოლოგია იძლევა გინდერულად მგრძნობიარე პერსპექტივების პოპულარიზაციის საშუალებას და ხელს უწყობს იმ მარგინალიზებული და „გრასრუტ“ ჯგუფების ჩართულობას და მნიშვნელობას, რომლებიც სოციალური და პოლიტიკური დღის წესრიგის პერიფერიაზე იმყოფებიან.

კვლევის მიზნების განსახორციელებლად, ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების, ქვიარ მოძრაობების წარმომადგენლებთან და აქტივისტებთან ბულგარეთიდან, საქართველოდან და უკრაინიდან. ინტერვიუები ეფუძნებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებულ მითითებებს. ის მოიცავდა კითხვებს, რომლებიც ეხებოდა კვლევის თემებს, დაწყებული 2022 წელს რესპონდენტთა საერთო გამოცდილებიდან, დამთავრებული რეკომენდაციებითა და ძირითადი მიგნებებით.

¹ Smithsonian Institution Archives, <https://siarchives.si.edu/blog/introduction-oral-history#:~:text=Oral%20history%20is%20a%20technique,perspectives%20of%20people%20in%20history>.

3

ძირითადი მიზნები და რეკომენდაციები

„დღევანდელი ვითარება საშუალებას იძლევა განვიხილოთ, თუ როგორ მიემართებიან შავი ზღვის რეგიონის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები პოლიტიკის შემქმნელებსა და დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით კი, იმის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლება განვავითაროთ ჩარჩოები არაინსტიტუციური ინვაციების ხელშეწყობისთვის ეროვნულ და რეგიონულ დონეზე.“

ის, თუ როგორ უმკლავდებიან დღესდღეობით უკრაინის, ბულგარეთისა და საქართველოს ქალთა და ადამიანის უფლებადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ქვიარ კოლექტივები და აქტივისტები რუსეთის ომის შედეგებს უკრაინის წინააღმდეგ, უმტკესწილად შეუძლებელია შევადაროთ ერთმანეთს. უკრაინაში ორგანიზაციები მუშაობი ფიზიკური საფრთხოების, გადაწვისა (burnout) და ადამიანური და ფინანსური რესურსების სიმცირის პირობებში მუშაობენ. საქართველოსა და ბულგარეთში სამოქალაქო სექტორი ხელისუფლების თავდასხმებისა და მედიის გაუსრუების ფონზე მუშაობს. გარდა ამისა, ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართული იყვნენ სამშვიდობო და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცესებსა და მიგრანტთა ნაკადებთან გამკლავებაში, თუმცა მათი გამოცდილება და ცოდნა გათვალისწინებული არ ყოფილა. COVID-19-ის პანდემიის შედეგად კიდევ უფრო ღრმად გამყარებულმა გენდერულმა უთანასწორობამ და ქალთა უფლებების დღის წესრიგში დაყენების წინააღმდეგ გამოწვეულმა რეაქციამ სიტუაცია კიდევ უფრო გააუარესა.

მიუხედავად არსებული საფრთხეებისა, კრიზისებმა აშკარად პოვა გარკვეული დადებითი გამოხმაურებაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან და მათ მიმართ. ამის მაგალითად გამოდგება სოლიდარობისა და მხარდაჭერის ტალღა; ახალი აქტორების გამოჩენა, როგორებიც არიან მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც კრიზისების საპასუხოდ მობილიზდნენ და მოითხოვდნენ ანგარიშვალდებულებასა და თანაბარ ჩართულობას; სხვადასხვა ფორმის პროტესტები ომისა და მიგრანტების საჭიროებებზე მთავრობების თანმიმდევრული გეგმების

არარსებობის წინააღმდეგ. ეს პროცესები ძირითადად გამომდინარეობს ევროპული სამოქალაქო საზოგადოებისადმი კუთვნილების პრინციპის მომწიფების პროცესიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა ახლა აქვთ უნიკალური შანსი გააძლიერონ თავიანთი სათქმელი და აჩვენონ, რომ მათ შეუძლიათ უფრო თანმიმდევრული, სექტორთაშორისი და ურთიერთდაკავშირებული საქმიანობა, რათა შავი ზღვის რეგიონში გაუარესებულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მწვავე პრობლემის მოგვარებას შეუწყონ ხელი.

დღევანდელი ვითარება საშუალებას იძლევა განვიხილოთ, თუ როგორ მიემართებიან შავი ზღვის რეგიონის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები პოლიტიკის შემქმნელებსა და დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით კი, იმის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლება განვავითაროთ ჩარჩოები არაინსტიტუციური ინიციაციების ხელშეწყობისთვის ეროვნულ და რეგიონულ დონეზე.

შემდეგი რეკომენდაციები, სხვადასხვა ხარისხით, შეესაბამება სამივე აღნიშნულ ქვეყანას, და ასევე, ხაგას-მულია ასეთი მხარდაჭერის გადაუდებლობა უკრაინის შემთხვევაში. ქვეყნებთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ ყოველი თავის ბოლოს.

დაინტერესებული მხარეებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების, საერთაშორისო დონორებისა და დამფინანშებელი ინსტიტუტების მიმართ:

- გადახედილ იქნას ერთჯერადი დაფინანსების მოდელი, რომელიც მიბმულია ჰუმანიტარული კრიზისების გაჩენისათან. შემუშავებულ იქნას ძირითადი დაფინანსების მოდელი, რომელიც იძლევა მოქნილობის საშუალებას საბიუჯეტო ხარჯებში და ასევე ფარავს ადმინისტრაციულ და საზედნადებო ხარჯებსაც. მოქნილი დაფინანსება არის ორგანიზაციის მდგრადობის წინაპირობა და შესაძლებლობა, სტრატეგიულად დაგეგმოს რესურსების განაწილება ნებისმიერი მომავალი საგანგებო სიტუაციისთვის.

- დაინერგოს აპლიკაციებისა და ანგარიშების მიგრარი სისტემები, რომლებიც არ იქნება შორმატევადი და საშუალებას მისაცმის ორგანიზაციებს უკეთ ფოკუსირდნენ და მოემსახურონ სამიზნე ჯგუფებს.
- რეგიონში ქალთა ეროვნული ფონდების მხარდაჭერის გაძლიერება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსებით. ქალთა ფონდების ადგილი ფემინისტურ და ადამიანის უფლებათა ფილანტროპიულ ეკოსისტემაში უნიკალურია, რადგან ისინი ერთგვარი ხიდის მშენებლები არიან, რომლებიც აქტივისტთა და უფლებადამცველთა მოძრაობებთან ერთად მუშაობენ და ყველაზე კარგად იცავ, თუ სად უნდა ჩაიდოს რესურსები მდგრადობის მისაღწევად. ისინი ხაზე არიან და მხარს უჭრენ რეგიონებში არსებულ არაერთ ნაკლებად ძლიერ ორგანიზაციას, რომელიც კრიზისის დროს ფრონტის წინა ხაზზეა, თუმცა არ აქვს შესაძლებლობა მიმართოს შსხვილ ორგანიზაციებს საერთაშორისო დაფინანსებისთვის.
- მუშაობა მედიასთან, რათა წახალისებულ იქნას ადამიანის უფლებათა სექტორის კრიტიკული როლი რეაგირებისა და პრევენციის მცდელობებში ეროვნულ/რეგიონულ დონეზე, დეზინფორმაციასთან და ფუნდამენტალისტური დამოკიდებულებების გავრცელებასთან დაპირისპირება.
- ინვესტიციების მიმართვა ცნობიერების ამაღლების კამპანიებსა და ორგანიზაციების მიერ მონაცემების შეგროვებაში ფემინისტურ და გენდერულად მგრძნობიარე თემებზე რეგიონის მასშტაბით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უკრაინაში რუსეთის ომისა და პოსტ-COVID-19 სიტუაციის პირობებში ქალთა უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები გაიზარდა. წინა პლანზე იქნას წამოწეული შეიარაღებული კონფლიქტისა და იძულებით გადაადგილების გენდერული ასპექტები და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის არარსებობა.
- გამოიყოს დაფინანსება ემოციური და ფიზიკური კეთილდღეობისთვის, საკუთარი თავისა და კოლექტური ზრუნვისთვის, გადაწვის (ხარისული) პრევენციისთვის იმ აქტივისტთათვის, რომლებიც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის შედეგებთან გამკლავების საქმეში ფრონტის წინა ხაზზე არიან.
- შემუშავდეს ქვევიდან ზევით მიმართული ქმედებების წახალისებისა და მხარდაჭერის მექანიზმები (მაგ. საზოგადოების ორგანიზება და მობილიზება), რომლებიც უზრუნველყოფენ მდგრადობას და ორგანიზების საშუალებას ფორმალიზების გარეშე. ამინათვებს დაინტერესებულმა მხარეებმა საჭიროა გააწინიშეობის რომ სამოქალაქო საზოგადოება სულ უფრო მეტად არასტრუქტურირებული და მოძრავია და ამასთანავე, ხშირად მიზანმიმართულად არ არის დაკავშირებული რაიმე ინსტიტუციურ ჩარჩოსთან.
- შეინარჩუნეთ და აქტიური მონაწილეობა მიიღეთ მთავრობასა და სამოქალაქო სექტორის შორის დიალოგში, რათა უკეთესი შრომა გასწიონ არსებული კრიზისების მოსაგვარებლად. ეს მოიგავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დაკავშირებას და მათ ჩართვას სხვადასხვა პოლიტიკისა და ეროვნული სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. სსო-ების მიმართ, რომლებიც მუშაობენ მოწყვლადი ჯგუფების ხელშეწყობასა და დაცვის:
- შექმენით და განაგითარეთ ლობირებისა და ადგომატირების პრაქტიკები, რომლებიც დაფუძნებული იქნება პოლისტურ და ურთიერთდაკავშირებულ მიდგომებზე, რაც გულისხმობს გაუმჯობესებულ ორგანიზაციულ კომუნიკაციას, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისა და სხვადასხვა რეგიონის გადაწყვეტილების მიმღებთა ჩართულობას, რათა უზრუნველყოფილ იყოს ლტოლებილთა კანონმდებლობის, პოლიტიკის სამართლებრივი ჩარჩოს მონიტორინგი, კონტროლი და სანქციონება; მთავარ მიზნად უნდა ჩაითვალოს სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც დაფუძნებული იქნება ომის შედეგად დაზარალებული ადამიანების რეალურ საჭიროებებზე.
- პრიორიტეტი მიენიჭოს ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და მოწყვლადი ჯგუფების როლისა და მონაწილეობის შესახებ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერული ანალიზი, რაც გავლენას იქონიებს მთავრობის ინფორმირებულობასა და საპასუხო ქმედებებზე.
- შესწავლით უნდა იქნას რეგიონთაშორისი სამომაცლო თანამშრომლობა, აუცილებელია აქტივისტების ქსელების ხელშეწყობა და უფრო მარგინალური და ახლადდაარსებულიერების/ქვიარორგანიზაციებისა და ინიციატივების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; უნდა დაიგეგმოს სტრატეგიული ლონისძიებები, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ჯგუფების ძირითად საჭიროებებზე და სამომაცლო სარგებელს ყველა ჩართულ მხარეს მოუტანს.
- ფემინისტური მასალების, ხელსაწყოების ნაგრებებისა და რესურსების შემუშავებასა და გავრცელებაში ჩართვა იმ შესაძლო ქმედებათა ანალიზისთვის, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ქალთა და ადამიანის უფლებადამცველი იმ სსო-ების რისკის შესამცირებლად, რომლებიც ახორციელებენ საველე სამუშაოებს და შთააგონებენ ახალ აქტივისტებს შეუერთდნენ ქალთა უფლებების დამცველ მოძრაობებს.
- სხვადასხვა სახის ძალისხმევის გაღება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფილანტროპიაზე გავლენის მოსახდენად; მეტი და უკეთესი, მრავალშლაინი მოქნილი ძირეული მხარდაჭერის ადვოკატირება.

4

იკითხებ სტრიქონებს შორის: უკრაინა

4.1 შესავალი

2022 წლის 24 თებერვლიდან რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ უკრაინაში მასიური პუმანიტარული კრიზისი გამოიწვია საჭიროებებს მოკლებული მილიონობით ადამიანით. მათ შორის არიან ისინი, ვინც საზღვრებს გარეთ გაიცენენ და მრავალი სხვაც, რომელიც ქვეყნის შიგნით გადაადგილდება ან ვერ ახერხებს ალყაში მოქცეული ქალაქებიდან თუ სოფლებიდან თავის დაღწევას. 2022 წლის ბოლოსთვის 6,5 მილიონზე მეტი ადამიანი იძულებით გადაადგილდულია, ხოლო 7,8 მილიონზე მეტი ლტოლვილი უკრაინიდან ევროპის ქვეყნებში გაიქცა.

უკრაინიდან გაქცეულთა უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან. **4,3** მილიონზე მეტი უკრაინელი ლტოლვილი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დროებითი მფარველობის ან მსგავსი ეროვნული დაცვის სქემებში დარეგისტრირდა¹.

ბოლო თვეების განმავლობაში, პუმანიტარული მდგომარეობა, რომელიც ისედაც მძიმე იყო, ზამთრის დადგომასთან და რუსი სამხედროების მიერ კრიტიკული ინფრასტრუქტურის მიზანმიმართულ და სისტემატურ განადგურებასთან ერთად, კიდევ უფრო გაუარესდა. აღნიშვნის ღირსას უკრაინის მთავრობის მოწოდება² მათთვის, ვინც ქვეყნა დატოვა, არ დაბრუნდნენ ქვეყანაში ზამთრის დასრულებამდე. ბოლო დროს ასევე გაკეთდა საჭარო განცხადები კიევის შესაძლო ევაგუაციის აუცილებლობის შესახებ, მისი ენერგეტიკული და წყლის ინფრასტრუქტურის განადგურების გამო. უკრაინის მთავრობა აცხადებს, რომ ბოლო მასშტაბური სარაკეტო თავდასხმების შემდეგ³ ქვეყანამ ენერგიის გამომუშავების 50% დაკარგა.

19 ნოემბრის DTEK-ის (უკრაინის მთავარი ენერგეტიკული კომპანიის) აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა⁴, რომ უკრაინელებმა უნდა განიხილონ ქვეყნის დატოვება მინიმუმ 3-4 თვით, რათა დაემარონ ენერგიის დაზოგვას.

¹ Ukraine Situation Flash Update #33 (21 October 2022)

² <https://www.kyivpost.com/ukraine-politics/ukrainian-refugees-should-not-return-in-winter-deputy-prime-minister.html>

³ <https://ukranews.com/en/news/896078-almost-50-of-ukraine-s-power-system-disabled-by-russian-missiles-shmyhal>

⁴ <https://www.epravda.com.ua/news/2022/11/19/694029/>

ინფრასტრუქტურაზე თავდასხმების გაგრძელებით, სიტუაცია, საგარაუდოდ, კიდევ უფრო გაუარესდება.

უკრაინის კრიზისმა მხარდაჭერისა და სოლიდარობის განსაკუთრებული ტალღა გამოიწვია. მეზობელი ქვეყნების მთავრობები სწრაფად მობილიზდნენ, ისევე როგორც ამ ქვეყნების ადგილობრივი თემები. სხვა კონფლიქტების შედეგად არსებული ლტოლვილებისადმი მიდგომისგან განსხვავებით, ევროკავშირის ქვეყნებმა სწრაფად უზრუნველყოს უკრაინელები დროებითი უსაფრთხოებითა და სამუშაოსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობით. გაეროს ჰუმანიტარული დახმარება უკრაინისადმი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გულუხვად დაფინანსებული⁵ პროექტი. ევროპის ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ასევე საჭარო მოწოდებებსაც.

არანაკლებია სოლიდარობა უკრაინელ ხალხს შორის. სრულმასშტაბიანი ომის დაწყებისთანავე, თემებმა, ინდივიდებმა, ხელისუფლებამ, ადამიანის უფლებათა და ქალთა უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა თუ ბიზნეს-მა დაზარალებული ადამიანების მიმართ უპრეცედენტო მხარდაჭერა აჩვენა. თუმცა, დაანტერესებული მხარეების უმრავლესობის მიმდინარე აქტივობები უფრო რეაქტულია – ვიდრე პროაქტული ან ტრანსფორმაციული. ეს, არსებული, მუდამ მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით, საკმაოდ გასაგებიცაა. მიუხედავად ამისა, ეს ბოლო ათწლეულის განვალობაში ქალთა უფლებების დღის წესრიგში მიღწეული პროგრესის დაკარგვის რისკა ქმნის, ისევე როგორც უკრაინაში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და ომის შემდგომი აღდგენის პროცესებში ქალთა ნიჭის, თავდადების, პროფესიონალიზმისა და სამეწარმეო უნარების გამორიცხვის რისკსაც.

რუსეთის სრულმასშტაბინი შეჭრამდე, უკრაინელ ქალებს ჰქონდათ გარკვეული მიღწევები უფლებათა და გენდერული თანასწორობის განვითარების კუთხით. ამავდროულად, არსებობდა ძლიერი სამოქალაქი საზოგადოება, მათ შორის ქალებისა და უმცირესობების ხელმძღვანელობით მოქმედი ორგანიზაციები. COVID-19-ის პანდემიის დროს, ამ მიღწევებს დაუპირისპირდა ღრმად ფესვგადგ-

⁵ https://cdn.odi.org/media/documents/Navigating_Ukrainian_dilemmas_in_the_Ukraine_crisis.pdf

მული გენდერული დისკრიმინაცია (რომელიც არაპროპორციულად აისახება ქალების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე), ცხრა წლის განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციის კომპლექსური ეფექტი, მათ შორის იძულებით გადაადგილება და პანდემიის პერიოდში ქალთა მიმართ ძალადობის მზარდი მაჩვენებლები. მანამდე არსებული გენდერული და ინტერსექციური უთანასწორობა კრიზისის დროს, როგორც წესი, უარესდება და ნებისმიერი მიღწევა მიმდინარე ომის ნეგატიური გავლენის ქვეშ ექცევა.

უკრაინაში ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციები ქალების უფლებებისა და გენდერული ტრანსფორმაციების აქტიური დამცველები იყვნენ. თუმცა, 2022 წლის თებერვლიდან, მკვეთრად დაძაბული გახდა გარემო ასევე ქალთა ორგანიზაციებისთვის, ქალი აქტივისტებისა და ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებისთვის. კერძოდ:

- 1) პირველსაცე თვეებში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა სწრაფად მიაღწიეს გადაწყვის (**burnout**) დონეს და ძლიერ დააკლდათ ფინანსური რესურსები, ვინაიდან ისინი **24/7**-ზე მუშაობდნენ, რათა დახმარება გაეწიათ ომის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის. საბოლოოდ ისინი ამგვარი ტვირთის სიმძიმეს მიეჩივნენ, მაგრამ პუმანიტარული დახმარება ისევ ძირითადად უკრაინული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მოხალისების მიერ გაიცემოდა, თუმცა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და ორმხრივი დონორები ფინანსურად უჭერდნენ მხარს.
- 2) აქედან გამომდინარე, ჩვენ წინაშე ქალთა დღის წერიგის წინააღმდეგ ხალხის გარკვეული ჰარუფის ნეგატიური საპასუხო რეაქცია – ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების, მთავრობისა და განვითარების საერთაშორისო პარტნიორების სტრატეგიული გენდერული ტრანსფორმაციული საქმიანობის შეჩერება.
- 3) უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები გარკვეულ პუმანიტარულ და კონფლიქტთან დაკავშირებულ სექსუალურ ძალადობასთან (CRSV) მიმართებით პროცესების კოორდინაციაში არიან ჩართულნი, ისინი ძირითადად მაინც არ წარმოადგენენ სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ნაწილს, თუნდაც საზოგადოებრივ დონეზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნულ დონეზე დისკუსიებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.
- 4) მთავრობასა და ქალთა უფლებადამცველ ორგანიზაციებს შორის ძალისხმევის ქვეობტიმალური გადანაწილება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებასა და პუმანიტარულ აღდგენასთან დაკავშირებულ ძალისხმევას აძლიერებს. ეს თანდათან იხვეწება ეროვნულ დონეზე, თუმცა გამოწვევად რჩება რეგიონულ და სათემო დონეზე.

ეს გარემო უზარმაზარ გამოწვევას წარმოადგენს უკრაინული ორგანიზაციებისთვის – გამოწვევას, რომელმაც შესაძლოა ან შეასუსტოს ან გაძლიერების საშუალება მისცემა მათ. ამ უკანასკნელის განხორციელებისთვის, საჭიროა ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების შემდგომი მხარდაჭერა საერთაშორისო კოორდინაციისა და რესურსების მეშვეობით, რათა გააგრძელონ თავიანთი საქმე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების მხარდასაჭერად და უკრაინაში ქალთა უფლებებისა და გენდერული ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მიზნით.

4.2 ამოცანები

ამგვარ მუდმივად ცვალებად და განვითარებად ვითარებაში, ბულგარეთის ქალთა ფონდმა უკრაინის ქალთა ფონდთან (UWF), ქალთა ფონდთან საქართველოში და ფონდ „ტასოსთან“ ერთად კრიზისის გადალახვის პოტენციური გზების გასაგებად შეიმუშავა შედარებითი კვლევითი პროექტი. პროექტი მიზნად ისახავს გააანალიზოს, თუ როგორ ადაპტირდებიან ქალთა და ადამიანის უფლებადამცველი სსო-ები, როგორ რეაგირებენ რთულ, გადაუდებელ სიტუაციებში და როგორ იმოქმედა გასული წლების განმავლობაში პუმანიტარულ საქმიანობაზე გადართვამ მთა გრძელვადიან მდგრად და სტრატეგიულ განვითარებაზე.

პკლევის ფარგლებში სამ ქვეყანას შორის (ბულგარეთი, საქართველო, უკრაინა) თანმიმდევრულობის მიზნით, ეს ანგარიში მოიცავს შემდეგ თემებს:

- 1) ქალთა უფლებადაცვითი ორგანიზაციების ზოგადი გამოცდილება **2022 წელს**.
 - 2) ორგანიზაციის სტატუსი და მდგომარეობა ფართო-მასშტაბიანი რომის დაწყებისას.
 - 3) ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების დაუყოვნებლივი რეაგირების გამოწვევი მიზეზები და ბარიერები.
 - 4) ურთიერთობა სამიზნე კგუფებთან. მიზნობრივი კგუფების საჭიროების დაკმაყოფილება.
 - 5) ურთიერთობა მთავრობასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან.
 - 6) ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან.
 - 7) ორგანიზაციის ზოგადი სულისკვეთება და გადაწყვეტა-თან (**burnout**) გამკლავების გზები.
 - 8) რეკომენდაციები უკრაინული ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის.
- მოსალოდნელია, რომ ამ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები დაეხმარება:
- სამი ქალთა ფონდის პროგრამული საქმიანობის

წარმართვას მათ ქვეყნებში ომის შედეგების საპასუხოდ, კონკურენცული უპირატესობების, ინსტიტუციური გამოცდილებისა და ქსელების საფუძველზე;

- მომავალი პროგრამებისა და პროექტებისთვის სახსრების მოზიდვისთვის საჭირო აქტივობების შესახებ ინფორმირებულობას;
- პარტნიორობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რაც დაეხმარება ფონდებს, დაცვან და გააძლიერონ ქალთა უფლებები ბულგარეთში, საქართველოსა და უკრაინაში ომის, იძულებით გადაადგილებისა და აღდგენის კონტექსტში.

4.3 მეთოდოლოგია

2022 წლის სექტემბერ-დეკემბერში უკრაინაში ქალთა უფლებების დამცველი 23 ორგანიზაცია (WROs) გამოიკითხა, რომლებიც უკრაინის სხვადასხვა რეგიონს (დასავლეთი, აღმოსავლეთი, ცენტრალური, სამხრეთი) წარმოადგენდა. უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებიდან ორგანიზაციების უმეტესობა ქვეყნის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, უფრო უსაფრთხო რეგიონებში, გადავიდა. ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების სამი წარმომადგენლი საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადავიდა, მაგრამ მათი ორგანიზაციები მუშაობას უკრაინაში აგრძელებენ. თუმცა, არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თანამშრომლების თუ რა პროცენტს წარმოადგენს 2022 წლის თებერვლის შემდეგ რეალურად საზღვარგარეთ გადასულთა რიცხვი, რომელთა ორგანიზაციებმაც საქმიანობა შეწყვიტეს. აქედან გამომდინარე, 3:20 თანაფარდობა არ არის წარმომადგენლობითი უკრაინული ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების მთელი ჰგუფისთვის უკრაინაში დარჩენისა თუ წასვლის თვალსაზრისით.

კვლევის უკრაინის ნაწილისთვის ასევე ჩატარდა მეორად მონაცემთა ანალიზი, მათ შორის გამოყენებულ იქნა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პუბლიკაციები: სწრაფი შეფასება: უკრაინის ომის გავლენა ქალთა სამოქალაქო სამოგადოებრივ ორგანიზაციებზე (2022 წლის აპრილი) და უკრაინის სწრაფი გენდერული ანალიზი (2022 წლის მაისი), ასევე UWF-ს მიერ ჩატარებული კვლევები უკრაინაში ქალთა მოძრაობის წინსვლის სტრატეგიის გაუმჯობესებისთვის (2020, 2022 წლი). და სხვა.

4.4 ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების გოგადი გამოცდილება. ორგანიზაციის სტატუსი და გადამომართვა ფართომასშტაბიანი ომის დაცვისას

უკრაინული ქალთა უფლებადამცველი პირველი ორგანიზაციები (WROs) 1990-იანი წლების დასაწყისში დაარსდა, მალევე მას შემდეგ, რაც უკრაინამ დამოუკიდებლო-

ბა გამოაცხადა. მოგვიანებით, მათ მიიღეს მხარდაჭერა 1995 წლის ბეკინის კონფერენციაზე. ქალთა ჰგუფები აქტიურად იყვნენ ჩართული ძირითად სოციალურ მოვლენებში, მათ შორის 2004 და 2013-2014 წლების ტრანსფორმაციულ პროცესებში. ქალთა უფლებადამცველ ორგანიზაციებს რეგულარულად შესქმნდათ თავიანთი წვლილი ეროვნული და რეგიონული გენდერული პოლიტიკის შემუშავებაში და ხელმძღვანელობდნენ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებით. ისინი აქტიური და ეფექტური აღმოჩნდენ ასევე 2022 წელს სრულმასშტაბიანი ომის დაწყების გავლენებზე რეაგირების საკითხში.

მიუხედავად მიღწეული წინსვლისა, ეს ორგანიზაციები და ინიციატივები ჯერ კიდევ არ გაერთიანებულან ქალთა ერთიან მოძრაობაში. უკრაინის ქალთა უფლებადამცველ ორგანიზაციათა ლანდშაფტი მრავალფეროვანია და დაახლოებით 1,000 რეგისტრირებულ ორგანიზაციას მოიცავს (საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო რაოდენობა უკრაინაში დაახლოებით 160,000-ია), ზოგიერთი მათგანი 1990-იანი წლების დასაწყისიდან ფუნქციონირებს. თუმცა, ამ 1,000-დან ყველა რეგულარულად აქტიური არ არის. UWF-ისა და გარეოს ქალთა ორგანიზაციის მონაცემებით, მათი პარტნიორი ქსელები, შესაბამისად, დაახლოებით 250 და 150 ორგანიზაციისგან შედგებოდა – ეს ის ორგანიზაციებია, რომლებიც თვალსაჩინო აქტივობებს ახორციელებენ და ურთიერთობენ მთავრობებთან, სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ახლად შექმნილი ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების ლიდერები აქტიურად არ უერთდებიან „დამკვიდრებულ“ ქალთა მოძრაობას და არ ქმნიან საკუთარ ქსელებს. არ არსებობს კოორდინაცია ან დიალოგი მოძრაობის სხვადასხვა თაობებს შორის.

2020 წელს UWF-მ ჩატარა უკრაინულ ქალთა უფლებადამცველ ორგანიზაციებს შორის თვითშეფასების სავარჯიშო, მათი საერთო გამოცდილების და ერთმანეთთან ურთიერთობის შესაფასებლად. შედეგად, გამოიკვეთა ძირითადი დასკვნები:

- გამოკითხულთა თითქმის 60%-მა განაცხადა, რომ ქალთა უფლებადამცველ ორგანიზაციათა მოძრაობას არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების ეფექტურ მექანიზმი;
- 60%-მა აღნიშნა, რომ სხვადასხვა ჰგუფებისთვის არ არსებობს საკმარისი შესაძლებლობები გაერთიანდნენ თანამოლებებთან, სწავლისა და ერთობლივი დაგეგმვისთვის; ამასთანავე
- 63% მიიჩნევდა, რომ არ არსებობდა ახალი ლიდერების განვითარებისა და მხარდაჭერის მკაფიო მექანიზმები, მათ შორის მომავალი თაობის ლიდერებისთვის იმ თემებიდან, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ მიმდინარე მოვლენებით.

(IDPs), პოულობდნენ მათთვის თავშესაფარს და ყველანაირ საჭიროებებს – დაწყებული საკვებიდან და საფეხუბიდან, ფსიქოლოგიური დახმარების სერვისებიმდებარები მუშაობდნენ ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ საკუთარი სურვილისამებრ, თითქმის მთელი დღის განმავლობაში.

2022 წლის 8 მარტი და განსაკუთრებით შემოდგომიდან, სიტუაცია გარკვეულწილად გაუმჯობესდა და ორგანიზაციებმა მოახერხეს თავიანთი ძალისსმევის გარკვეული ნაწილი „ტრადიციულ“ კალაპოტში დაებრუნებინათ და მდგრადობასა და ადგოკატირების პრიორიტეტებებზე დაწყეს ფიქრი. თუმცა, 23 გორკითხული ქალთა ორგანიზაციიდან თითქმის ყველა აგრძელებს თავისი დროისა და რესურსების მინიმუმ ნახევრის გამოყოფას ომით დაბარალებული ადამიანებისა და სამხედრო ქალების მხარდასაჭერად.

4.5 ძირითადი გამომცვევი მიზანები და პარიერები ქალთა ორგანიზაციების დაუყოვნებლივ რეაგირებისთვის

უკრაინულმა ქალთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა ძალიან სწრაფად შესძლეს მობილიზება და სრულმასშტაბიანი შესტრის პირველ დღესვე დაიწყეს დაბარალებულთა დახმარება. მოგვიანებით მათ ასევე მოახერხეს როგორც გამაჯანსალებელი, ასევე უსაფრთხოებისა და თავდაცვის პროცესებში გენდერული ინტეგრაციის ადვოკატირებაზე ფოკუსის გასწორება.

თუმცა, ისინი მრავალი ბარიერისა და გამოწვევის წინაშე დადგნენ, რომელთა შორისაა რესურსების ნაკლებობა – ფული, პერსონალი, დრო, დარღვეული ოპერაციული პროცედურები, მიწოდების კატეგორი და უსაფრთხოების საკითხები.

კერძოდ, ნაწილობრივ მოქმედი სსო-ები განიცდიან როგორც პერსონალის იძულებით გადაადგილებასა თუ მუშაობის უუნარობას, ასევე მათ ოფისებზე/აღჭურვილობაზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას. გამოკითხული 23-ივე ორგანიზაცია ფუნქციონირებს, მაგრამ მათ სმენიათ სხვა ორგანიზაციებზე, რომლებიც იძულებული გახდნენ შეწყვიტათ ან შეეჩერებინათ თავიანთი საქმიანობა ან მიწოდება აღჭურვილი საქმიანობის შეფერხების, პერსონალის იძულებითი გადაადგილებისა თუ უსაფრთხოებისათვის დაკავშირებული გამოწვევების გამო. 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სარაკეტო თავდასხმები და შედეგად გამოწვეული ელექტროენერგიის გათიშვა, ასევე იქცა პრობლემად, რამაც ორგანიზაციების მუშობა შეაფერება.

უსაფრთხოების საკითხები ყველა გამოკითხული ქალთა ორგანიზაციისთვის საერთოა, თუმცა მათი სიმძიმე განსხვავებულია. მათთვის, ვინც უკრაინის აღმოსავლეთ თუ სამხრეთ რეგიონებში მუშობა შეაფერება.

შეჩერების მიზეზი აქტიური საომარი მოქმედებები და რუსული ოკუპაცია გახდა.

კრიზისის საპასუხოდ, ქალთა უფლებადამცველ ორგანიზაციებს თავიანთ პროგრამებსა და საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა მოუწიათ. ეს დასტურდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის სწრაფი შეფასების დასკვნებით: „გამოკითხული სსო-ების 66%-ს ამჟამად ისეთი მომსახურებების გაწევა და აქტივობები უწევს, რაზეც აქამდე არ მუშაობდნენ, 57% დისტანციურ დახმარებას უწევს ბენეფიციარებს და გამოკითხული სსო-ების 52%-ზე მეტი თავის სახსრებს ახალ/სხვადასხვა პრიორიტეტზე ანაწილებს“⁸.

თავიდან, ჩვენ ძალიან გვაკლდა ფინანსური სახსრები დევნილთა მხარდასაჭერად, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენი სტრატეგიული საქმიანობისთვის და საკუთარ პერსონალზე ბრუნვისთვის. მაღვევე მივცვდით, რომ ყველანი მუშაობისგან გადაწვის (burnout) ბლვარზე ვართ, თუ უკვე არ გადავიწვით, მაგრამ საამისო რესურსი არ გაგვაჩნდა. ვინაიდან ომამდეც ქალთა მოწყვლად კვუფებთან ვმუშაობდით, გვქონდა გარკვეული უნარები, რომლებითაც შევქელით სწრაფად დახმარებოდით ომით დაბარალებულ ადამიანებს. თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვათ, დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში, ჩვენი ომამდელი პრიორიტეტების მიტოვება მოგვიწია.

კრიზისის დაწყებიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი ქალთა ორგანიზაციებისთვის იყო გადაწყვეტილების მიღებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, მათ შორის იმ პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ომში დაბარალებული ადამიანების მხარდაჭერას ეხებოდა. ამის მიზეზი ძალაუფლების ცენტრალიზაცია და სამხედროების, მათ შორის, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე სამხედრო აღმინისტრაციების როლის გაზრდა. მსგავსი სტრუქტურები, როგორც წესი, არ ანიჭებენ მნიშვნელობას სოციალურ განვითარებას და გენდერული თანასწორობის საკითხებს. გამოკითხული ქალთა ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ ამჟამად მათი ხმა მთავრობების მიერ ჰქონიარული დახმარებების ან უფრო ფართო სამშვიდობო პროცესების დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული არ არის. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების პოლიტიკა და პროგრამები ადეკვატურად არ მიერართება ქალებისა და კაცების სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის ყველაზე დაუცველთა და მარგინალიზებულთა, საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

⁸ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022, უკრაინის ომის გავლენა ქალთა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, <https://eca.unwomen.org/en/digital-library/publications/2022/03/rapid-assessment-impact-of-the-war-in-ukraine-on-womens-civil-society-organisations>

4.6 ურთიერთობა სამიზნე ჰაუზებთან. მიზნობრივი ჰაუზების საჭიროებების დაკავყოფილება

როგორც ჩემოთ აღინიშნა, სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე, ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების სამიზნე ჰაუზებს წამოადგენდნენ ქალები, რომლებიც განიცდიდნენ კომპლექსურ დისკრიმინაციას და აწყდებოდნენ სხვადასხვა ბარიერს, მათ შორის, იძულებით გადაადგილებული ქალები (2014 წლიდან იძულებით გადაადგილებულები), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოფლად მცხოვრები ქალები. ზოგიერთი ორგანიზაცია ასევე მიმართავდა თავის ძალისხმევას მეწარმე, პოლიტიკოს, ასევე ვეტერან ქალებზე, ლაბტქი, აივ-დადებით და ეთნიკური უმცირესობების წამომადგენელ ქალებზე, მათ შორის ბოშებზე.

თუმცა, სრულმასშტაბიანმა ომმა ყველაფერი შეცვალა და პირველივე დღეებიდან ორგანიზაციებმა თავიანთი საქმიანობის პრიორიტეტად დაისახეს და ყურადღება მთლიანად გადაიტანეს ომით დაზარალებულ ქალებსა და ოჯახებზე, რომელთა შორის არიან:

- იძულებით გადაადგილებული ქალები და მათ ოჯახები,
- საომარი მოქმედებების ზონაში მცხოვრები ქალები და მათი ოჯახები,
- ქალები, რომლებიც მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში, პოლიციაში, სასწავლო სამაშველო სამსახურში, სასაზღვრო დაცვის სამსახურში

ორგანიზაციებისთვის რეაგირების პრიორიტეტებად იქცა:

- დაცვა: ქალების, ბავშვების, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფსიქოსოციალური მხარდაჭერა, სტრესის მართვის ტრენინგები;
- თავშესაფარი: თეთრეული, საბნები, პირსახოცები, სამსარეულოს კომპლექტები, დაფასოუბული საკვები, სასურსათო კალათები ლტოლვილებისთვის და მასპინძელი თემებისთვის;
- ჰაუზითელობა: პირველადი ჰაუზების სერვისებისა და ისეთი ნივთების მიწოდება, როგორებიცაა ტრავ-მასთან გამკლავების საშუალებები და პირველადი დახმარების ნაკრებები, ასევე სამედიცინო დაწესებულებების მხარდაჭერა უანგბადის კომპლექსორებით და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფარმაცევტული პროდუქტებით;
- კვება: დახმარება საკვებით, ცხელი კერძები ან ფულადი ვაუჩერების გამოყენება სუპერმარკეტისთვის;
- წყალი, სანიტარია და ჰიგიენა: უსაფრთხო სასმელი წყალი, ინფორმაცია ჰიგიენის შესახებ და ჰიგიენის ნაკრებები.

სრულმასშტაბიანი ომის პირველ დღეებში ქალთა ორ-

განიზიარების მუშაობა დაზარალებულ ადამიანებთან გარკვეულწილად ქაოტური იყო. ადამიანებს, რომელებიც ამ პროცესში იყვნენ ჩართულები, ძირითადად მოხალისები ან მოხალისეთა ჰაუზები წარმოადგენდნენ, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები, თემის წამომადგენლები, ჩვეულებრივი ინდივიდები – რომლებმაც სწრაფად მოახერხეს „თვით-მობილიზაცია“, ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზება და დაიწყეს დაზარალებულ ადამიანებთან კომუნიკაცია. რასაკვირველია, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების (INGOs) უმეტესობა 2022 წლის თებერვლის ბოლოს უკრაინაში არ იმყოფებოდა და დაზარალებულ ადამიანებს აპრილ-ამდე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობისგან დახმარება არ მიუღიათ. ასე რომ, ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები (და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები) და მოხალისები, ხელისუფლებასთან ერთად, პირველები აღმოჩენენ, რომლებმაც საკუთარი შესაძლებლობები – ხელმისაწვდომი რესურსები და უნარები – გამოიყენეს.

დაზარალებულთა საჭიროებები ბევრად აღემატებოდა იმას, რისი უზრუნველყოფაც შესაძლებელი იყო. მარტ-აპრილში ქვეყანაში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსვლა დაიწყო, რომლებმაც სულ უფრო მეტი რესურსი შემოიტანეს. ამ რესურსების დიდი ნაწილი გადანაწილდა არა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, ქალთა ორგანიზაციების შუამაგლობის გზით – ისინი თანამშრომლობდნენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებითან, რათა განეხორციელებინათ თავიანთი პროგრამები, ხშირად საგრანტო პროექტების მეშვეობით.

უმეტესწილად ქაოტური რეაგირების პირველი კვირის შემდეგ, ქალთა უფლებადამცველმა და სხვა ორგანიზაციებმა დაიწყეს დაზარალებული ადამიანების საჭიროების რეგულარული ანალიზი. საჭიროებების შეფასება მოექცა უფრო ინსტიტუციონალიზებულ ჩარჩოში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმეში ამისთვის საჭირო რესურსების მქონე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთნენ.

ახლა ქალთა ორგანიზაციების რეაგირება ორშრიანია: ისინი რეაგირებენ დახმარების პირდაპირ მოთხოვნებზე და ამასთანავე, მათი რეაგირება/დაგეგმარება ეფუძნება საჭიროების ანალიზს.

თავდაპირველად ჩვენ არიენტირებულნი ვიყავით ჰუმანიტარულ საკოორდინაციო ცენტრებზე [როგორც ინფორმაციის წყაროებზე], შემდეგ კი რეგიონულ საკრებულოებს ვთხოვთ ხალხის საჭიროებების დადგენა. სახელმწიფო ორგანიზებთან თანამშრომლობა სასარგებლო აღმოჩენა და დაგვეხმარა თემების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს შორის არსებული ხარვეზების აღმოჩენაში: მაგალითად, ხანდახან თემი დახმარების საჭიროების

მქონეთ არ აღიქვამს ხანდაზმულ ადამიანებს. ამ საკითხის გადასახედად ჩვენ მოვიხმეთ ფსიქიკური კანძრთელობისა და ფსიქოსოფიალური მხარდაჭერის (MHPSS) სპეციალისტი. დღესდღეობით უკვე არსებობს საჭიროებების მონიტორინგის ფართო სისტემა, ონლაინ კითხვარები და სოფიალური მუშაკების მეშვეობით ხდება მონაცემთა შეგროვება.

გამოკითხულ ორგანიზაციებს ჰუმანიტარული პროგრამების მნიშვნელოვანი გაფართოების მოლოდინი აქვთ. ზოგი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ დაბარალებულთა საჭიროებების დასაფარად საჭიროებს 5-ჯერ მეტ რესურსს (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გაეროს სააგენტოებისგან), ვიდრე ახლა აქეს. ასევე, ორგანიზაციები აცხადებენ, რომ მზად არიან გრძელვადიანი გეგმების დასასახად და რეაგირების პროცესში ჩართულობისთვის საწყისი ეტაპიდანვე (დამატებითი მსჯელობისთვის იხილეთ პარაგრაფი საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობა).

ქალთა ორგანიზაციების სამუშაო ძალის ნაწილი ასევე უწევს ომთან დაკავშირებულ დახმარებას ქალებს, რომლებიც მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში, პოლიციაში, სასწრაფო სამაშველო თუ მესაზღვრეების სამსახურში, ასევე ექიმებსა და პარამედიკოსებს. თებერვლის ბოლოდან ისინი ყიდულობდნენ და აწვდიდნენ სამაშველო უილეტებს, ჩაფიქრებს, ტანსაცმელს, პიგინის საშუალებებსა და მედიკამენტებს ქალ ოფიცრებს/ჰარისკაცებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ომი ჯერ არ დასრულებულა. ის საჭიროებები, რომლებიც თავიდანვე არსებობდა, არსად გამჭრალა – წამალი, საბრძოლო აღტურვილობა და ა.შ. – ყველაფერი უნდა განახლდეს, არსებობს დანაკარგებიც. არმიას ახალი ხალხი უერთდება და მათაც აქვთ საჭიროებები. მედიკამენტებიც ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის... ჩვენი თანამშრომლები აგრძელებენ ამ მიმართულებით დახმარებას. ომმა შეიცვალა ჩვენი საქმიანობა, ჩვენი მოვალეობებიც. ჩვენს საქმეს ახალი ფუნქციებიც დაემატა.

ამის საჭიროება გნესაკუთრებით მწვავე ორი მიზეზის გამო აღმოჩნდა: (i) სრულმასშტაბიანი ომის პირველ კვირებში დამცავი აღტურვილობის საჭიროება იმდენად გაიზარდა, რომ მთავრობამ ვერ შეძლო ყველაფრის დაფარვა. დახმარება გაუწიეს კაც ოფიცრებსაც, თუმცა ქალთა ორგანიზაციები, ბუნებრივია, მეტად იყვნენ ორიენტირებული ქალებზე; (ii) მთავრობამ ქალის სხეულზე ადაბტირებული სამაშველო უილეტებისა და ქალებისთვის პიგინური საშუალებების შესყიდვაზე მუშაობა ჯერ კიდევ 2022 წლის თებერვლამდე დაიწყო, თუმცა სრულმასშტაბიანი ომის დაწყებისას მნიშვნელოვანი პროგრესი მიღწეული არ ყოფილა, ამიტომ ქალთა ორგანიზაციების ძალისხმევა ძალიან დროული აღმოჩნდა.

დაბოლოს, მნიშვნელოვანი საკითხია წამომადგენლობი-

თობა – რამდენად წარმოადგენენ ქალთა ორგანიზაციები თავიანთი სამიზნე კვუფების ხმებს. ომის დაწყებამდე, ეს საკითხი აქტურად განიხილებოდა ქალთა უფლებების მოძრაობათა მიერ. 23 გამოკითხული ორგანიზაციიდან, რამდენიმე აღნიშნავს, რომ მჭიდროდ თანამშრომლობდა და თავიანთ სამიზნე კვუფებთან და სამიზნე კვუფებს ერთაინ პროგრამის ქვეშ აერთიანებდა, შესაბამისად, მათი აზრით, ისინი თავიანთი სამიზნე კვუფების ხმებს წამოადგენდნენ.

მასშტაბურმა ომმა ყველაფერი შეცვალა. ახლა ქალთა ორგანიზაციების სამიზნე კვუფები ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გახდა, და ასევე, ისინი უფრო სასოწარკვეთილ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ორგანიზაციების თანახმად, ბევრი დაბარალებული ადამიანი უკიდურესად დასტრუქტურისა და საარსებო წყაროს, ზოგ შემთხვევებში ოჯახის წევრებისა და მეგობრების დაკარგვის, საჭარო თავდასხმის გამაფრთხილებული სირენების, დაბოლმების, უშუქობისა და სხვა ფაქტორის გამო. აქედან გამომდინარე, დაბარალებულ ადამიანებს არ გააჩნიათ ემოციური რესურსი და მოტივაცია ქალთა ორგანიზაციებთან ურთიერთობისთვის და მათგა გათვლილი პროგრამების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღებისთვის. შედეგად, ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლობითობა „ახალი“ სამიზნე კვუფების არჩევის თვალსაზრისით, ბუნებრივია, გამოწვევად იქცა, ხოლო წარმომადგენლობითობის განვითარების ომამდე შემუშავებული ფორმულები, დღევანდელ კონტექსტში უკიდურესად შეტანული შედეგის მომცემია.

4.7 ურთიერთობა მთავრობასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან

ზოგადად, ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების ურთიერთობა მთავრობასთან დიდი ხნის მანძილზე არსებული გამოწვევაა, მაგრამ ეს ტენდენცია თანდათან უმჯობესდება. ამ გაუმჯობესებას ორი კატალიზური ფაქტორი აქვს: (i) კრიზისები, რომელთა გადალახვაც მთავრობასა და სამოქალაქო საბოგადოებას მხოლოდ თანამშრომლობით შეუძლიათ, და (ii) ბოლო წლების განმავლობაში ქალთა ორგანიზაციებიმა მნიშვნელოვნად გაზარდეს თავიანთი შესაძლებლობები და როლი და მთავრობის ჭეშმარიტად ღირებულ პარტნიორებად იქცნენ.

2022 წელს ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და სამთავრობო ორგანოების ურთიერთობის კონტექსტი არაერთმა მნიშვნელოვანმა ცვლილებამ განაპირობა. უპირველესად, ქალები სულ უფრო მეტად გახდნენ ცვლილებების აგენტები ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე. მეტად გამოჩნდნენ ქალები ასევე რუსეთის აგრესიზე უკრაინის საპასუხო რეაქციებში საერთაშორისო, ეროვნულ თუ სათემო დონეზე. 2022 წლის ივნისში უკრაინამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი

მოიპოვა, რაც უკრაინაში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დღის წესრიგში დაყენების წინაპირობად იქცა. მაგალითად, ამ სტატუსის მიღებამდე რამდენმე დღით ადრე უკრაინაში მოხდა სტამბულის კონვენციის რატიფიცირება, რისი მცდელობაც, 2011 წელს, მასზე ხელმოწერის შემდეგ, არაერთხელ ყოფილა.

2022 წელს მიღებულ იქნა ახალი სახელმწიფო სტრატეგია (ეროვნული სამოქმედო გეგმა) 2030 წლამდე პერიოდისთვის ქალთა და კაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, ასევე განახლდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რათა მასში ასახული ყოფილიყო ომის პირობებში არსებული გამოწვევები. ეს ინსტრუმენტები უზრუნველყოფს გაზრდილ შესაძლებლობებს ქალთა ორგანიზაციებისთვის, მთავრობასთან ერთად ჩატარებული და სხვა სექტორული პოლიტიკის განხორციელებაში. 2022 წლის გაზაფხულიდან მთავრობა მუშაობს აღდგენის ეროვნული გეგმის შემუშავებაზე – ეს იქნება ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ძირითად სფეროებს, მიზანებს, სტრატეგიებს, პოლიტიკას და კონკრეტულ პროექტებს 2032 წლამდე უკრაინის აღდგენისთვის. ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები აღდგენის ეროვნული გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ, მაგრამ ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ ეს გამოცდილება არ ყოფილა საკმარისი და თუ არ იქნება გადადგმული შემდგომი ნაბიჯები, აღდგენის გეგმა არსებითად არ შეიცავს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს. მთავრობასა და ქალთა ორგანიზაციებს შორის ჯანსაღი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ძლიერი გარანტია სამთავრობო კომისარი გენდერული პოლიტიკის საბჭოებისათვის და გენდერული თანასწორობის საკითხების მისაღებად მოწვეული იყვნენ, მაგრამ ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ ეს გამოცდილება არ ყოფილა საკმარისი და თუ არ იქნება გადადგმული შემდგომი ნაბიჯები, აღდგენის გეგმა არსებითად არ შეიცავს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს. მთავრობასა და ქალთა ორგანიზაციებს შორის ჯანსაღი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ძლიერი გარანტია სამთავრობო კომისარი გენდერული პოლიტიკის საბჭოებისათვის და გენდერული თანასწორობის საკითხების მისაღებად მოწვეული იყვნენ, მაგრამ ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ ეს გამოცდილება არ ყოფილა საკმარისი და თუ არ იქნება გადადგმული შემდგომი ნაბიჯები, აღდგენის გეგმა არსებითად არ შეიცავს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხების მისაღებად მოწვეული იყვნენ, მაგრამ ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ ეს გამოცდილება არ ყოფილა საკმარისი და თუ არ იქნება გადადგმული შემდგომი ნაბიჯები, აღდგენის გეგმა არსებითად არ შეიცავს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხების მათი ჩატარების მიმართულებით და სრულმასშტაბიანმა ომმა აღნიშნული პარტნიორობა კიდევ უფრო გააძლიერა.

ამავდროულად, ბევრი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მთავრობასთან კოორდინაციის მექანიზმებში ისინი თავს აღიქვამენ „მოწვეულ, თუმცა არა ჩართულ მხარეებად“. ზოგიერთი მიზრი, რომელიც გამოკითხულებმა დაასახელეს, არის: (1) მძიმე საკორდინაციო მექანიზმები, რომლებიც შრომატევადია და დიდ დროსთან არის დაკავშირებული, რაც ხელს უშლის არგანიზაციების ძირითად საქმიანობას და მათ სამიზნე კგუფებთან ჩართულობას; (2) კოორდინაციისას ქალთა ორგანიზაციების გამოცდილების ნაკლებობა; (3) ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს უკიდურესად უჭირთ – როგორც დაფინანსების, ასევე ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.

ქალთა ორგანიზაციების თანახმად, მთავრობა კვლავ ინარჩუნებს ფორმალისტურ (“to tick the box”) მიღვომას

ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, გენდერული პოლიტიკისა და ზოგადად, გენდერული საკითხების მიმართ. ასევე, სრულმასშტაბიანი ომის გამოწვევების ფონზე, არსებობს ქალთა უფლებების თემების არაპრიორულ პოზიციაში აღმოჩენის რისკი. ჩეხება ასევე კრიტიკული ბარიერები, რომლებიც ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლების გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობის კუთხით ეროვნულ და რეგიონულ დონეზე არსებობს. მაგალითად, ქალთა ორგანიზაციები არ არიან ჩართულები და არ უწევნ კონსულტაციას სამხედრო-სამოქალაქო აღმინისტრაციების პოლიტიკის – უკრაინაში ამჟამად ყველაზე გავლენიანი მმართველობის ფორმის – შემუშავებას.

ვინაიდან ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები 2022 წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ჰუმანიტარულ რეაგირებაში, ასევე მნიშვნელოვანია შეგხედოთ მათ ურთიერთობას მთავრობასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კრიბისულ სიტუაციებზე რეაგირების კონტექსტში. ქალთა ორგანიზაციები გარკვეულწილად ჩართული არიან ჰუმანიტარულ კოორდინაციასა და კლასტრულ სისტემაში და ამის მეშვეობით ურთიერთობენ მთავრობასთან, თუმცა ამასთანავე აცხადებენ, რომ მზად არიან უფრო ხელშესახები ჩართულობისთვის და მეტი წვლილის შეტანისთვის, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის დაგეგმვის კუთხით. ორგანიზაციებისთვის ბევრად მარტივია ადგილობრივ ხელისუფლებასთან კოორდინაცია. ქალთა ორგანიზაციებს აქვთ შეხვედრები და ინტერაქცია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და თავიანთი პროგრამების შემუშავებისას ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებსა და ანგარიშებს იყენებენ.

ქალთა ორგანიზაციებმა აღიარეს, რომ თებერვლის შემდეგ პირველ თვეებში ისინი ზედმეტად იყვნენ ჩაფლული საქმეში და არ გააჩნდათ ეფექტური კოორდინაციის წარმართვის უნარი და ცოდნა. დროთა განმავლობაში, ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება გამოიჩინეს კოორდინაციის მიმართ. თუმცა, მრავალი ორგანიზაცია ახლაც მეტად აქცევს ყურადღებას იმას, თუ როგორ შეიძლება კოორდინაცია დაეხმაროს მათ ორგანიზაციის და არა იმას, თუ როგორ შეუძლია მას წვლილის შეტანა კრიბისულ სიტუაციებზე რეაგირებაში. ქალთა ორგანიზაციების თქმით, ხანდახან ისინი კოორდინაციის ნაკლებობას გრძნობენ, ხან კი მთელს პროცესს ძალიან დიდი დრო სჭირდება. ასევე გამოიკვეთა შეხვედრების სიხშირის საკითხიც. მაგალითად, თუ კლასტრულ შეხვედრები ყოველკვირეულად იმართება, ისინი ძალიან ზოგადია და არ იძლევა სასარგებლო ინფორმაციას, ანუ თუ ორგანიზაცია 2-3 თემაზე მუშაობს, ეს ნიშნავს კვირაში 2-3 შეხვედრაში მონაწილეობას – რაც უდიდესი დროითი რესურსის გაღების პარალელურად, არ იძლევა ხელშესახებ შედეგს.

კარგია, რომ თავიდან ყურადღება პრაქტიკულ საკითხებზე გავამახვილეთ და არა კოორდინაციაზე. ახ-

ლა უფრო მზად ვართ კოორდინაციისთვის. ჩვენ ჯერ არ ვართ იმ ეტაპზე, როცა უკრაინა სრულად იქნება უზრუნველყოფილი ჰუმანიტარული დაბამარჯებით. დუბლირების თავიდან აცილება [კოორდინაციის გზით] ამჟამად პრიორიტეტს არ წამოადგენს.

ადგილობრივ დონეზე კოორდინაცია საგალდებულო უნდა იყოს. საუბარია სანებართოვო სისტემაზე, პერსონალის უსაფრთხოებაზე (ჩვენ არ გვაქვს წვდომა საომარი მოქმედებების ზონებზე სამხედროების ნებართვის ან რჩევის გარეშე).

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ადმინისტრირებადი საკოორდინაციო ცენტრები მართლაც კარგი ინფორმაციის წყარო იყო დაბარალებულთა და მათი საჭიროების გასაგებად.

ქალთა ორგანიზაციები კოორდინაციას უწევენ ადგილობრივ ჰუმანიტარულ შტაბებს (წარმომადგენლობები და ფუნქნებულია ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში), რაც აჩქარებს დაბარალებულ ადამიანებთან წვდომას, ეხმარება მათ საჭიროებების დაკმაყოფილებაში და გამორიცხავს რეაგირებაში არსებულ დუბლირებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ურთიერთობა ქალთა ორგანიზაციებსა და უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ინსტიტუტებს შორის. გამოკითხული ორგანიზაციების დაახლოებით ნახევარი 2022 წლის განმავლობაში ჩართული იყო ასეთ ინსტიტუტებთან კოორდინაციაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ურთიერთობა მოიცავს დამცავი აღჭურვილობის, ტანსაცმლის, პიგინის ნივთების, მედიკამენტების და სხვა მარაგების მიწოდებას ქალებისთვის, რომლებიც უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის დაწესებულებებში მსახურობენ. ასევე, ეს მოიცავს ქალთა უფლებების ადვოკატირებას უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის რეფორმის ფარგლებში.

2020 და 2021 წლებში ქალთა ორგანიზაციებსა და უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ინსტიტუტებს შორის არსებული ურთიერთობა მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა, ისეთი ინსტიტუტიური ცვლილებების ჩათვლით, როგორიცაა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის უფრო ღრმა გაგება უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ინსტიტუტებში; ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სიხშირე, წარმატებული ადვოკატირების მაგალითები. თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორში გენდერული თანასწორობის ყოვლისმომცველი და ღრმა ინტეგრაციისთვის საჭირო ფუნდამენტი.

სრულმასშტაბიანმა ომმა ამბივალენტური გავლენა მოახდინა ამ ურთიერთობაზე. ერთი მხრივ, მან წმოაჩინა ახალი შესაძლებლობები: ქალთა ორგანიზაციებმა შეძლეს წვლილის შეტანა კონკრეტულ პროცესებში, როგორებიცაა ქალი ოფიცირების აღჭურვა, ევაკუაციის შემთხვევაში და დაბარალებული მოსახლეობისთვის სხვა სახის დახმარება (ანუ დაეხმარნენ სამაშველო სამსახურს თავისი

ფუნქციების განხორციელებაში). მეორე მხრივ, კი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ინსტიტუტები უფრო ჩაკეტილი გახდა:

უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ორგანოები კიდევ საკმაოდ გახსნილები არიან, მაგრამ ამჟამად თანამშრომლობა ხანძრის ჩაქრობას უფრო ჰგავს, ვიდრე სტრატეგიულ თანამშრომლობას. იმის გამო, რომ ჩვენ ყველანი ასეთი დაუცველები ვიყავით [სრულმასშტაბიანი] შემოქმედი წინაშე, ამან ჩვენგზე დიდი გავლენა მოახდინა. უსაფრთხოებისა და თავდაცვის ორგანოები ჩვენს ყველანარ დახმარებას იღებდნენ. მაგრამ მე უკვე ვამჩნევ ურთიერთქმედების ძევლ ფორმებთან დაბრუნების ტენდენციას. ეს სუბერგასნილობა თანდათან სრულდება.

სხვა პრობლემებს შორის, რომლებსაც გამოკითხული ორგანიზაციები ასახელებენ, არასაკმარისი ინფორმაცია და ცნობიერების ამაღლება (ორივე მხრიდან), უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტების მხრიდან ქალთა უფლებებისა და გენდერული პოლიტიკის მიმართ სისტემური ინტერესისა და ჰემბარიტი გაგების, და – ზოგადი – ქალთა ორგანიზაციების შიგნით უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხების შესახებ ცოდნის ნაკლებობას. თუმცა ორგანიზაციები აღიარებენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია შესაძლებლობების ამ ფანჯრის გამოყენება და უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ინსტიტუტებთან თანამშრომლობაში მეტი ძალისხმევის ჩადება.

4.8 ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის დონორისადმი

ქალთა უფლებადამცველ ორგანიზაციებს უკრაინაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის გაეროს სააგენტოებთან, სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ორმხრივ დონორებთან თანამშრომლობის ხანგრძლივი და წარმატებული ისტორია აქვთ. საერთაშორისო ორგანიზაციები კონსულტაციებს უწევენ ქალთა ორგანიზაციებს მათი პროგრამების შემუშავებაში და მხარს უჭერენ მათ ადვოკატირებას უკრაინის მთავრობისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები ქალთა ორგანიზაციების დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ – ისინი ორგანიზაციათა მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 95%-ს იკავებენ.

2022 წლის საერთაშორისო ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი, როგორც პარტნიორებისა და რესურსების წყაროების როლი ქალთა ორგანიზაციებისთვის. ვინაიდან ქალთა ორგანიზაციები არ წამოადგენდნენ ჰუმანიტარულ აქტორებს, წამოიჭრა ჰუმანიტარული პრინციპების საკითხი და აღინიშნა, რომ მიუკერძოებლობისა და ნეიტრალიტეტის პრინციპები შეიძლება გამოწვევად იქცეს ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციის

ისთვის, უმეტესწილად ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. თუმცა, უკრაინის ხელისუფლებამ და სამოქალაქო საზოგადოებამ მაღლევე დაკარგა წვდომა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ვერანაირი დახმარება ვერ გაუწია იქ მცხოვრებ უკრაინის მოქალაქეებს.

საპასუხო რეეგირების პირველ თვეებში დონორებს აკრიტიკებდნენ, რომ ისინი აგვიანებდნენ ადგილობრივი კონტექსტის აღქმას და იმ ფაქტის აღიარებას, რომ უკრაინის ადგილობრივ სსო-ებს აქვთ საჭირო შესაძლებლობები და მეთოდოლოგიები დაზარალებულთა მხარდასაჭერად. დონორების მიდგომების თანმიმდევრულმა ცვლილებამ, თავისი მიმდინარეობის პროცესით გააუმჯობესა ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

თუმცა, ზოგადად, ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ ჟუმანიტარულმა საკითხებმა, რაშიც ისინი ძალზედ ჩართულნი არიან, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მათი შესაძლებლობების გაფართოებაში. საერთაშორისო ორგანიზაციებმა დიდი მხარდაჭერა გაუწიეს და დაატრენინგებს პარტნიორები ჟუმანიტარული სტანდარტების დაცვაში. ანგარიშების და მონაცემთა შეგროვების კუთხით, დაზარალებული ადამიანების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოსახიებლად საჭირო ჰარმონიზებული ინსტრუმენტების შექმნას ძალისხმევა დასჭირდა. ორგანიზაციები ძირითადად მიესალმებოდნენ და სარგებლობდნენ ასეთი მხარდაჭერით. თუმცა, არსებობს გარკვეული კამათი „გაუთავებელი ტრეინინგებისა“ და დაზარალებული ადამიანებისთვის გადაუდებელი დახმარების გაწევის აუცილებლობას შორის პრიორიტეტზე. ქალთა ზოგიერთ ორგანიზაციას აქვს განცდა, რომ უკვე დაუგროვდათ შესაბამისი შესაძლებლობები და შეუძლიათ უფრო დიდი პროექტებისა და ბიუჯეტის მართვა.

გამოკითხულ ქალთა ორგანიზაციებს განსხვავებული გამოცდილებები აქვთ. ზოგიერთი ძალიან დადებითად მოიხსენიებდა თავის დონორებს ნაკლები ბიუროკრატიის არსებობისა და მათი მოსმენის, ჯანსაღი ურთიერთობებისა და ნებისმიერი წარმოშობილი საკითხის მიმართ სწრაფი, კონსტრუქციული და ორმხრივად მომგებიანი გზით მოგვარების გმო. სხვები აკრიტიკებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს/დონორებს იმის გამო, რომ ისინი ყოველთვის არ არიან მოქნილები პროგრამებში, ანგარიშებაში, პერსონალის მხარდაჭერაში, ბიუროკრატიის, შესყიდვებისა და გადაწყვეტილების მიღების გაჭირულებული პოლიტიკისა და ქალთა ორგანიზაციების მიმართ მფარველობითი დამოკიდებულების გამო. საჭიროა იმის გაგება, რომ ეს პერსპექტივის საკითხია (საერთაშორისო ორგანიზაციები თავისთვის პოლიტიკას დახმარების გამჭვირვალობისა და ეფექტუანობის უზრუნველსაყოფის მექანიზმად ხედავენ), და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის ბოლოსთვის ქალთა ორგანიზაციებმა და

ბალანსი იპოვეს და დადებითი ურთიერთმიმართება განვითარეს.

შეზღუდული დაფინანსება, გრძელვადიანი დაგეგმარების ნაკლებობა და ადრეული ჩართულობის საჭიროება კრიზისებზე რეაგირების ნაწილში, მთავარი საკითხები იყო, რომლებზე საერთაშორისო ორგანიზაციების შერიდან გამოხმაურებასაც ორგანიზაციები კრიტიკულად აფასებდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები ასახელებენ გარკვეულ დონორებს, რომლებიც მხარს უჭერენ ინოვაციურ მიდგომებს. ამის კარგი მაგალითია თემიდან წამოსული ჟუმანიტარული ინიციატივების მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც ქალთა ორგანიზაციებს პილოტირებასა და შემდგომ უფრო ფართოდ დანერგვაში დაუჭირეს მხარი.

სათემო ინიციატივების მხარდაჭერა ნამდვილი სავანძურია. ჩვენ ვეძებთ ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც გვთავაზობენ პროექტებს მინი გრანტებისთვის და მხარს ვუჭერთ მათ. ეს უფრო მეტად არის გრძელვადიანი მხარდაჭერა + გაზიარებული პასუხისმგებლობა + ადამიანები უკეთ გეგმავენ, თუ როგორ იცხოვონ მომავალში + ზრდის ნდობას საკუთარი თავისა და კოლეგეტური დახმარების მიმართ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველაფერს, რასაც თემში მნიშვნელოვნად მივიჩნევთ – დაწყებული ჭის გაწმენდიდან, სამედიცინო აღჭურვილობის შეძენამდე. არანაირი შეზღუდვა არ გვაქვს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ასევე მნიშვნელოვანია ქალთა ორგანიზაციების თანამშრომლობის საკითხში უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ინსტიტუტებთან. ასეთი თანამშრომლობა, ფაქტობრივად, ხდება ან მოხალისებრივ საფუძველზე (ორგანიზაციების მხრიდან) ან ფინანსდება საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროექტების მეშვეობით. გამოიყენება ასევე უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტების რესურსები, თუმცა ეს ძირითადად მატერიალური რესურსია – მაგალითად, დაწესებულებები უზრუნველყოფენ მათ ტერიტორიით გენდერზე ორიენტირებული ტრენინგისათვის, ქალთა უფლებადადამცველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ექსპერტებს/ტრენერებს და საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროექტი კი, ფარაგს კონფერენციის მომსახურების ხარჯებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფინანსური მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანია – მდგრადი თანამშრომლობის განვითარება დაფინანსების გარეშე, მართლაც, შეუძლებელია – საერთაშორისო ორგანიზაციები უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორში გენდერულ მიდგომებზე მუშაობისას ქალთა ორგანიზაციებისთვის ექსპერტიზისა და ადგოკატირების წყაროს წარმოადგენენ.

4.9 ორგანიზაციის გოგადი სულისკვეთება და გადაწვასთან (burnout) გამკლავების გზები

ორგანიზაციები აღიარებენ, რომ თებერვლის ბოლოდან ისინი ძალიან ახლოს არიან მუშობისგან გადაწვასთან (*burnout*), ზოგ შემთხვევაში კი, უკვე დაემართათ ის. ისინი უკიდურესად შეზღუდული ადამიანური რესურსებით მუშაობენ ომის შედეგად დაბარალებული ადამიანების მხარდაჭერასა და სხვა პროგრამულ აქტივობებზე და პერსონალს საქმით ზედმეტად დატვირთვა ემუქრება.

ამ მიმართულებით ორგანიზაციები იღებენ გარკვეულ მხარდაჭერას დონორებისგან, მათ შორის ტრენინგებს საკუთარ თავზე ზრუნვაზე, პერსონალის გადაწვის თავიდან აცილების პროგრამებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ კონსულტაციებსა და შეხვედრებს ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის. თუმცა, მსგავსი შეხვედრები არ არის სავალდებულო, ამიტომ მათ ყველა არ ესწრება. ზოგჯერ – როდესაც დონორთა დაფინანსება ხელმისაწვდომია – შესაძლებელია სემინარების მოწყობა უკრაინის გარეთ, კომფორტულ გარემოში, პერსონალის დასვენების, ამოსუნთქვის უზრუნველყოფად.

სხვა სახის მხარდაჭერა მოიცავს ტრენინგებს ჰუმანიტული დახმარების პრინციპების შესახებ (როგორც პერსონალისთვის, ასევე მოხალისეებისთვის), ტურებს, ვიზიტებს თეატრებში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ გარკვეული დონორები გამოყოფენ კონკრეტულ ბიუჯეტს, რომლის გამოყენებაც ქალთა ორგანიზაციას მისი პერსონალის ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და კეთილდღეობისთვის შეუძლია, თუმცა ეს პრაქტიკა ფართოდ გავრცელებული არ არის.

პერსონალის გადატვირთვის შესამცირებლად, ქალთა ორგანიზაციები გარკვეულ პროცედურებში, როგორიცაა ბენეფიციარების რეგისტრაცია, მოხალისეებსა და „ყოველდღიურ“ მუშაკებს უხმობენ დასახმარებლად.

ქალთა ორგანიზაციებს თავიდანთი პერსონალისა და მოხალისეებისთვის ფსიქოლოგების დახმარების გამოყოფა გეგმაში აქვთ.

თუმცა, პერსონალისთვის მსგავსი დახმარების შეთავაზება, როგორც ჩანს, მხარდაჭერის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. ქალთა ორგანიზაციები აღიარებენ, რომ მათი პერსონალი უკიდურესად შეზღუდულ პირობებში მუშაობს.

2022 წლის თებერვლიდან ზოგიერთმა ორგანიზაციამ ორგერ ან ზოგ შემთხვევაში ოთხვერაც კი გამარდა პერსონალი. ეს ორგანიზაციული ზრდის უკიდურესად სწრაფი ტემპია. იმის გათვალისწინებით, რომ ომი და, შესაბამისად, ჰუმანიტარული კრიზისი, დიდი ალბათობით, კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს ჩამოყალიბება, რომელშიც ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს შეეძლებათ გაფართოება და თავიანთი

შესაძლებლობებისა და ფუნქციების განვითარება. გრძელებადიან პერსპექტივაში ეს აუცილებელია როგორც თავად ორგანიზაციებისთვის, ისე დაბარალებული ადამიანებისთვის, ვისაც ისინი ემსახურებიან.

და ბოლოს, ინდივიდუალურ დონეზე, ორგანიზაციების თანამშრომლები ხშირად უგულებელყოფენ საკუთარ თავზე ზრუნვის აუცილებლობას.

პერსონალის კეთილდღეობა ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგიერთი თანამშრომლელი ჯერაც არ ყოფილა შვებულებაში [ნოემბრის მდგომარეობით]. ამბობენ, რომ ვერ ჩერდებიან სახლში თავიანთ ფიქრებთან, მით უმეტეს, თუ ნათესავები ან ახლობლები იკუპირებულ ტერიტორიებზე ჰყავთ. საქმეს ამ ფიქრებისგან ყურადღება გადააქვს. ჩვენ გვაქვს გადაწვის (*burnout*) პრევენციის პროგრამები, გვაქვს შეხვედრები ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის. ამ შეხვედრებზე ყველა არ დადის, მაგრამ ვინც ესწრება, მათ მოსწონთ.

როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, მის ორგანიზაციაში თანამშრომლები შედმივად უსვამენ საკუთარ თავს კითხვას: „ვართ თუ არა ჯერაც ეფექტურები თუ უკვე ამოვწურეთ საკუთარი თავები“, ვინაიდან ხვდებიან, რომ ორივე ერთდღოულად შეუძლებელია. ორგანიზაციებს ესმით, რომ მათ პერსონალს მეტი მხარდაჭერა ესაჭიროება და რომ ჯერ კიდევ საპოვნელია ბალანსი სამიზნე ჯგუფების საჭიროებების დამზადებებასა და საკუთარ თავზე ზრუნვას შორის.

4.10 ძირითადი მიზანები

1. რუსეთის მხრიდან სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე, უკრაინული ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების რაოდენობა, აქტივიზმი და შესაძლებლობები სტაბილურად იზრდებოდა. ისინი მოიცავდნენ გენდერულ თანასწორობასთან და ქალთა გაძლიერებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროს, აქტიურად იყვნენ ჩართული სამიზნე ჯგუფებთან ურთიერთობაში, თანამშრომლობდნენ მთავრობასთან, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ინსტიტუტებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან; ასევე, ჟქონდათ პროდუქტული ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დონორებთან.
2. 2022 წლის თებერვლის ბოლომდე ორგანიზაციებისთვის გარკვეული შეზღუდვები არსებობდა: შეზღუდული წარმომადგენლობა (სამიზნე ჯგუფების ხმების წარმომადგენლობა); ხელისუფლების მიერ პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გამორიცხვა; შეზღუდული მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების პროგრამების შემუშავებაში.

3. რუსეთის შექრამ ახალი გამოწვევები და ბარიერები წარმოშვა და სრულად შეცვალა მოცემულობა ქალთა ორგანიზაციებისთვის: საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სამიზნე ჯგუფებთან, ხელისუფლებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან/დონორებთან ურთიერთობის ტენდენციები, სულისკვეთება და რესურსების ხელმისაწვდომობა. საერთო ჯამში, ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციები უფრო ძლიერები და გავლენიანები ხდებიან. თუმცა ეს მათი უკიდურესად შეზღუდული სამუშაო რესურსებისა და გადაწვის (burnout) ხარჯზე ხდება.
4. უკრაინის ქალთა ორგანიზაციები (ისევე როგორც სხვა სსო-ები) მანამდე არ ყოფილან ჩართულნი ჰუმანიტარულ საქმიანობაში, ამიტომ არ ჰქონდათ ჰუმანიტარული სტანდარტების ცოდნა და გამოყდილება. თუმცა, ბევრ მათგანს ჰქონდა დაცვის, მათ შორის გენდერთან დაკავშირებული ძალადობისგან დაცვის, მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის და სხვა გამოცდილება.
5. ქალთა ორგანიზაციები, სხვა სსო-ებთან ერთად, იყვნენ პირველები, რომლებმაც დაბარალებულ ადამიანებს დახმარება საკუთარი ენთუზიაზმითა და რესურსებით გაუწიეს. სრულმასშტაბიანი ომის დაწყების პირველივე დღიდან ისინი სთავაზობდნენ დაბარებულებს საკვებს, დროებით საცხოვრებელს, ტანსაცმელს, ჰიტინურ საშუალებებს, მედიკამენტებს, სხვა აუცილებელ ნივთებს, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და დაცვას იძულებით გადაადგილებულ პირთათვის და საომარი მოქმედებების ზონაში მცხოვრებთათვის. ასევე, ისინი უზრუნველყოფნებ შეიარაღებულ ძალებში, პოლიციაში და უსაფრთხოებისა და თავდაცვის სხვა დაწესებულებებში მომსახურე ქალებს სამაშველო ჟილეტებით, ტანსაცმელით, მედიკამენტებითა და ა.შ.
6. პირველ თვეებში ქალთა ორგანიზაციების რეაგირება გარკვეულწილად ქაოტური და რეაქტული იყო. მომდევნო თვეებში ხდებოდა საჭიროებების რეგულარული შეფასება, რაც გათვალისწინებული იყო დაგეგმვისას და ეს პრაქტიკა ახლაც გრძელდება.
7. საერთაშორისო ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით ჰუმანიტარულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც ქვეყანაში შემოვიდნენ (ან, იშვიათ შემთხვევებში, გააფართოვეს თავიანთი საქმიანობა, თუ აქამდეც იმყოფებოდნენ უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვლამდე), გაზარდეს ცოდნა, ჰუმანიტარული სტანდარტები, პარტნიორობის შესაძლებლობები და რესურსები. ორგანიზაციებიც ადასტურებენ, რომ ეს ფაქტი დიდად გამოსადევთ აღმოჩნდა მათთვის. ფაქტობრივად, ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მოდის, ხშირად ნაწილდება არა დაბარალებულ ადამიანებზე პირდაპირ, არამედ ეროვნული და ადგილობრივი სსო-ების, მათ შორის, ქალთა ორგანიზაციების მეშვეობით.
8. ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციები ინტენსიურად ურთიერთობენ დაბარალებულ ადამიანებთან, რომლებიც მათ ძირითად სამიზნე ჯგუფად იქცნენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ხდება დაბარალებული ადამიანების საჭიროებების გულდასმით შეფასება სხვადასხვა მეთოდებით, დაბარალებულნი თითქმის არ არიან ჩართული ქალთა ორგანიზაციების რეაგირების პროგრამების შემუშავებაში. ამ მხრივ, წარმომადგენლობითობა რჩება უკიდურესად დაბალი. ამავდროულად, რამდენადაც გარკვეული ორგანიზაციები აგრძელებენ ომამდელ საქმიანობას, ისინი შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან ჩართულობის იმავე დონეს ინარჩუნებენ.
9. მთავრობასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა თანდათან იხვეწება, თუმცა ქალთა ორგანიზაციები ჰერაც არ არიან ჩართულნი პოლიტიკის შემუშავებაში, გადაწყვეტილების მიღებასა და ხელისუფლებასთან შეხვედრებშიც კი. მაშინაც კი, როდესაც ისინი აშ პროცესების ნაწილი არიან, მათ ხმას ძირითადად ადეკვატურად არ ისმენენ. თანამშრომლობა ძირითადად ადამიანების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გაცვლით (ჩვეულებრივ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომელიც არეგისტრირებს დაბარალებულებს, შესაბამისად, იცის სტატიკა) შემოიფარგლება.
10. უკრაინის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ უკრაინის ქალთა ორგანიზაციები უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ინსტიტუტებთან თანამშრომლობები, თუმცა სრულმასშტაბიანმა ომმა ამ თანამშრომლობაზეც ამბივალენტური გავლენა მოახდინა. ერთი მხრივ, მან თანამშრომლობის საჭიროება გაბარდა და ამით შესაძლებლობების ახალი გზები გაპვალა. მაგრამ, ამავე დროს, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის ინსტიტუტები უფრო დაუურული გახდა და ნაკლებად გამოთქვამენ მზადყოფნას თანამშრომლობისთვის.
11. საერთაშორისო ორგანიზაციები ქალთა ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორები და ცოდნისა და რესურსების წყაროები არიან. საერთაშორისო ორგანიზაციებზე/დონორებზე ამგვარი დამოკიდებულება ფართომასშტაბიანი ომის დაწყებიდან კიდევ უფრო გაიზარდა. ისინი უზრუნველყოფენ ქალთა ორგანიზაციებს ჰუმანიტარულ სტანდარტებთან დაკავშირებული ტრეინინგებითა და მიდგომებით და ამასთანავე, შეადგენენ მათი შემოსავლების არანაკლებ 95%-ს. ამავდროულად, ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი კრიტიკულად არის განწყობილი საერთაშორისო ორგანიზაციების ბიუროკრატის, გატანაურებული გადაწყვეტილების მიღების, ანგარიშებისა და ხილვადობის მოთხ-

- ოვნების და მფარველობითი დამოკიდებულების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის გან- მავლობაში ყველაფერი ნელ-ნელა იხვეწებოდა, ჰერ კიდევ არსებობს ქალთა ორგანიზაციების მეტი მოქნილობისა და გაძლიერების შესაძლებლობა პროგრამების დაგეგმვისა და უფრო დიდი ბიუჯეტის მართვის შესაძლებლობის თვალსაზრისით.
12. უკრაინული ქალთა ორგანიზაციებისთვის კრიტიკულ საკითხად დგას გადაწვა, ვინაიდან სრულმასშტაბი- ანი შემოჭრის პირველივე დღიდან ისინი შეზღუდუ- ლი რესურსების პირობებში მუშაობენ. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ორგანიზაციას ინდივიდუალურ დონეზე საკუთარ თავზე ზრუნვისა და გადაწვის (*burnout*) პრევენციის პოლიტიკა და სერვისები აქვს, ბერსონ- ალი მათ უგულებელყოფს და სულ უფრო და უფრო დაუძლურებული ხდება.
13. დადებითი მხარეც რომ აღვინიშნოთ, ქალთა ორ- განიზაციები ძალიან აქტიურად სწავლობენ (საერ- თაშორისო პარტნიორების მიერ შემოთავაზებული ტრენინგებიდან, საკუთარი გამოცდილებიდან) და უზიარებებ თავიათ გამოცდილებას სხვა ორგანი- ზაციებს. 2022 წლის განმავლობაში ორგანიზაციებ- მა კიდევ უფრო გააძლიერეს თანამშრომლობა და შეეცადნენ ერთიანი მოძრაობის სახით გაერთიანებუ- ლიყვნენ. თუმცა, მათ ესაჭიროებათ მეტი რესურსის გაწევა ურთიერთდახმარებისა და პარტნიორობის ქსელის შექმნაში, ვინაიდან ამჟამად არსებული რე- სურსების უმეტესობა დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად გამოიყენება.
14. თუმცა, ერთიანი მოძრაობა არის ქალთა უფლებები- სა და გენდერული ტრანსფორმაციის უფრო ძლიერი და წარმატებული ადვოკატირებისთვის საჭირო მთა- ვარი წინაპირობა. ქალთა ორგანიზაციებს სჭირდე- ბათ მეტი შეარდაჭრა, რათა მეტი ინვესტიცია ჩადონ მთავრობასთან ადვოკატირებაში, რათა გახადონ აღდგენისა და უსაფრთხოების პოლიტიკა უფრო ინ- კლუბიური და გენდერულად ტრანსფორმაციული.
- 4.11 ძირითადი რეკომენდაციები**
- 4.11.1 უკრაინული ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის**
1. გაგრძელდეს უნარების, შესაძლებლობებისა და გა- მოცდილების განვითარება, განსაკუთრებით:
 - დაზარალებულობათვის ჰუმანიტარული დახმა- რების გაწევა,
 - საჭარო ადმინისტრირება და პოლიტიკის შემუ- შავება, რათა ქალთა ორგანიზაციებს შეეძლოთ საჭარო პოლიტიკის შემუშავებაში ეროვნულ და
 2. ადგილობრივ დონეზე უფრო დიდი წვლილის შე- ტანა,
 - უფრო მეტი ჩართულობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორში,
 - წამომადგენლობითობის შექმნა,
 - ურთიერთობების დამყარება მედიასთან.
2. საკუთარი გამოცდილებებიდან არსებული ცოდნის სისტემებისა და პრაქტიკების გაძლიერება, გამოც- დილების გაზიარება სხვა ქალთა ორგანიზაციებთან და საო-ებთან; პარტნიორობისა და მხარდაჭერის მოძიება საერთაშორისო ორგანიზაციების/დონორე- ბისგან.
 3. დაზარალებულ ადამიანებთან და ქალთა ორგანიზა- ციების სხვა სამიზნე კვეთებთან ურთიერთობის პრაქტიკების შემუშავება და დანერგვა მათი მონაწ- ილეობის წახალისების, მათგან გამოსმაურების შეგროვებისა და წამომადგენლობითობის გაზრდი- სათვის. ამის მაგალითთა ისეთი დაზარალებული ადა- მიანების პოვნა, რომლებსაც აქვთ სამოქალაქო აქ- ტივიზმის გარკვეული გამოცდილება, აქვთ კავშირები სხვა დაზარალებულ ადამიანებთან და შეუძლიათ ერთგვარი შუამავლის როლი ითამაშონ.
 4. საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის გაძლიერება სხვადასხვა სცენარის შემუშავებით – დაწყებული ჩვეულებრივი ბიზნესით, საომარი მოქმედებების გაუარესებამდე და ენერგეტიკულ კრიზისამდე და ორგანიზაციებისთვის შესაბამისი რეაგირების შე- მუშავება. საგანგებო სიტუაციების დაგეგმვისას განხ- ილულ უნდა იქნენ არა მხოლოდ დაზარალებული ადამიანები და მათ საჭიროებთან დაკავშირებული სხვადასხვა სცენარი, არამედ ინსტიტუციური მდგრა- დობისა და განვითარების სხვადასხვა ვარიანტი.
 5. გენდერის შესახებ საჭარო ტრეინინგის შეთავაზება და ჩატარება ადმინისტრაციის, პოლიციის, შეიარაღებუ- ლი ძალების და უსაფრთხოებისა და თავდაცვის სე- ქტორის სხვა ინსტიტუტებისთვის, მედიისთვის, ბიზნე- სისთვის, საო-ებისთვის.
 6. საჭარო პოლიტიკის ყველა სფეროს გენდერული ანალიზის ჩატარება, განსაკუთრებით პუმანიტარუ- ლი მხარდაჭრის, ომისშემდგომი რეკონსტრუქცი- ისა და აღდგენის (ეროვნული აღდგენის გეგმის 24 მიმართულების მიხედვით), უსაფრთხოებისა და თა- ვდაცვის რეფორმების კუთხით, რეკომენდაციების/ წინადადებების შემუშავება საჭარო პოლიტიკის ყვე- ლა სფეროში გენდერული საკითხების საკანონმდე- ბლო ჩატარება, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების განსასაზღვრად.
 7. აღნიშნული რეკომენდაციების/წინადადებების საჭა- რო პოლიტიკის ყველა სფეროში, საკანონმდებლო ჩატარები, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმებში

- ინტეგრირების მონიტორინგი და ადგომატირება. თანამშრომლობა სსო-ებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ადგომატირების შედევების გასაძლიერებლად.
8. მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და გენდერის ექსპერტების ჩართვის ადგომატირება; საკუთარი ექსპერტული მოსაზრების შეთავაზება მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლების, სსო-ების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორებისთვის პოლიტიკის/პროგრამის შემუშავების პროცესში, რათა მათი პოლიტიკა და პროგრამები იყოს გენდერულად მგრძნობიარე ან გენდერულად ასახავდეს ქალთა საჭიროებებს.
 9. ქალთა ორგანიზაციებს შორის ქსელების მხარდაჭერა:
 - თემატური და რეგიონული კოალიციების დაარსება,
 - ქალი ლიდერების, აქტივისტების, ქალთა ინიციატივებისა და ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა,
 - რეგულარული სტრატეგიული დაგეგმარებისა და გამოცდილების გაზირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა კოორდინაციისა და თანაბმშრომლობის გასაძლიერებლად.
 - საერთაშორისო ორგანიზაციებისგან/დონორებისგან ქსელების შესაქმნელად საჭირო რესურსების მოძიება.
 10. საერთაშორისო საკოორდინაციო პლატფორმების ჩამოყალიბება უკრაინულ ქალთა ორგანიზაციებისა და იმ ქვეყნებში არსებულ ორგანიზაციებთან, რომლებიც უკრაინელ მიგრანტებს მასპინძლობენ, გამოცდილების გაცვლისა და ტრანსსასმიგრაციული პუმანიტარული საკითხების ერთობლივად გადაჭრისთვის.
 11. იმგვარი ადგომატირების წარმოება, რომლის შედეგადაც საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც პროგრამებს უკრაინაში ან უკრაინელი ქალებისთვის ახორციელებენ, ჩართავენ ქალთა ორგანიზაციებს თავიანთი პროგრამების შემუშავებაში, უკრაინულ ქალთა ორგანიზაციებთან და უკრაინელ ქალებთან კონსულტაციების სახით.
 12. ორგანიზაციული პოლიტიკა გადაწყვის (*burnout*) პრევენციისა და პერსონალისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფის კუთხით გასაძლიერებლად, ასეთი პოლიტიკის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციებმა მოიძიონ რესურსები საერთაშორისო ორგანიზაციებისგან/დონორებისგან.
 13. პერსონალის წახალისება იზრუნონ საკუთარ თავ-
- ზე, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლონ კრიზისზე რეაგირება, ვინაიდან მსგავსი მოცემულობა შეიძლება მრავალი თვის და შესაძლოა, წლის გან-მავლობაში გაგრძელდეს.
- #### 4.11.2 დონორებისთვის, მათ შორის გაეროს სააგენტოებისთვის, სსვა საერთაშორისო მთავრობათაშორისი თრგანიზაციებისთვის, საერთაშორისო არასამთავრობო თრგანიზაციებისთვის და ორმხრივი დონორებისთვის
1. უკრაინაში არსებული ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების შესაძლებლობების დანახვა და აღიარება, განსაკუთრებით ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პრიორიტეტებს შორის ბალანსის მონახვისა და შენარჩუნების ნაწილში.
 2. უკრაინის ქალთა ორგანიზაციების რეგულარული ჩართვა სატულფასოვნ პარტნიორებად და ექსპერტებად სიტუაციის ანალიზში და უკრაინაში განხორციელებული პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში.
 3. უკრაინელი ქალების სხვადასხვა ჯგუფთან (ხანდაბმული და ახალგაზრდა, სოფლად და ქალაქად მცხოვრები, უკრაინაში და საზღვარგარეთ მცოფი უკრაინელი ქალები, შემდგუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ლგბტქ და სხვ.) კონსულტაციების ჩატარება (პირდაპირ და ქალთა ორგანიზაციების მეშვეობით) მათი საჭიროებების განსასაზღვრად, მათი ჩართულობისთვის მოსახერხებელი გზების საპოვნელად და უკუკავშირის გასაზიარებლად.
 4. ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებისთვის საგრანტო პროცედურების გამარტივება, ეფექტურობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებთან შესაბამისობის შენარჩუნებით. მაგალითად, შეიძლება განხილულ იქნას ელექტროენერგიისთვის საჭირო გენერატორების დაჩქარებული შესყიდვა საავადმყოფებისთვის, სკოლებისთვის, დევნილთა განსახლების ცენტრებისთვის და სხვა კრიტიკული ინფრასტრუქტურის თბილებებისთვის, რადგან ასეთი გენერატორების საჭიროება უახლოესი თვეების გან-მავლობაში შენარჩუნდება.
 5. ანგარიშების გამარტივება ქალთა ორგანიზაციებისთვის, დეტალიზირებისა და სიხშირის შემცირების გზით. ქალთა ორგანიზაციებს უკვე აქვთ პროცეტების შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის ძლიერი უნარები, ისევე როგორც შესაძლებლობები პატიოსნებისა და ეფექტურობის მაღალი დონე აჩვენონ.
 6. ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების ადგომატირების მხარდაჭერა ან ქალთა ორგანიზა-

ციების თემების ერთობლივი ადგოგატირება, განსაკუთრებით:

- ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და გენდერული ექსპერტების ჩართვა მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში,
- გენდერის საკითხების შემოტანა საკანონმდებლო ჩარჩოში, პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებში საჭარო პოლიტიკის ყველა სფეროში, მათ შორის პუმანიტარული დახმარების, აღდგენისა

და რეკონსტრუქციის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის რეფორმებში.

7. მიზნობრივი ბიუჯეტის გამოყოფა ორგანიზაციებისთვის:

- გადაწვის (*burnout*) თავიდან ასაცილებლად,
- ორგანიზაციული შესაძლებლობების გასაძლიერებლად,
- ორგანიზაციათა ქსელის გასაძლიერებლად და კოალიციის შესაქმნელად.

5

იპიონების სტრიქონების შორის: საქართველო

**უსაფრთხო სიცოდეების ხელახალი განსაზღვრა
უკრაინაში რესეტის ომის ფორმე⁹**

არსებულ ჯგუფებს შორის რესურსების ნაკლებობა, ისევე როგორც უთანასწორობა პერიფერიაში ახლად დაარსებულ, მცირე ინიციატივებსა და უფრო დიდ, ძველ ორგანიზაციებს შორის დედაქალაქში, ომის შედეგად გამოწვეული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე კიდევ უფრო დრამატული გახდა. შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობები და საქართველოს მთავრობისა გან მხარდაჭერის არარსებობა უამრავ ადამიანს აიძულებს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გაემგზავროს. გარდა ამისა, უსაფრთხოების საკითხები ასევე თამაშობენ თავიანთ როლს პოლიტიკური ნიშნით გაქცეულთათვის, რომლებიც თავშესაფარს სხვა ადგილებში ეძიებენ.

მთლიანობაში, წინააღმდეგობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ნაციონალისტური, ანტიიმპერიული და ანტიავტორიტარული. უკრაინის ომის პირდაპირი შედეგების, მზარდი ავტორიტარიზმისა და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში, აქტივისტები, განსაკუთრებით კი, ქალები და ქვიარები, მძიმედ დაზარალდნენ. მათი მენტალური ფანმრთელობა და ფიზიკური უსაფრთხოება უკანა ფლანგზე მოქმედობი, რადგან არ არსებობს ამ თემების გაძლიერების დიდი რესურსი.

რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტებისა და ჰუმანიტარული კრიზისის გაგრძელებასთან ერთად, ცხადი გახდა, რომ საჭიროა უსაფრთხოებისა და ფემინისტური მშვიდობის უფრო პოლიტიკური ხედგა, რომელიც ნაციონალისტურ განხეთქილებას გადალახავს და უფრო მოქნილი და პირდაპირი გზებით მოახდენს რესურსების მობილიზებას. მიუხედავად იმისა, რომ საერთო გადაკვეთის წერტილების პოვნა და გამოიყენების უფლებლობა კრიზისის დროს ასევე უფრო თვალსაჩინო გახდა, ამ საკითხს სიფრთხილით და თემის სპეციფიკური გენდერული და ინ-

დივიდუალური კონტექსტის გათვალისწინებით უნდა მიუდგეთ.

5.1 შესავალი

უკრაინაში რუსეთის საულმასშტაბიანი ომის დაწყებით, ევრაზიის კონტინენტს ძალადობისა და შოკის ტალღა დაატყდა თავს. ეს მტკიცნეულად განიცადეს საქართველოშიც. ქვეყნა, რომელსაც 2008 წელს რუსეთთან ომი თავადაც პქნდდა გამოცდილი, ეკონომიკურად ჭერ კიდევ მასზე დამოკიდებული, თუმცა პოლიტიკურად მისგან საკამაოდ მოწყვეტილი იყო და ცდილობდა ევროკავშირის წევრი გამხდარიყო, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მასობრივი დემონსტრაციები ყველა ქალაქში, ნებაყოფლობითი სამხედრო თვითმობილიბაცია, ცნობიერების ამაღლება და ქველმოქმედება მხოლოდ რამდენიმე ძირითადი გზა, რომლითაც ქართული საზოგადოება უკრაინის მხარდასაჭერად გაერთიანდა. მეორე მხრივ კი, საქართველოს მთავრობა ძირითადად უგულებელყოფდა ომის შედეგად შექმნილ საფრთხეებს და ორმაგი თამაშის თამაშს მისყო ხელი, რომლითაც დისკურსულად მხარს უჭერდა უკრაინას, თუმცა მუდმივად აკრიტიკებდა მის ხელმძღვანელობას ქართული ოპოზიციური პარტიების დისკრედიტის მიზნით, რომლებიც უკრაინის მთავრობასთან უფრო მეტად არიან დაკავშირებულნი.

მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა მანიპულაციის საგნად ხალხში არსებული ომის შიში გამოეყენებინა, რათა ევროკავშირში ინტეგრაციისთვის საჭირო მოთხოვნების შესრულებლობა გაემართლებინა. საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფონზე, საქართველოს ენერგიულმა, მრავალეროვნულმა სამოქალაქო საზოგადოებამ ომის შედეგად წარმოქმნილ კრიზისებთან გამკლავებაში მნიშვნელოვანი როლის თამაში დაწყო.

ამ ტექსტში მე ფემინისტური პერსპექტივიდან ვაანალიზებ საერთაშორისო აქტივისტების მობილიზაციისა და სივრცეების შექმნის შესაძლებლობებს საქართველოში. ანალიზისთვის ვიყენებ 2020 წლიდან დღემდე მოვლენ-

⁹ მადლობა: მანდა მადლობა გადავუხადო ჩემს რესპონდენტებს, ასევე მეობრებსა და კოლეგებს, რომლებიც ამ კვლევის განხორციელებაში დამებარენ.

ებს, კოვიდ-19-ის პანდემიას, ყარაბაღის მეორე ომს და პოლიტიკურ რეპრესიებს ბელორუსსა და რუსეთში, როგორც არსებული სიტუაციის კონტექსტშიამაღიანის ჩარჩოს და საქართველოში ქალებისა და ქვიარების მიერ მართული სივრცეების პოტენციალის გაგების გზას. პოლევის უპირველესი მიზანია განიხილოს სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები და გამოწვევები უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრისა და მის მიერ შექმნილი კრიზისის ფონზე. უფრო კონკრეტულად, ეს კვლევა პასუხობს შემდეგ შეკითხვებს:

- როგორ ფუნქციონირებს საქართველოში ქალების ხელმძღვანელობით არსებული სახელოვნებო, ფემინისტური, ქვიარ და პოლიტიკური სივრცეები?
- რა რისკებისა და გამოწვევების წინაშე დგანან ამ პროცესში აქტივისტები, ხელოვანები და სამოქალაქო აქტორები?
- არის თუ არა რაიმე სახის თანამშრომლობა და მსგავსი ხელვები საქართველოში ამჟამად მოქმედ აქტივისტებს, კოლექტივებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის და რა არის მათთვის მთავარი დაბრკოლება?

ტერმინი სამოქალაქო საზოგადოება ხშირად აღწერილია, როგორც „კანონით დაცული არასამთავრობო ინსტიტუტების გაერთიანება“¹⁰. უფრო კონკრეტულად, ამ კვლევის მიზნების შესაბამისად, „სამოქალაქო საზოგადოების“ სახელის ქვეშ განვიხილავ რეგისტრირებულ არასამთავრობო ინსტიტუტებს, არაფორმალურ ინიციატივებს, ჯგუფებს, მოძრაობებს და ინდივიდებს, რომლებიც ზრუნვის, სოციალური პოლიტიკის, აქტივიზმისა და სოციალური მეწარმეობის სფეროში მოღვაწეობენ. მსგავსი სივრცეები, „დისკურსულად განხილულია, როგორც ფემინური“, განსხვავებით, „ინსტიტუციური პოლიტიკისგან, რომელიც ხშირად აღწერილია როგორც მასკულიური“ და მათ შორის ზღვარია გავლებული¹¹. ასეთი აღქმა ხშირად „რეალურ“ საჯარო და პოლიტიკურ სივრცედ აღიარებს მხოლოდ ინსტიტუციურ პოლიტიკას, ხოლო სამოქალაქო/ფემინიზმულ სივრცეებს აპოლიტიკურად აქცევს.

ამის საპასუხოდ, მსურს განვავითარო საზოგადოებრივი პოლიტიკური სფეროს, როგორც „მრავალი, „საზოგადოებისგან“ შემდგარის პერსპექტივა“¹². საერთაშორისო აქტივიზმისა და ზრუნვის ნახევრად საჯარო და საჯარო სივრცეებს აქვთ პოლიტიკური ცვლილებების პოტენციალი. ამ სფეროში მოქმედი აქტორები თავის აგენტობას სხვადასხვა სუბიექტთან მოლაპარაკებისას ავლენენ: სახელმწიფოსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნესთან, საზოგადოებასთან, კონკრეტულ თემებთან

და ბოლოს, ერთმანეთთან. ზუსტად ეს ურთიერთგავშირი არის შესავალი პუნქტიც ჩემს კვლევაშიც.

ამ კვლევის კიდევ ერთი საკვანძო ტერმინია „პოლიტიკური სივრცე“. მსურს ის ფემინისტური ეთნოგრაფიული ტრადიციის სულისკვეთებით განვმარტო და ამისთვის ჩემი რესპონდენტების სიტყვები გამოვიყენო: „სივრცე არ არის იგივე, რაც უბრალოდ ადგილი. როდესაც აქტივისტულ ან სახელოვნებო სივრცეზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ კრიტიკული აბროგებისა და დიალოგის სივრცეს. შეიძლება არსებობდეს ასეთი ადგილი, მაგრამ არა სივრცე“¹³. ფემინისტური ორგანიზაციები და ინიციატივები, აქტივისტები და კოლეგები, რომლებსაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლებაში შექვედრივარ და რომლებთანაც ვთანამშრომლობდი, ასევე ხშირად უსვამდნენ ხაზს ზრუნვის, როგორც პოლიტიკური აქტის მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც ჩემი რესპონდენტები არ აფასებდნენ თავიანთ საქმეს, როგორც აუცილებლად პოლიტიკურს, მათი ჩართულობა ზრუნვასა და უსაფრთხო სივრცეების შექმნაში განხილული იქნება პოლიტიკურ აგენტობასთან მიმართებაში.

აგენტობა ძალზე სადაცო ტერმინია ფემინიზმსა და აქტივიზმში. იგი ხშირად განხილულია არსებული ისეთი ძალაუფლების სტრუქტურებთან წინააღმდეგობაში, როგორებიცაა რეპრესული სახელმწიფო, სამხედრო ისთაბლიოშენთი, მჩაგვრელი კულტურული პრაქტიკა (მაგ. ქალის სექსუალობის კონტროლი) და ა.შ. თუმცა, აგენტობის ცნება წარმოშობას არაერთ კითხვის ნიშანს იმ კონტექსტში, რომელიც (ყოველდღიური) პოლიტიკისა და აქტივიზმის ჩვენებულ „ჩვეულ“ გაგებას სცილდება. მაგალითად, როგორ წარმოგვიდგნია ქალები მხარს უჭერდნენ ისეთ მჩაგვრელ სტრუქტურებს, როგორიცაა სამხედრო ისთაბლიოშენტი? ან ითავსებდნენ ქალისთვის წინააღმდეგულ თავსმოხვეულ კულტურულ ნორმებს, რათა საკუთარი ფიზიკურ-ემოციური უსაფრთხოება, სოციალური მდგრმარეობა და ა.შ. უზრუნველყონ. ამ მხრივ, მსურს აგენტობის ცნებას სუბიექტის განმრაბვასთან და სურვილთან მიმართებით მივუდგე¹⁴, რომელიც აქტივურად იქნება ჩართული ზრუნვის პრაქტიკაში, პოლიტიკაში, ძალაუფლების სტრუქტურებში და ა.შ. და არ შემოიფარგლება მხოლოდ მჩაგვრელი ინსტიტუტების, აქტორების, სისტემების წინააღმდეგ მოქმედებით. ეს არის მუდმივად მოძრავი, მდინარე პრაცესი/პრაქტიკა და გაგებულ უნდა იქნას ძალაუფლების არსებული ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე.

პოლიტიკური სივრცისა და აგენტობის ასეთი ფართო განმარტებით საკმაოდ რთული აღმოჩნდა ინტერესთა კვეუფებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების შეგროვების სფეროების დავიწროება. საქართველოში აქტივიზმის

¹⁰ Keane, 2010.

¹¹ Salmenniemi, 2005, გვ. 736.

¹² იუკო.

სხვადასხვაგვარი დინებების აღსაბეჭდად, ჩემი მეთო-დი დავაფუძნე ომის კონტრეტულ შედეგებზე, რომელთა წინაშეც დადგნენ ქვიარ, ფემინისტი და ომის წინაღმდევ მყოფი აქტივისტები. ძირითადი სამიზნე ჰგუფები და სივრ-ცები, რომლებიც გამოვყავი, განხილული იქნება შემდეგ განყოფილებაში მეთოდოლოგის შესახებ.

5.2 მათოდოლოგია

საქართველოშე ომი და მისი შედეგები პირდაპირ გავ-ლენას ახდენს და მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, სავარაუდო, კიდევ უფრო სარისკო გახ-დება. თუმცა, საქართველო ჰერ კიდევ რჩება შედარე-ბით უსაფრთხო ქვეყანად სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვანი ჰგუფებით, რომლებიც უკვე ამა თუ იმ გზით ცდილობენ დაძლიონ ომის შედეგად შექმნილი გა-მოწვევები.

ამ კვლევის წერისას, ომი ჰერ კიდევ გრძელდება და ბო-ლო არ უჩანს, ამიტომ ის რჩება ყველაზე საზიანო მდგო-მარეობად, რომელშიც ვცდილობ ქვეყანაში რეგიონული აქტივისტების მობილიზება და სივრცეების შექმნის ტენ-დენცია გავიგო. თუმცა, მსურს ცოტა უფრო შორსაც წავიდე და ის სიტუაცია, რომელშიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ-სებული აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციე-ბი აღმოჩნდნენ, ბოლო ორი წლის განმავლობაში გან-ვითარებული მოვლენების კონტექსტში მოვაქციო. ომის გარდა, ოთხი ძირითადი წინაპირობის გამოვლენა შეგვი-ძლია: (1) **Covid-19**-ის ვლობალური პანდემია; (2) **2020** წელს ბელორუსში მომხდარი სამოქალაქო აჯანყება და ლუკაშენკოს მთავრობის რეპრესიები; (3) **2021** წელს ნავალნის მიტინგები და რეპრესიები რუსეთში; (4) **2020** წელს ყარაბაღის მეორე ომი სომხეთსა და აზერბაი-ჯანს შორის. ცხადია, სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების დასახელებაც შეგვიძლია, როგორიცაა მაგალითად, **2022** წელს არეულობა ყაზახეთში (ცნობილი „იანვრის ტრა-გედიის“ სახელით). თუმცა, ყაზახეთის მთავრობის მიერ აჯანყებისა და შემდგომი წმენდების შედეგებს პირდაპი-რი გავლენა არ მოუხდენა სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაციების საქართველოში; შესაბამისად, მხოლოდ იმ ფაქტორებზე გავამახვილებ ყურადღებას, რამაც ეს აქ-ტივისტები და სივრცეები ქვეყანაში შემოიყვანა. კვლევის მონაწილეების ინტერვიუებიც ამ წინაპირობების გათ-ვალისწინებით ჩატარდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მონაწილეთა უმეტესობა ქალები და ქვიარ ადამიანები იყვნენ. ამის მიზეზი ორგვარია: სამოქალაქო აქტივიზმში უფრო ხშირად სწორედ ქალები და ქვიარები არიან ჩარ-თულნი. და მეორეც, უკრაინაში რუსეთის შეჭრით შექმნი-ლი ბუმანიტარული და ეკონომიკური კრიზისი არაპრო-პორციულად აისახა მოწყვლად და ზოგადად, დაუცველ კბუფებზე.

მნიშვნელოვანი იყო იმ სივრცეების აღრიცხვა და დათვა-ლიერება, რომლებიც უკრაინიდან დევნილთათვის დახ-მარებას უზრუნველყოფნენ და თავის თავში პოლიტიკურ და სოციალურ მნიშვნელობას ატარებდნენ. საქართვე-ლოს სახელმწიფოს მხრიდან უკრაინელი ლტოლვილები-სთვის დახმარების სიმცირის გათვალისწინებით, ამას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „თოვლის გუნ-დის“ მეთოდის გამოყენებითა და მონაწილეთა აქტიური დაკირვების საშუალებით აღმოვაჩინე აქტივისტები და უურალისტები საქართველოდან, უკრაინიდან, აზერბაი-ჯანიდან, რუსეთიდან, ბელორუსიდან, რომლებიც აქტი-ურად იყვნენ ჩართულნი სივრცეების შექმნაში, პოლიტი-კურ და ჟუმანიტარულ საქმეებში.

საერთო ჯამში, ჩატარდა **20** სიღრმისეული ინტერვიუ **23** ადამიანთან. ყველა რესპონდენტის ასაკი **22-50** წე-ლი იყო. გარდა ინტერვიუებისა, ასევე ვესაუბრე რამ-დებიმე აქტივისტს, მოვინახულე **10-8** მეტი სხვადასხვა სივრცე სადაც რესპონდენტები სოციალიზაციას ეწევიან და მუშაობენ – ოფისები, საერთო სამუშაო სივრცეები, გალერეები, კაფეები, საზოგადოებრივი ბარები, საჯარო სივრცეები, ფემინისტური ბანაკები. ყველა ინტერვიუ არა-ფორმალური ხასიათის იყო და ჩემთვის ადვილი აღმოჩნ-და რესპონდენტთა ნდობის მოპოვება, ვინაიდან თავად ვარ ჩართული რეგიონში როგორც ფემინისტურ, ასევე სამშვიდობო აქტივიზმში. მთელი კვლევის განმავლობა-ში, ასევე გამოიკვეთა ადამიანების ერთმანეთთან დაკა-ვშირების შესაძლებლობაც. განსაკუთრებით მადლიერი ვარ სწორედ ამისთვის, რადგან ეს ზუსტად ასახავს მსგავ-სი ინიციატივების პრაქტიკულ საჭიროებას.

გარდა პრაქტიკული მიზნებისა, როგორიცაა საერთაშო-რისო თანამშრომლობისა და აქტივიზმის მხარდაჭერა საქართველოში, ეს კვლევა ასევე თავის კვალს ტოვებს პოსტსაბჭოთა სივრცის დეკოლონიურ აქტივიზმში. დეოკ-უპაციის ნაცვლად, ტერმინ დეკოლონიურს იდეოლო-გიური მიზებების გამო ვიყენებ. დეოკუპაცია და ანტისა-ოკუპაციო მოძრაობა, საქართველოში უპირველესად ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიულმა ხალამ უკვე ითამაშა და დღემდე თამაშობს საზიანო როლს ამ კონფლიქტებში, მისი ჩარევა სცილ-დება უხეში ძალის მეშვეობით ტერიტორიების დაუფლე-ბას. მეტიც, სხვადასხვა ტერიტორიებზე, როგორებიცაა მაგალითად ბელორუსი, სომხეთი, აფხაზეთი თუ სამხრეთ ოსეთი, ის მოქმედებს მოკავშირე ან მფარველი სახელ-მწიფოს სახით, რითაც კონფლიქტური ურთიერთობები განხეთქილებამდე მიჰყავს.

ტერმინები კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი იშვია-თად გამოიყენება ქართულ საჯარო დისკურსში და მას იშვიათად ახსენებენ რესპონდენტებიც: თუმცა, ამ ტერ-მინების შინაარსები ხშირად იყო ნაცულისხმევი რუსეთის დომინირების არამატერიალურ შედეგებზე საუბრისას. კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ ბელორუსიდან აღნიშ-

ნა, რომ მათი აზრით, ლუკაშენკოს მეშვეობით რუსეთს მათი ქვეყანა იკუპირებული აქვს. ამ შემთხვევაში ისინი გულისხმობდნენ არა ფიზიკურ იკუპაციას, არამედ ხალხისთვის საზოგადოების ბედის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების ჩამორთმევას. მსგავსი სურათი ყურადღებას ნაციონალისტური განხეთქილების მიღმა არსებულ ძალადობაზე ამახვილებს, ვინაიდან აღნიშნული აქტორები და სივრცეები ონლაინ ინაცვლებენ, გაცვლისა და ზრუნვის სივრცეები საკუთარ თავზე იწვნევენ იმპერიალისტური და ავტორიტარული ძალაუფლების შედეგებს.

ამასთანავე, იძულებით გადაადგილებული ადამიანებისა და მარგინალიზებული თემების პერსპექტივიდან ისტორიების მოყოლა კიდევ უფრო უწყობს ხელს სოციალური ისტორიის გადაწერას სახელმწიფოებისა და მათი ოფიციალური ლიდერების ნარატივების მიღმა.

მიუხედავად თავისი ამბიციური პოზიციისა, ეს კვლევა მანიც შემოიფარგლება საერთაშორისო პოსტსაბჭოთა (თუნდაც აქტივისტური) საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილით და არ შეიძლება განზოგადდეს თუნდაც საქართველოში მოქმედ საზოგადოებრივ ჯგუფებზე. თუმცა, ის გვაძლევს კარგ საწყისს საერთაშორისო მობილიზაციის შემდგომი კვლევისთვის პოსტსაბჭოთა რეკიონში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ მრავალფეროვან პოლიტიკურ სივრცედ საერთო ისტორიითა და ურთიერთდაკავშირებული აწმყოთი. შემდეგ თავში ავხსნით, თუ როგორ ჩამოაყალიბა წარსულის მოვლენებმა დღევანდელი რეალობა.

5.3 კონტენტი - როგორ მოვადით აქამდე?

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრა საზიანო მოცემულობად რჩება საქართველოში საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების გაგებისთვის, მისი ამჟამნდელი სახე, უბირველესად, 2020-2021 წლების მოვლენებში იღებს სათავეს.

2020 წელს Covid-19-ის პანდემიის დაწყებამ სხვადასხვა სახის პოლიტიკური პროცესი დარჩა. პოსტსაბჭოთა სივრცის სხვადასხვა ქვეყანამ მასთან გამკლავების (ან არგამკლავების) განსხვავებული გზები აირჩია. საქართველოში შემოლებულ იქნა მკაცრი ჩაკეტვა (*lockdown*), მთავრობის შეჩღუდული მხარდაჭერის შედეგად კი, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფები ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ დაგნენ. კვლევამ აჩვენა, რომ უკვე არსებული სიღარიბის გარდა, ქვიარ თემის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა¹⁵ და სათანადო საცხოვრებლის არარსებობის პირობებში, იძულებით გადაადგილებულ ქალებს პანდემიის პერი-

ოდში დამატებითი ხარჯების გაღება მოუწიათ¹⁶. ამავე წელს ასევე იმატა გრძელებული ნიშნით ოჯახში ძალადობამაც. ეს პრობლემები უფრო დრამატულად აისახა ქეყნის პერიფერიაზე, სადაც ჯანდაცვაზე, პოლიციის მხრიდან უსაფრთხოების გარანტიზებზე და სამუშაოსა და შემოსავლის უსაფრთხოებზე წვდომა ისედაც მწირია¹⁷.

ფემინისტური და ქვიარ ორგანიზაციები დიდწილად კონცენტრირდნენ ჰუმანიტარული დახმარების გაწევაზე. ისინი ამ პერიოდს ძალიან რთულ დროდ ისხენებენ, როდესაც არაფერი იყო ნათელი, უნდა შეგუებოდნენ ახალ რეალობას, გადაეტანათ თავიანთი სერვისები და აქტივობები ონლაინ, შეესრულებინათ სამუშაო, რომლის გამოცდილებაც არ ჰქონდათ. აქტივისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების ემოციური და ერთიანი უსაფრთხოება დიდწილად დაბარალდა. „როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიძრა, ჩვენ სულ ახლახანს გახსნილები ვიყავით და ისევ მოგვიწია ადამიანების სიკვდილის შიშის რეჟიმში დაბრუნება. კიდევ ერთხელ მოგვიწია მუშაობის გაგრძელება და მორგება. ემოციურად ძალიან მძიმე იყო“, – ამბობს აქტივისტი მარნეულიდან.

ამ ეტაპზე საქართველოში უკვე იმყოფებოდა რამდენიმე აქტივისტი რუსეთიდან და ბელორუსიდან, რომლებიც 2020 წლიდან ჩამოვიდნენ. ამგვარი მიგრაციის მიზეზი ქვეყნებში გაბატონებული რეპრესიები იყო.

რუსეთში რეპრესიებს და სამოქალაქო საზოგადოებასა და ოპოზიციაზე თავდასხმებს ბოლო 10 წლის განმავლობაში არასისტემატური ხასიათი ჰქონდა. 2013 წლიდან მოყოლებული, ე.წ. გვი პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის შემოღება და კანონმდებლობა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს აიძულებს უცხოეთის აგენტებად დარეგისტრირდნენ, მიანიშნებდა სახელმწიფო კონტროლის და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ პოლიტიკის გამკაცრებაზე. მიუხედავად ამისა, მანიც რჩებადნენ აქტივისტები, უკრაინისტები და ხელოვანები, რომლებიც გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე მუშაობდნენ. 2021 წლის იანვარში გაიმართა მრავალრიცხოვანი აქციები ოპოზიციის დაპატიმრებული ლიდერის აღეჭქესი ნავალნის მხარდასაჭერად. ჟუტინის მთავრობამ ეს პროტესტი ჩაახსიო. შესაბამისად, საქართველო რეჟიმს გამოქცეული მრავალი აქტივისტისა და ხელოვანის თავშესაფარი გახდა. რადგანაც ამ რეპრესიებმა ყველანაირი პოლიტიკურად აქტიური ადამიანი ჩამოიყვანა, მათ შორის ბევრი ქვიარ და ფემინისტი აქტივისტი აღმოჩნდა. საქართველოს არჩევის მიზეზი ქვეყანაზე მარტივი წვდომა იყო – ევროკავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველომ შემოუშვა ხალხი „სპუტნიკის“ ვაქცინით, შესთავაზი უგიზოდ ყოფნა ერთი წლის განმავლობაში და შედარებით იაფი ფასები.

¹⁶ For more information see the Public Defender's Office in Georgia, *The Influence of Covid Pandemic on Conflict-affected Women and Girls*, 2021, Last retrieved on 31 August 2022 <https://bit.ly/3KwCR40>

¹⁷ Public Defender's Office in Georgia, 2021, Annual Report on The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia 2020

¹⁵ Tabidze N. Employment and Labor Rights of LGBTI Community (In the Context of Covid-19 Pandemic), 2021, Equality Movement: Tbilisi, Last retrieved on 31 August 2022 <http://www.equality.ge/en/7404>

საკუთარი საქმიანობაც უნდა გაეგრძელებინათ. თუმცა, საველე სამუშაოების დროს, ომის პირველი შოკი გაქრა. პირველი კვირებისგან განსხვავებით, როდესაც რესპონ-დენტები, როგორც თავად ამბობდნენ, მუდმივად ათვა-ლიერებდნენ ახალ ამბებს და ვერ ახერხებდნენ კონცენ-ტრირებას, ახლა ზოგიერთმა მათვანმა უკვე იპოვა გზები ომის საწინააღმდეგო აქტივიზმში ჩასართავად, ზოგი კი აგრძელებს სხვა საკითხებზე მუშაობას და სიტყვიერ თუ სიმბოლურ მხარდაჭერას.

მთლიანობაში, აქტივისტების მენტალურ ჯანმრთელო-ბას დიდი ზიანი მიადგა. ისინი, ვინც ომის წინააღმდეგ არსებულ აქტივობებში უშუალოდ მონაწილეობდნენ, აღნიშნავდნენ გადაწვის (burnout) ნიშნებს, თუმცა იშ-ვიათად იყენებდნენ ამ სიტყვას ინტერვიუების დროს. სხვებმა უფრო მეტად გაამახვილეს ყურადღება ამ სიტუ-აციაში არსებულ შიშვა და მწუხარებაზე. ქვიარ და ფემ-ინისტურ ორგანიზაციებში უკვე არსებობს მენტალურ ჯანმრთელობასა და ინტეგრირებულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რესურსები, მაგ. ქვიარ და ფემინისტუ-რი ორგანიზაციები თბილისში ატარებენ უფასო სესიებს ფინანსუროვან და ფსიქიატრთან ქვიარ ადამიანებისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, ზო-გიერთი ინიციატივა ასევე ითვალისწინებდა უკრაინელი ლტოლვილების არტ თერაპიასაც. მიუხედავად ამისა, მენტალური ჯანმრთელობის სერვისების, ისევე როგორც ამ თემებთან დაკავშირებით ფართო საზოგადოებისა და მოწყვლადი თემების ინფორმირებულობის ნაკლებობა კვლავ რჩება პრობლემად. სერვისის მიწოდება ფრაგმენ-ტულია, რადგან არ არსებობს შესაბამისი სტრატეგია და საქართველოში სოციალური სერვისები ძირითადად არ ფინანსდება. შესაბამისად, ორგანიზაციები საკუთარ თავ-ზე სახელმწიფოს ფუნქციებს იღებენ. მეტიც, უკრაინელი ლტოლვილების გარდა, ჯანდაცვის სერვისების უმრავ-ლესობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვისაა ხელმისაწვდომი.

მენტალური ჯანმრთელობის სერვისებისგან განსხვავე-ბით, რეპროდუქციულ და სექსუალურ ჯანმრთელობას-თან დაკავშირებული სხვა სერვისები ქვიარებისთვის, რომლებიც უკრაინიდან, ბელორუსიდან, აზერბაიჯანიდან ან რუსეთიდან ჩამოდიან, უფრო ადვილად ხელმისაწ-ვდომია. ქვიარ ორგანიზაციები თბილისსა და ბათუმში უზრუნველყოფენ მათ უფასო პრეზერვატივებით, ლუ-ბრიკანტებით, აივ და ჰეპატიტის ტესტირებით. თუმცა, ყველას არ აქვს ინფორმაცია ამ რესურსების არსებობის შესახებ და აივ და ნარკოტიკული საშუალებების მოხ-მარების პრობლემები მიგრანტთა თემებში დიდწილად უგულებელყოფილია. ზოგიერთმა რუსულმა ინიციატი-ვამ რუსულენოვან სამოგადოებაში დაიწყო ზიანის შემ-ცირების უზრუნველყოფა, თუმცა ეს აქტივობები ძალიან მოწყვეტილია ადგილობრივ ინიციატივებს და არ გააჩნი-ათ აივ-ის სამკურნალო სერვისები, რომლებიც ისევ და ისევ მხოლოდ მოქალაქეებისთვისაა ხელმისაწვდომი.

ეს გეი და ტრანს თემში აივ-ის შესაძლო პანდემიის რისკს ემნის.

მატერიალურ, მენტალურ და ადამიანურ რესურსებთან ერთად, ხშირად იყო საუბარი უსაფრთხოებისა და ტრაგეტის შესახებ, რომელიც გამოწვეული იყო დაუცვე-ლობის განცდით პოლიტიკური ნიშნით გამოქვეულთა შორის, განსაკუთრებით კი, აზერბაიჯანულ თემში.

5.7 დაცულობა და უსაფრთხოება

ყველა გამოკითხულმა ისაუბრა უსაფრთხოების საკითხ-ებზე, თუმცა ძირითადად მათი წარმოშობის ქვეყანასთან და არა საქართველოს მთავრობასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელის საფრთხოების შესახებ უფრო ინფორმირე-ბული მხოლოდ აზერბაიჯანული თემი აღმოჩნდა. „თუ მი-ზანში ხარ ამოღებული, დაცული არსად ხარ. ადამიანებს საფრანგეთსა და გერმანიაშიც მუდმივად კლავენ. საქა-რთველო განსაკუთრებული შემთხვევა არ არის. თუმცა თვალთვალი აქ უფრო ადვილია“, – აღნიშნავს მშვიდო-ბის დამცველი აზერბაიჯანიდან.

„ხშირად გხეულობთ, რომ სამ რუსს შორის ერთი აგენ-ტია“, – თქვა ინტერვიუში ერთ-ერთმა რუსმა უურნალ-ისტმა. მისი კომენტარი მეტყველებს, რომ რუსეთიდან გამოცეულებს მშვინივრად ესმით პრობლემა. ბელო-რუსიდან გამოცემულ აქტივისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის რაიმე შეშ-ფოთება უსაფრთხოების შესახებ არავის გამოუთქამს და გამოკითხულთაგან ყველა აპირებდა საქართველოში დარჩენას, ქართული ენის შესწავლას და გამოხატვდა ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის მზადყოფნას.

არცერთ ჯგუფს არ უცდია ლტოლვილის ოფიციალური სტატუსის მიღება. უკრაინელების შემთხვევაში, მათთვის არ არსებობს მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან, ამიტომ ბევრ მათგანს უწევს საქართველოდან წასვლა, ევროპაში გადასვლა ან უკრაინაში დაბრუნება. დარჩე-ნა სურდათ მხოლოდ მათ, ვინც სრულმასშტაბინი ომის დაწყებამდე ჩამოვიდა, ან აქ რაიმე კავშირები გააჩნდა. ყველა დანარჩენისთვის ეს არის ბიუროკრატიული პრო-ცედურა, რომელიც მოითხოვს 2 წლის განმავლობაში ქვეყანაში ყოფნას. ქვეყნის კანონმდებლობა ძალიან მოქინილია ქვეყანაში უვიზოდ დარჩენისთვის, მაგრამ ამასთანავე, უფრო მორგებულია ფრილანსერებზე და არა იმ ადამიანებზე, რომლებსაც წარმოშობის ქვეყნებიდან გაქცევა შეიარაღებული კონფლიქტის, ტრანს – და პომო-ფობიური ძალადობის ან პოლიტიკური რეპრესიების გა-მო უწევთ.

საქართველოში ჩამოსულთა შორის, საქართველო-ში რუსეთის შემოჭრის რისკზე მხოლოდ რუსები მიუ-თითებდნენ. ქართველი რესპონდენტები ამ საკითხით გაცილებით უფრო შეწუხებულები იყვნენ. თუმცა, ომის შემდგომ ეტაპზე (და ინტერვიუუბში) ეს საკითხი სულ უფრო ნაკლებად იყო ნახსენები. უსაფრთხოების შეფასე-

ბისას, ქართველმა რესპონდენტებმა უფრო ხშირად აღნიშნეს ის რისკები, რომელთა წინაშეც ისინი, როგორც ქალი აქტივისტები და ქვიარები, დაგებიან. ქართველი ქვიარებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის ყველაზე აშკარა და პირდაპირ საფრთხეს რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები წარმოადგენენ. ეს დამოკიდებულება უახლეს წარსულში მომხდარ ფაქტობრივ თავდასხმებს ეფუძნება.

2021 წლის 5 ივლისს, რადიკალი მემარჯვენე ჯგუფების ლიდერების მიერ მობილიზებული კაცების მცირე ჯგუფები თავს დაესხნენ „თბილისი ფრაიდისა“ და მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისებს, სცემეს 50-ზე მეტ უურნალისტს და აღკვეთეს ფრაიდი თბილისში. ამ ძალადობრივი ქმედებების ლიდერები არასოდეს დასჭილან. ერთ-ერთი მათგანი, „აღტ-ინფო“, აშკარად პრორუსული ულტრამემარჯვენე ინიციატივა, პარტიადაც კი არის რეგისტრირებული და დღემდე მართავს ტელევიზიას.

2022 წელს აქტივისტი და უფლებადამცველი ქალი მარნეულიდან, რომელიც აზერბაიჯანელი ქართველია, აქტიურად იყო მემარჯვენე ჯგუფების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სამიზნე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ის მემარჯვენე ჯგუფების მიზანში მოხვდა. მან მარნეულის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ სასამართლო საქმე მოიგო, რომელიც გულისხმობდა მუნიციპალური თანხების გადანაწილებას ეკლესიიდან შშმ პირთა და იქულებით გადაადგილებულთა დასასხმარებლად. ამავდროულად, სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, მან „აღტ-ინფოს“ ოფისზე უკრაინისა და ევროკავშირის დროშები დახატა. ამს შემდეგ, ის მიზანში ამოიღეს და ეშტერებოდნენ. მარნეულში მისი დარჩენა იმდენად სახითათო იყო, რომ იგი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და პოლიციის დაცვით სარგებლობდა. თუმცა, საქმე არასოდეს ყოფილა გამოძიებული. მისი თქმით, მის წინააღმდეგ მიზანმიმართული კაბპანიის ერთ-ერთი მიზეზი ნამდვილად ეთნიკური უმცირესობებისადმი მიგუთვება იყო.

მემარჯვენე ჯგუფები და მათ მიერ მოტივირებული პომონაბიურად განწყობილი ადამიანები ასევე ემუქრებოდნენ ქვიარ ორგანიზაციებსა და აქტივისტებსაც. ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, თუ რამდენად რთულია უსაფრთხოების პროტოკოლების მუდმივი განახლება. უფრო დიდი საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ეს რესურსებთან და ცოდნასთანაა დაკავშირებული, რომელსაც ისინი ყოველთვის არ ფლობენ და განვითარებასა და უსაფრთხოების სტრატეგიების განახლებისთვის გარე ექსპერტების ტრენინგს საჭიროებენ. ქვიარ ორგანიზაციებისთვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავდასხმების დროს, როგორიცაა **2021 წლის 5 ივლისი ან წინა წლების 17 მაისი (IDAHOT).** განსხვავებულია ასევე მათი მიდგომა საოფისე სივრცის მიმართაც – ზოგი ღიად ასაკაროებს იფისს, რათა მსგავს დღეებში ადამიანებს დამალვის

საშუალება მიეცეთ, ზოგი ხურავს ოფისს და არ მიდის საკუთარი და სხვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მცირე და ახლად დაარსებულმა ინიციატივებმაც კი აღნიშნეს, რომ ისინი დაესწრენ ტრენინგს ციფრული უსაფრთხოების შესახებ და ჰქონდათ გარკვეული სახელმძღვანელო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეინახონ ინფორმაცია და როგორ უზრუნველყონ თვლაინ ღონისძიებების უსაფრთხოება, მაგ. მონაწილეთა წინასწარი შემოწმება, მდებარეობის არ გაზიარება მონაწილეების გადამოწმებამდე, კომუნიკაციისთვის ცალკე ელფოსტის არსებობა და ა.შ.

აღტ-მემარჯვენე ჯგუფები და მათი მხარდამჭერები პვლავ ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ რჩებიან ქართველი ქვიარებისა და უკრაინელებისთვის, ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობებისთვის. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან არაერთი პეტიციისა და სამართლიანი მოთხოვნისა, დააგავონ ლიდერები, რომლებიც ძალადობრივად დაესხნენ თავს პრაიდს და გააუქმინ პარტია „აღტ-ინფოს“ პარტიული სტატუსი, ხელისუფლების მხრიდან აქტიური ზომები არ მიღებულა. სრულმასშტაბიანი ომის დაწყებასთან ერთად, აღტ-მემარჯვენე ჯგუფების უმეტესობამ, მაგ., „ქართულმა მარშმბა“ და პარტიებმა, როგორიცაა „ბატრიოტთა ალიანსი“, ვლადიმერ პუტინისთვის წერილის გაგზავნით აშკარა პრორუსული პოზიცია დაიკავა. ქვიარები და ფეინისტები, ისევე როგორც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები ყოველთვის წარმოადგენდნენ მსგავსი ჯგუფების სამიზნეს, რითაც იძენენ პაპულარობას საზოგადოების კონსერვატიულ წერვებში. თუმცა, ომის დაწყების შემდეგ, „აღტ-ინფოს“ გარდა, ყველა ჩარჩო მიმდინარება თავად „აღტ-ინფოს“ ოფისები კი, ადგილობრივმა მოსახლეობამ საქართველოს რეგიონებშიც კი დაარბია, ზოგიერთ ქალაქში მათ საერთოდ უარი უთხრეს ოფისების დაქირავებაზე. ეს არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებს ეკვეყნაში პომონაბისა და ტრანსფორმის კლებაზე, მაგრამ ფართო საზოგადოებაში ამ სიძულვილის ჯგუფების დისკრედიტაციის საშუალებას იძლევა.

აშკარაა, რომ ქართულ საზოგადოებაში არსებობს უკრაინისადმი მკვეთრად გამოხატული სახალხო მხარდაჭერა. ამავდროულად, ხელისუფლება პრორუსული და მემარჯვენე ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ან არააქტიურია, ან მათი ძალადობრივი ქმედებების დაუსაჭირებლით მხარს უჭერს კიდევ მათ. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოებას არ გააჩნია კოლექტიური ხედვა, თუ რა უნდა მოიმოქმედოს ამ სიძულვილით სავსე ჯგუფების წინააღმდეგ. „ისინი [აღტ-მემარჯვენები] ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ უმცირესობას... მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება ძალიან სუსტია მათ წინააღმდეგ ქმედებებში. არსებობს რამდენიმე პროექტი, თუმცა სულ ესაა. ისინი ავრცელებს განცხადებებს და არავის აინტერესებს, რა დაემართა მათ სამიზნეში მოხვედრილ ადამიანებს“, – ამბობს ინტერვიუში ერთ-ერთი რესპონდენტი. მსგავსი აშრი გამოთქვეს სხვა მონაწილეებმაც. ვინაიდან ეს ჯგუფები კერ კიდევ არ წარმოადგენენ საფრთხეს

თეთრგანიანი რუსებისა და ბელორუსებისთვის და შესაბამისად, ამ უკანასკნელებმაც მათი არსებობის შესახებ წესიერად არ იციან, ამ საკითხს ძირითადად აჩერბაიჯანელი და ქართველი აქტივისტები მოიხსენიებდნენ.

ამავდროულად, მსგავსი სიძულვილის ფენოფენი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ რადიკალი მემარჯვენებით. ბათუმში ევრომაიდანის ფენოფა გაიხსენა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დემონსტრაციების დროს მათ ნასვამი რუსი ტურისტები ავიწროებდნენ; თუმცა მათ მაშინვე მიიღეს გამვლელების მხარდაჭერა. მთლიანობაში, უკრაინელებმა მადლიერება და სოლიდარობა გამოხატეს ქართული საზოგადოების მიმართ და თავს იკავებდნენ რაიმე უარყოფითი გამოცდილების ხსენებისგან. „მადლიელი ვართ საქართველოს ხალხის, ერთადერთი, რაც თქვენი მთავრობისგან გვინდა, არის ის, რომ არ დაეხმაროთ რუსეთს სანქციების თავიდან აცილებაში“. ამასთანავე, მათ ასევე დასძინეს, რომ ისინი არ ერევან ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში და ვინაიდან მხარს უჭერენ ქართველებს, მიიჩნევენ რომ მოქალაქეებმა (ქართველებმა) პოლიტიკასთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან მოღაბარაკება უნდა აწარმოონ.

პირდაპირი ფიზიკური თუ ემოციური მუქარის გარდა, რესპონდენტებს ვეკითხებოდი მათი, როგორც ქალების გამოცდილებაზე საქართველოში. ყველა ბელორუსი, აჩერბაიჯანელი, რუსი და უკრაინელი ქალი დადგებითად საუბრობდა თავის აქაურ ცხოვრებაზე. თუმცა გავიგე ისიც, რომ რამდენიმე უკრაინელი ქალი სექსუალურ შევიწროებას განიცდიდა მათი მასპინძლების, იმ ადამიანების მხრიდან, ვინც დახმარებას სთავაზობდა და ოფიციალურ სამსახურებში მომუშავეთა მხრიდანაც კი. ამ პრობლემის მასშტაბები დამატებით გამოკვლევას მოითხოვს. იძულებით გადაადგილებული ქალები და ტრანსგენდერი ადამიანები სექსუალური ძალადობის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მოწყვლადები არიან მთავრობის შემღებული დახმარების გამო. ქალებს ასევე შეიძლება არ ჟქონდეთ შესაბამის საკითხებზე ინფორმაცია ან ეშინოდეთ ამ შემთხვევებზე ლაპარაკის, ასევე არ იცოდნენ ადგილობრივი კანონმდებლობა ან პოლიციის მხრიდან გულგრილობის მსხვერპლი იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ინიციატივა პრობლემის გენდერულ განბოომილებას სერიოზულად ეკიდება, უმეტეს შემთხვევაში, თემები დაყოფილი და გაერთიანებულია ნაციონალისტური ნიშნით. შემდეგ თავში განვიხილავ სოლიდარობისა და თანამშრომლობის შეაძლებლობებს/შეუძლებლობებს.

5.8 სოლიდარობა და თანამშრომლობა

საქართველოში სივრცეების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა მახასიათებელი მისი სეპარატისტული ხასიათ-

ია. აქტივისტური ფენოფენის უმეტესობა, როგორც ჩანს, მხოლოდ მცირე წესი ფურცელონირებს. ზოგიერთი ინიციატივა, რომელსაც უკრაინელი და ბელორუსი ან უკრაინელი და რუსი აქტივისტები და მოხალისები მართავენ, ნაკლებადაა დაკავშირებული ქართველებთან და აჩერბაიჯანელებთან. რესპონდენტებმა ასეთი იზოლაციონისტური დინამიკის რამდენიმე მიზეზი აღნიშნეს.

მათგან ერთ-ერთი იყო ენა. თითქმის ყველა ბელორუსი და რუსი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ ქართულს სწავლობს, თუმცა ძალიან უჭირს რუსულად მოსაუბრე ადამიანები უფრო ადვილად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მიუხედავად მათი ეროვნებისა. ამის საპირისპიროდ, ქართველმა ახალგაზრდებმა ან არ იციან ან ურჩევნიათ არ ისაუბრონ რუსულად ანტიკოლონიური მიზებების გამო, რაც პირდაპირ ბარიერს ქმნის კომუნიკაციისთვის. არსებობს ბევრი სივრცე, რომელიც პოლიტიკურად პოზიციონირებს და ქართველებთან ერთად საერთო სივრცის შექმნის ინტერესს გამოხატავს, თუმცა მათი ყველა ღონისძიება რუსულ ენაზეა, ქართული ან ინგლისური თარგმანის გარეშე, რაც თავიდანვე გამორიცხავს ყველას, ვისაც არ შეუძლია ან არ სურს რუსულად საუბარი.

ქართველები ასევე მიუთითებდნენ ადგილობრივების მიმართ რუსი აქტივისტების კოლონიალურ დამოკიდებულებაზე. „რუსმა არტისტებმა სიტყვასიტყვით მითხვეს, რომ ახლა ქვიარ აქტივიზმს მასწავლიდნენ“, – ამბობს ქართველი ტრანსგენდერი ხელოვანი. სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, რუსების ყოფნა ნებისმიერ შეხვედრაზეც პრობლემური გახდა. „ახლა გვიწევს გაფრთხილებები, რომ ჩვენი ფილმების ჩვენებაზე რუსები იქნებიან“, – თქვა თბილისში მცხოვრებმა ბელორუსმა ფემინისტმა. რუს აქტივისტებთან და ხელოვანებთან ურთიერთობა საკმაოდ სადაცო თემა იყო და ყველას სხვადასხვა მიდგომა პქონდა – ზოგი თანამშრომლობდა პოლიტიკური ნიშნით გამოცემულებთან და ამბობდა, რომ მთავარი მიზნები ეროვნებაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, სხვები ითხოვდნენ მეტ თვითრეფლექსიას რუსი აქტივისტებისა და ხელოვანებისგან. ქართველი აქტივისტები ყველაზე მეტად ერიდებოდნენ რუსებთან თანამშრომლობას ან თუნდაც ურთიერთობას.

საქართველოში რუსულ თემში არსებული იმპერიალისტური ტენდენციები აღნიშნეს რუსმა რესპონდენტებმაც. ასე რომ, სკეპტიკიზმი რუსების მიმართ არ მოდის მხოლოდ ნაციონალისტური სენტიმენტებიდან ან გამომწვევი მიზებიდან, არამედ გამყარებულია აქტივისტების გამოცდილებითაც. თუმცა, თანამშრომლობები სხვადასხვა ფენოფენის შორის ფერ კიდევ არსებობს.

ერთ-ერთმა უკრაინელმა მოხალისემ ინტერვიუში თქვა, რომ დასაწყისში რუსებთან ერთად მუშაობა მისთვის რთული იყო. „ჩვენ ერთად იმიტომ კი არ ვმუშაობთ, რომ როგორც რუსებსა და უკრაინელებს გვინდა ეს, არამედ იმიტომ, რომ ერთი მიზნისა და შედეგისთვის ვიბრძოთ“.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც რუსები და ბელორუსები თავიანთ „ბაბლში“ ჩჩებიან, არის მათი მიგრაციის ხასიათი – მათი უმეტესობა საქართველოში კვუფებად და ოჯახებით ჩამოვიდა, ამიტომ მათ უკვე ჰქონდათ სოციალური ქსელები და ომის შემდეგ ეს ქსელები მხოლოდ გაფართოვდა. ბევრ მათგანს ასევე ჰქონდა ფინანსური რესურსი ბარების, კაფეების, ღია სამუშაო სივრცეების გასახსნელად. შედეგად, არსებობს გარკვეული სოციალური დაყოფაც, რომელიც რესურსებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობითაა განპირობებული.

ეკონომიკური უთანასწორობა, კოლონიალისტური დამოკიდებულებები და ენობრივი ბარიერი მაინც ვერ ხსნის უკრაინელებს, აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობას. ზოგადად, ერთობლივი ტრანსკავკასიური პროექტები უფრო მეტად ეხება უკრაინისტიკას და მშვიდობის მშენებლობას. არ არსებობს რეგიონული ფემინისტური ქსელები და ადამიანები ძირითადად პირად კონტაქტებსა და მეგობრებზე არიან დამოკიდებულნი. ზოგადად, საკუთარი თავის უფრო დიდი საერთაშორისო საზოგადოების ნაწილად აღქმა საკმაოდ სუსტია, განსაკუთრებით, ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში, რომელიც თავისი ათვლის წერტილად ძირითადად ევროპას და არა პოსტსაბჭოთა სივრცეს აღიქვამს.

აზერბაიჯანელ ქალებს სხვადასხვა მიზეზის გამო თემიც კი არ ჰქონიათ – აფგან მუხთარლის გატაცების შემდეგ, აქტივისტების უმრავლესობამ ქვეყნა დატოვა. დარჩენილები აღნიშნავენ, რომ თავს ძალიან იზოლირებულად გრძნობდნენ Covid-19-ის ჩაკეტილობის დროს. ერთ-ერთი უკრაინლისტის თქმით, მანამდე მიღწეული პროფესიული წარმატება და მისი თვითშეფასება, მთავრობის თვალთვალმა და მოგვიანებით საქართველოში გადასახლების შედეგად მიღებულმა ტრავმამ გადაფარა. მან მიიღო გარკვეული დახმარება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისგან, რომელიც ფეხზე დადგომაში დაეხმარა, თუმცა ფინანსური შესაძლებლობები ემიგრაციაში მყოფი მარტოხელა დედისითვის საქართველოში ჰერ კიდევ მცირეა. მან გამოთქვა სურვილი, შეხვდეს ქართველ ფემინისტებსა და აქტივისტებს და ითანამშრომლოს მათთან.

ზოგადად, აზერბაიჯანელი აქტივისტები და უკრაინლისტები ყველაზე ნაკლებად ორგანიზებული კვუფი აღმოჩნდა. მათ საზოგადოებაში გარკვეული ურთიერთობები და კავშირები აქვთ, თუმცა საერთო ფაში, მათი მხრიდან ასევე არსებობს დიდი უნდობლობა, რაც გასაგებია იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანში თვალთვალი და სტრუქტურული კავშირების გამოცემაში და აქტიურ ადამიანს შეეხო, აზერბაიჯანშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

გამოკითხულთა უმრავლესობამ იცის ინგლისური ენა და ქართველ რესპონდენტები მეტად გამოხატა ქართველებთან სოციალიზაციის სურვილი. რესპონდენტთა

უმეტესობამ აღნიშნა, რომ არ იცის ადგილობრივ აქტივისტებთან დამაკავშირებელი გზები. „ამ საზოგადოებისკენ ყველა ადამიანმა თავისი გზა უნდა გაიკვლიოს... არ მინდა ისე გამოჩნდეს, თითქოს სხვებს რაღაცას ვასწავლი“, თქვა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელმა ბელორუსიდან.

აქტივიზმის, ნდობისა და საზოგადოების შექმნის ძირითად საყრდენად ყველაზე ხშირად მეგობრობასა და პირად ურთიერთობებს ასახელებდნენ. გადაკვეთის წერტილებად ხშირად მოიაზრებდნენ ასევე საერთო ღირებულებებსა და მიზნებს და არა იდეოლოგიებს.

ტექნოლოგიები საზღვრებს მიღმა მობილიზაციის საშუალებას იძლევა და რესპონდენტთა პოლიტიკურ საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ამიტომ ციფრული სივრცე ასევე შეცვერისა და სოლიდარობის ადგილია, თუმცა აქ იკვეთა ორი პრობლემა: (1) უსაფრთხოება, რომელიც შეიძლება რისკის წინაშე დადგეს და მოითხოვს ცოდნის უფრო აქტიურ გაცვლას კვუფებს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ბელორუს აქტივისტებს უსაფრთხო არხებით მობილიზების დიდი გამოცდილება აქვთ და აზერბაიჯანელი აქტივისტებიც საკმაოდ დიდი ხანია ზრუნავენ ციფრულ უსაფრთხოებაზე; (2) ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, კიდევ ერთი პრობლემაა რისკი, რომ სოლიდარობა მხოლოდ ციფრულ სივრცეში დარჩეს და არ გადავიდეს ფიზიკურ სივრცეში, რაც აზრს მოკლებული არ არის, რადგან, ჩვეულებრივ, საქართველოში აქტივობები და დემონსტრაციები უფრო მეტ ადამიანს იზიდავს ონლაინ, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, კვუფებს შორის მეტი ონლაინ და ოფლაინ კავშირების პოტენციალი საკმარისად არ არის შეფასებული.

ამ კვუფების კიდევ ერთი გამაერთიანებელი წერტილი არის ომებისა და რეპრესიების ტრავმა. მიუხედავად ამისა, მას ძალიან განსხვავებულად განიცდიან სხვადასხვა კვუფები, ისევე როგორც ადამიანები მის შიგნით. ავტორიტარულ რეჟიმებს გამოქცეული ადამიანები (ბელარუსი, აზერბაიჯანი, რუსეთი) ხშირად უსგამენ ხას ნდობის მნიშვნელობას. უნდობლობის პრობლემას ძალიან მკაფიო გნდერული განშომილება აქვთ აზერბაიჯანელი ქალებისთვის, რომლებიც პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხის ქვეშ არიან.

სრულმასშტაბიანი იმპერიალისტური ომის ფონზე, მიღიტარიზმები ლაპარაკაის შეუძლებლობის გამო, გამოწვევად ჩჩება სამოქალაქო საზოგადოებაში ფემინისტური დღის წესრიგის დანერგვა, ისევე როგორც თანამშრომლობისა და გაცელის ხელშეწყობა ქალთა ქვიარ და ქალთა ხელმძღვანელობით არსებულ კვუფებს შორის. არცერთ რესპონდენტს არ დაუყენებია მზარდი მიღიტარიზმის საკითხი და არ უმსჯელია იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ის ქალებსა და ქვიარებზე. პოსტსაბჭოთა სივრცის ფემინისტებს შორის, ეს იყო სპოლო თოახში, რომლის ამოცნობაც უჟირდათ. დღის წესრიგში ჰერ კიდევ დგას საკითხი:

როგორ დავუჭიროთ მხარი უკრაინას, მიღლიტარისტულ მოგებაზე ორიენტირებული ისტებლიშმენტის საფრთხის აღარისების გარეშე? ბოლოს და ბოლოს, მშვიდობისკენ მოწოდებების უმეტესობა ძირითადად აიგნორებს ფაქტს, რომ უკრაინა თავდაცვის რეჟიმშია და სამხედრო საშუალებების გარეშე ამის სხვა გზა არ გააჩნია. ზოგიერთ ფემინისტს ამ კუთხით უფრო რადიკალური პასუხი აქვს: რუსეთი უნდა განიარაღდეს და მისი სამხედრო ისტებლიშმენტი და პროპაგანდისტული მანქანა პირდაპირი ქმედებებით უნდა დაბიანდეს. იარაღის შესახებ გარიგებების შემდგომი გამოკვლევა და ის, თუ როგორ მუშაობს მთელი სისტემა საერთაშორისო სამხედრო პროექტების სასარგებლოდ, ისევე როგორც ეკონომიკური ასპექტი, როგორიცაა ენერგეტიკული ვაჭრობა რუსეთსა და ევროპას შორის, გარკვეულწილად ანტი-საომარი წინააღმდეგობის ნაწილია, თუმცა ის ნაკლებად არის წარმოჩენილი აქტივობებში თუ აქტივისტთა „მესიჯ-ბორსებში“.

ასევე, არასადროოს განიხილება ბრძოლა ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ, რომელსაც რუსული აგრესია რეგიონს და მთელ პლანეტას უქმნის.

რაც შეეხება მედიასა და ციფრულ ომს, რომელიც რუსეთის პირდაპირი აგრესის პარალელურად მიმდინარეობს, ამ საკითხის მოსაგვარებელი უფრო მკაფიო ხდევა არსებობს. თუმცა, მისი გენდერული განზომილება რესპონდენტებს არ უხსესნებიათ. ერთ-ერთი ასპექტი ამ პროცესში შეიძლება იყოს უკრაინელი ქალების, როგორც მოქმედი პირებისა და არა ომის პასური მსხვერპლების აგენტობა.

შეჯამებისთვის, უნდა ითქვას, რომ, საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ჰგუფებსა და აქტივისტებს შორის კავშირები საკმაოდ სუსტია. თანამშრომლობისა და ერთმანეთის გაცნობის სურვილი და ღიაობა არსებობს, თუმცა, ეს სურვილი მოქმედებაში არ გადადის. ადგილობრივი მოსახლეობისადმი კოლონიალისტური დამოკიდებულების გამო, რუსი აქტივისტების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება კვლავ რჩება გადაუჭრელ საკითხად, რაც ადგილობრივი ფემინისტური და ქვიარ თემებისთვის ართულებს იმის გაგებას, თუ როგორ ჰგუფებთან შეუძლიათ თანამშრომლობა და რომელთან არა. თბილისში არსებული ქვიარ თემი შეიძლება დიალიგისთვისა და მხარდაჭერისთვის ერთ-ერთ ყველაზე ღია ჰგუფად შეფასდეს; თუმცა, არ არსებობს სტრატეგია ან ხედვა, თუ როგორ უნდა დამყარდეს უფრო პროფესიონალური კავშირები საქართველოში მყოფ დევნილ აქტივისტებთან.

5.9 დასკვნები და რეკომენდაციები

რუსეთის შეჭრა უკრაინაში მრავალი პერსპექტივიდან შეიძლება იყოს განხილული, მისი შედევები კი, პოსტსაბჭოთა სივრცეში სულ უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება. ამ კვლევის ფარგლებში, ქართველ აქტივისტებთან

ერთად, ყურადღება გავამახვილე უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე და პოლიტიკურ აქტივისტებზე აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და ბელორუსიდან, რაც, უკრაინაში რუსეთის შექრის კონტექსტში, ომის საწინააღმდეგო ემოციურ და ეკონომიკურ ზარალს აყენებდა. ომის გაგრძელებასთან ერთად, სულ უფრო რთული ხდება „ფანდრაიზინგის“ გზით ჰუმანიტარული და სხვა პოლიტიკური აქტივობებისთვის რესურსების მობილიზება. ხელისუფლების მხარდაჭერის არარსებობის გამო, უკრაინელები, ძირითად შემთხვევაში, ტოვებენ ქვეყანას. პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირები, რომლებსაც სხვა გამოსავალი არ აქვთ, საქართველოში რჩებიან, თუმცა ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა და უსაფრთხოების საკითხი მათაც აიძულებს დატოვონ ქვეყანა. შედეგად, დარჩენას ახერხებენ მხოლოდ ისინი, ვისაც ადრე არსებული რესურსები აქვთ, ასევე სხვადასხვა კომერციული სივრცეების მქონე რუსები და უფრო ნაკლებად, ბელორუსები. ყველა სხვა ინიციატივა, განსაკუთრებით ის, რომელიც მცირეა და პერიფერიაზე მუშაობს, საბინაო კრიზისის ფონზე, გადარჩენისთვის იბრძვის.

რესურსების ეს წარმოსახვითი თუ არსებული უთანასწორობა და ქართველების ზოგადი უკმაყოფილება რუსებითა და რუსული ენით, ითარგმნება როგორც სამოქალაქო საზოგადოების ფრაგმინტაცია ნაციონალისტური ნიშნით. ხშირად, იმპერიალისტური პოზიციების გამო რუსების მიმართ უნდობლობა, არ ხსნის სეპარატისტულ მიდგომას ყველა ჰგუფის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა თემი თანამშრომლობისა და შემდგომი გაზიარების სურვილს გამოხატავს, ამაში ძალიან მინიმალური ძალისხმევა იდება. უკრაინაში არსებული ომის წინააღმდეგობა არ არის საკმარისი ერთიანობის საფუძველი რეგიონში, რომელიც განადგურებულია პოლიტიკური წინააღმდეგობითა და კონფლიქტებით, ამიტომ აქტივიზმის საერთო ხედვის ჩამოსაყალიბებლად უფრო ფრთხილი და სისტემური ნაბიჯებია საჭირო.

საქართველოში მოქმედი აქტივისტებისა და ჰგუფების ნარატივებიდან გამომდინარე, რთულია მათი პრობლემებისა და ხედვის განზოგადება. თუმცა, არსებობს რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩენებს საქართველოში ფემინისტური, ქვიარ და ქალების მიერ მართული აქტივისტური ჰგუფების მობილიზაციისა და სივრცეების შექმნისთვის.

- გენდერულად მგრძნობიარე კვლევის წარმოება და უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერა;
- მეტი მხარდაჭერა და გენდერულად მგრძნობიარე თანამშრომლობა ან პროექტების მხარდაჭერა აზერბაიჯანები პოლიტიკური დევნილებისთვის;
- კვლევის წარმოებისას მშობიარობასთან დაკავ-

- შირებული საჭიროებების გათვალისწინება და ომს ან რეპრესიულ რეჟიმებს გამოქცეული დედების მხარდაჭერა;
- ციფრული და ინტეგრირებული უსაფრთხოების ხელშეწყობა;
 - თავშესაფრის მაძიებელთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მეტი ჩართულობა მონაცემთა შეგროვებაში, ინფორმაციის მიწოდება მათვის, ვისაც მათი მომსახურება ესაჭიროება;
 - დონორებისა და ორგანიზაციების მხრიდან უფრო მოქნილი მიდგომა არაფორმალური ჯგუფების მიმართ, რომლებიც პოლიტიკური მიზების გამო ვერ დარეგისტრირდებიან ურნალისტებად ან არასამთავრობო ორგანიზაციებად;
 - ომიდან გამოქცეულთა მენტალური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უფრო აქტური კვლევა, წამების, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის გამო;
 - აღტ-მემარკვენე ჯგუფებთან, მათ მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან და მათი ონლაინ და ოფლაინ ძალადობრივი ქმედებების შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა და სტრატეგიული ხედვა;
 - მეტი დაფინანსება პოსტსაბჭოთა სივრცეში რეგიონთაშორისის პროექტებისთვის.
- იმაზე, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ფემინისტური წინააღმდეგობა უკრაინაში რუსეთის შეჭრის, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების საერთო კოლონიალიზმის, წინააღმდეგ:
- პოსტსაბჭოთა სივრცეში კოლონიალიზმის შესახებ მეტი კვლევაზე დაფუძნებული ცოდნის წარმოება და ცნობიერების ამაღლება;
 - მეტი აქცენტი რეგიონულ და რეგიონთაშორის თანამშრომლობაზე (მაგ. სამხრეთ კავკასია-ცენტრალური აზია-აღმოსავლეთ ევროპა);
 - რუსეთისა და მისი სამხედრო სტრუქტურების კვლევა და შედეგების გამოვლენა, ასევე, მისი განიარაღების დაუზინებული მოთხოვნა;
 - უკრაინელ ქალთა აგენტობის ჩამოყალიბება და მათთვის დამოუკიდებელი და მდგრადი ცხოვრებისა და მუშაობისთვის შესაბამისი რესურსების მოზიდა;
 - ფემინისტური ცნობიერების ამაღლება საქართველოში მოქმედ აქტივისტთა ჯგუფებში;
 - მეცნიერებს, ურნალისტებს, აქტივისტებსა და ხელოვანებს შორის თანამშრომლობა ფემინიზმის, ომის წინააღმდეგობისა და გარემოს დაცვის საკითხებზე;
 - ფემინისტური მშვიდობისა და პოლისტიკური უსაფრთხოების შესახებ დისკუსიების ხელშეწყობა.

6

იპითხის სტრიქონის შორის: ბულგარეთი

პრიზისი პრიზისის ნილ

6.1 შესავალი

უკრაინის ომის ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია. ერთ ღამეში სრულიად აირა უკრაინელთა ცხოვრება, მათი დემოკრატია თავდასხმის მსხვერპლი, მილიონობით ადამიანი კი მოულოდნელად დევნილი გახდა. ამჟამად რუსი სამხედროების მიერ განხორციელებული თავდასხმები ვითარებას ამძიმებს და ქმნის ახალ გამოწვევებსა და უხოლავ შედეგებს, ისევე როგორც აღრმავებს არსებულს – პოლიტიკური და გეოპოლიტიკურიდან დაწყებული, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისებით დამთავრებული. თითქმის მაშინვე, სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მთელ მსოფლიოში დაიწყეს ადეკვატური რეაგირება.

არსებული საერთო სიტუაცია განხილულ და გააჩრებულ უნდა იქნეს იმ პერიოდის კონტექსტში, როდესაც ადამიანები მთელ მსოფლიოში ჭერ კიდევ ცდილობდნენ ქალთა და ადამიანის უფლებათადამცველ ორგანიზაციებზე COVID-19 პანდემიის ეკონომიკური და სხვა შედეგებისა და გავლენების შეფასებას. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში, რომელმაც გაანადგურა უკრაინელი ხალხი და ეკონომიკა და მთელს რეგიონსა და მსოფლიოში შოკის ტალღა გამოიწვია, საფრთხე შეუქმნა ჩვენს საზოგადოებებს და ერთი კატასტროფიდან მეორესთან მიიყვანა.

ეს კომპლექსური საგანგებო სიტუაციები ცვლის შავი ზღვის რეგიონის დინამიკას და წარმოშობს ახალ გამოწვევებს ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისთვის. ეკონომიკური მდგრადობის ნაკლებობა, გენდერული უთანასწორობის გაღრმავება, მილიტარიზმის ზრდა და მთავრობების შერიდან უნარის ნაკლებობა მიწვდენილენ და მომსახურებოდნენ ყველაზე დაუცველებს, თან ერთვოდა სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შემცირებას, რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და უკიდურესი მემარჯვენეობის აღზევებას, რამაც შემდგომში კონფლიქტების მოგვარებისა და დახმარებაზე გაზრდილი მოთხოვნის დაძლევაში სსო-ების ახალი როლი ჩამოაყალიბა.

როგორც შავი ზღვის რეგიონის მეზობელი ქვეყანა, რომელიც უკრაინას სახმელეთო გზით არ ესაზღვრება, ბულგარეთი პირდაპირ დაბარალდა მიგრაციის მასშტაბური ტალღით და ეკონომიკური შედეგებიც საკუთარ თავზე იწვნია. დაკატილმა საზღვრებმა და მიწოდების ჯაჭვის დარღვევებმა, რუსულ გაზსა და ნავთობზე დამოკიდებულებამ, ისევე როგორც სანქციებმა, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედა. ინდუსტრიისთვის გაზის ნაკლებობამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ეროვნულ ეკონომიკას და აღმოჩნდა, რომ ბულგარეთი ყველაზე მეტად დაზარალდა სანქციებით და მოსკოვთან ურთიერთობის გაუარესებით²³, ბალტიის რეგიონის ქვეყნებთან, საბერძნეთთან, პოლონეთთან და ფინეთთან ერთად. კიდევ ერთი შემაშოოთებელი ელემენტია ის, რომ მიწოდების დივერსიფიკაციის სხვადასხვა მცდელობის მიუხედავად, ბულგარეთი თითქმის მთლიანად იყო დამოკიდებული რუსეთის სახელმწიფო კომპანია „გაზპრომის“ გაზე, ხოლო მისი ერთადერთი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც რუსულ „ლუკოილს“ ეკუთვნის, ქვეყნაში გამოყენებული საწვავის დაახლოებით 60%-ს უზრუნველყოფს²⁴.

უკრაინაში ბულგარელი უმცირესობის დასახმარებელი მოქმედების გადაუდებელ აუცილებლობასთან ერთად, ასეთმა პირობებმა ქვეყანა უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე დააყენა. მხოლოდ ბულგარეთის საზღვარი ნახევარ მილიონზე მეტმა უკრაინელმა ლტოლვილმა გადაკვეთა, ზოგი მათგანი დარჩა, ზოგმა კი, დატოვა ქვეყანა.

ომის დამანგრეველი პუმანიტარული და ეკონომიკური შედეგები სწრაფად გავრცელდა მეზობელ ტერიტორიებასა და მის ფარგლებს გარეთ, ძლიერ დაარტყა ყველაზე დაუცველ ადამიანებს და გადაიტანა ყურადღება COVID-19-ის პანდემიიდან. გარდა პირადი დანაკრავებისა, ამ გაჭირვებას აქვს ეკონომიკური განზომილებები, რომლებიც, როგორც გხედავთ, გრძელდება და უარესდება.

რასაც ჩვენ გხედავთ, არის კრიზისზე დამატებული

²³ <https://www.reuters.com/world/poland-bulgaria-face-russian-gas-cut-ukraine-crisis-escalates-2022-04-26/>

²⁴ <https://china-cee.eu/2022/12/19/bulgaria-economy-briefing-overview-of-the-bulgarian-economy-in-2022/>

კრიზისი, რომელსაც მკაფიო გენდერული განზომილებები აქვთ²⁵ – მილიონობით ქალი და ბავშვი იძულებით გადაადგილებული პირია ან მეტობელ ქვეყნებში გარჩის, ქალ აქტივისტებს ჰუმანიტარული კრიზისების დაძლევისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის გაუმჯობესების ადგიკატირებაში ფრონტის წინა ხაზზე მოუწიათ დგომა. ამავდროულად, ქალების ხმა ისევ არ ისმის და ადამიანის უფლებების საკითხები სოციალური და პოლიტიკური ინტერესების პერიფერიაზეა. მაგალითად, ბულგარეთის იუსტიციის სამინისტრომ 2021 და 2022 წლებში გამოაცხადა 5 თვემდე ხანგრძლივობის პროექტების მიღება ოჯახში ძალადობის დასაძლევად და მსხვერპლთათვის დახმარების აღმოსაჩენად. წლის დანარჩენი დროის განმავლობაში, მოლოდინი იყო, რომ ქალთა უფლებადადმცველი სექტორი მზარდ ოჯახში ძალადობას და კრიზისული საცხოვრებლის მოთხოვნას დამოუკიდებლად გაუმკლავდებოდა. ამავდროულად, არ იქნა მიღებული სსო-ების მხარდაჭერის კონკრეტული ზომები სახელმწიფოს მხრიდან, რათა მათ აღედგინათ ძალები COVID-19-ის ეკონომიკური ვარდის შემდეგ. სსო-ებს პერიოდათ შესაძლებლობა მიემართათ სახელმწიფო მხარდაჭერის ზოგადი სქემისთვის, თუ ისინი გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებდნენ; თუმცა ეს პირობები ბევრ სსო-ს არ აძლევდა განაცხადის შეტანის უფლებას²⁶. გარდა ამისა, აღდგენისა და მდგრადობის ეროვნული გეგმის შემუშავებაში, რომელიც მიზნად ისახავდა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის შემდგომ ეკონომიკური და სოციალური აღდგენის ხელშეწყობას, არა მხოლოდ არ ითვალისწინებდა სსო-ებს, არამედ საერთოდ არ გაუწევია ფინანსური დახმარება სამოქალაქო სექტორისთვის.

ვინაიდან აქცენტი შეიცვალა და რესურსები არასტაბილური გახდა, ქალთა და ადამიანის უფლებათადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მტკიცედ და მონდომებით მოახერხეს რესურსების სრული მობილიზაცია კამპანიების, მოხალისებისა და ჰუმანიტარული დახმარების კუთხით. ამრიგად, ისინი დარჩენენ აქტიურნი ისეთ კრიტიკულ სფეროებში, როგორიცაა ოჯახში ძალადობაგამოვლილთა მხარდაჭერა, ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები და საომარი ზონებიდან გამოქცეული მიგრანტების მხარდაჭერა, ეთნიკური ან ლგბტ+ თემები. თუმცა ამ ყველაფერმა სექტორში კიდევ ერთი პანდემია – გადაწვა (burnout) და უფლებადადმცველების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია.

პარალელურად, ახალმა რეალობამ დაგვანახა, რომ საჯარო დაწესებულებები მოუმზადებლები აღმოჩნდნენ და რეაგირების მწირი შესაძლებლობები ჰქონდათ, რა-

მაც მიგრაციის ტალღების დასაძლევად არაადეკვატური ზომები გამოიწვია. მაგალითად, ბულგარეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება გამოეყო ბიზნესისთვის ფინანსური დახმარება დღიურად 20 ევროს ოდენობით, განსაკუთრებით სასტუმროებისთვის, ღიტოლვილების განსათავსებლად. ასეთმა არაადეკვატურმა მხარდაჭერამ შეზღუდული შესაძლებლობის/ერონიკული მდგომარეობის/სამედიცინო საჭიროების მქონე ადამიანებისთვის ქვეყანაში დარჩენა შეუძლებელი გახადა და ისინი იძულებული გახდნენ თავშესაფარი სხვაგან ეძიათ და გადასახლებულიყვნენ. ამ დაფინანსებით სარგებლობა შეეძლოთ ძირითადად ტურისტულ ოპერატორებს: სასტუმროებსა და საოჯახო სახლებს, რომლებსაც უნდა დაემტკიცებინათ, რომ ისინი უკრაინის საომარი ზონებიდან ჩამოსულ ადამიანებს მასპინძლობდნენ. კონფლიქტით დაზარალებულებს კი ქვეყნის ჯონდაცვისა და დასაქმების სისტემაში ჩართვისთვის ხანგრძლივი და რთული პროცედურების გავლა სჭირდებოდათ. გარდა ამისა, ონლაინ და ეროვნული მედიის საშუალებით ანტი-უკრაინული პროპაგანდა გავრცელდა, რამაც საზოგადოება გაყო და დეზინფორმაცია გაზარდა. ბულგარეთი გახდა მყარი ნიადაგი ყალბი ნარატივებისა და შეთქმულების თეორიებისთვის, რომლებიც პურინის მიერ წამოწყებული ომის მხარდაჭერის გასაძლიერებლადაა შექმნილი და ასახავს, თუ როგორ ვრცელდება ასეთი დეზინფორმაცია ევროკავშირის შიგნით, ძირითადად, გადაუმოწმებლად.

მას შემდეგ, რაც აქცენტი შეიცვალა და რესურსები კიდევ უფრო მწირი გახდა, ქვეყანაში ქალთა და ადამიანის უფლებათადამცველ სსო-ებს კიდევ ერთხელ მოუწიათ ადაპტაცია. ფრონტის წინა ხაზზე ყოფნისას, მათ მოუწიათ სწრაფად გადასულიყვნენ პანდემიასთან გამკლავებიდან შეიარაღებულ კონფლიქტზე რეაგირებასა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე და ხშირად უწევდათ სახელმწიფოს ფუნქციების შეთავსება კრიტიკულ სფეროებში, მაგალითად როგორებიცაა დევნილთა საკოორდინაციო ცენტრების შექმნა, უკრაინელი ლტოლვილებისთვის სამედიცინო დახმარებისა და განსახლების უზრუნველყოფა, მოხუცებსა და ბავშვებზე ზრუნვა, ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებში დახმარება და ომს გამოქცეულ ეთნიკური ან ლგბტ+ თემების მხარდაჭერა, ა.შ. 2022 წლის მარტში, ბულგარეთის ქალთა ფონდმა აამოქმედა იმ დროისთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი გადაუდებელი დახმარების ფონდი უკრაინის ომით დაზარალებული ქალებისა და ბავშვების მხარდასაჭერად, რომელიც (კერ კიდევ) მხარს უჭერს სსო-ებს სწრაფი რეაგირების გრანტებით ბულგარეთში ჩასული მიგრანტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ომის დაწესებისთანავე მათ დაფინანსებაზე 18 მოთხოვნა მიიღეს, რაც ადასტურებს, რომ სსო-ები აქტიურად მიმართავდნენ ძალისხმეულს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე. შიდა დაკვირვებებსა და მონაცემებზე დაყრდნობით, სსო-ები ყოველდღიურად დაახლოებით 40-დან 70-მდე ადამიანთან მუშაობდნენ, რაც კიდევ ერთ გამოწვევას – გაზრდილ მოთხოვნას ასახავს. შეი-

²⁵ <https://www.cnbc.com/2022/10/28/russia-ukraine-war-un-report-details-accounts-of-rape-torture-and-executions.html>

²⁶ Conditions under which NGOs can apply for compensation under the 60/40 scheme <https://bcnl.org/news/pri-kakvi-usloviya-nepravitelstveni-organizatsii-mogat-da-kandidatstvat-za-izplashtane-na-kompensatsii-po-shemata-6040.html>

ძლება დავასკვნათ, რომ სსო-ების პრიორიტეტების ცვლა სტრატეგიული, მდგრადი განვითარებისა და ქალთა უფლებებიდან, გადაუდებელ გამოწვევებსა და ჰუმანიტარულ კრიზისებზე რეაგირებისკენ, ადამიანის უფლებათა სფეროში წარმოშობს ახალ აქტორებს (როგორებიც არიან რიგით მოქალაქეები, განსაკუთრებით საზოგადო მოღვაწეები, რომელიც მორალური აღშფოთების ფონზე სპონტანურად თვითორგანიზდებიან და რეგისტრირდებიან სსო-ებად) და რეაგირების ახალ, უჩვეულო მოდელებს გვთავაზობს.

თუმცა, ამ შედეგებს აქვთ პოტენციალი, გააღრმავონ ბულგარეთის არასამთავრობო სექტორში არსებული კიდევ ერთი საკითხი – გადაწვა (burnout) და უფლებადამცველების ფსიქიკური ფანმრთელობის მხარდაჭერის საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლება სსო-ებისგან ჰუმანიტარულ კრიზისებთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაჭრას ველოდოთ, ახალი გარემო, რომელშიც ორგანიზაციები მუდმივი კრიზისის რეჟიმში მოქმედებენ, გვთავაზობს შემდეგი ახალი ოთხი ფუნდამენტური როლის ჩამოყალიბებას:

- ადრეული გაფრთხილების ფუნქციები (პრევენციული ფუნქციები) კომპლექსური საგანგებო სიტუაციების (მომავალში) აცილების მიზნით, რადგან სსო მჭიდრო კავშირშია ადგილობრივ თემებთან;
 - ადამიანის უფლებათა მონიტორინგი (დამკვირვებლის ფუნქცია) სიტუაციის შესახებ საერთაშორისო საზოგადოებების ანალიზისა და ინფორმირების მიზნით და კონფლიქტზე რეაგირებისთვის/ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით გარედან მხარდაჭერის მოპოვება;
 - დახმარება და რეაბილიტაცია – მიგრანტი/ლტოლვილი ქალებისა და ბავშვების გადაუდებელი/ყველდღიური საჭიროებების მხარდაჭერა, მათ შორის ენის გაკვეთილების ორგანიზება, არტორაპიის სემინარები, დასკვნება უკრაინელი ბავშვებისთვის, კონფლიქტან დაკავშირებული ტრავმებისა და PTSD-ის მკურნალობა;
 - კონფლიქტების მოსაგარებელი აქტივობები – ეყრდნობა ძირეული და საშუალო დონის მიდგომებს (როგორიცაა, საზოგადოების ორგანიზება და მობილიზება, მოხალისეობა და ა.შ.), რომელიც მხარს უჭერს მშვიდობის მშენებლობის პროცესს ადგილობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, ვიდრე ჰუმანიტარული დახმარების გაწევის ტრადიციულად ზემოდან ქვევით მიმართულ პოლიტიკას.
- თუ გავითვალისწინებთ არსებულ კონტექსტს და დავაკვირდებით სსო-ების როლის ცვლილებას კომპლექსურ საგანგებო სიტუაციებში, კონფლიქტების მართვისა და მთავრობის გარკვეული ფუნქციების აღებით მნიშვნელოვან აქტორებად ჩამოყალიბების გზაზე, ჩნდება რამდენიმე კითხვა, რომელიც დამატებით გამოკვლევას და გაგებას საჭიროებს:
- რამდენად აღჭურვილი არიან სსო-ები კომპლექსური საგანგებო სიტუაციების ყველა განზომილების, მათ შორის ძალადობრივი კონფლიქტების, მოსაგარებლად?
 - როგორ ეწინააღმდეგება შემცირებული სამოქალაქო სექტორი არსებულ კონფლიქტურ სიტუაციას?
 - როგორ მობილიზდა სამოქალაქო საზოგადოება მთელი ქვეყნის მასშტაბით, უკრაინელი დევნილების დასახმარებლად, მთავრობის უმოქმედობის/არაადეკვატურობის საპასუხოდ?
 - როგორია საუკეთესო პრაქტიკა ქალთა/ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან მედეგობის ჩამოყალიბებისა და დახმარების გაზრდილ მოთხოვნაზე სათანადო რეაგირების კუთხით?
 - როგორ იქმნება ურთიერთობა აქტორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის – როგორ იცვლება ძალაუფლებრივი მიმართებები (იერარქია)?
 - როგორ იცვლება ადამიანის უფლებების აღქმა კონფლიქტურ რეგიონში/შავი ზღვის რეგიონში?
 - არის თუ არა მთავრობის მიერ დაწესებული ზომები/პოლიტიკა გენდერულად მგრძნობიარე მიგრაციის ნაკადებზე რეაგირებისას?
 - რა კავშირი აქვს კრიზისის მენეჯმენტსა და ჰუმანიტარულ დახმარებას კონფლიქტების მოგვარებისა და მდგრადი განვითარების გრძელვადიან მიზნებთან (მშვიდობის მშენებლობა)?
 - რა უპირატესობა აქვს მდგრად და მოქნილ დაფინანსებას (ოპერაციული გრანტები) პროექტზე დაფუძნებული დაფინანსების დამკვიდრებულ მოდელთან შედარებით; როგორ აისახება ეს სსო-ების მუშაობაზე საგანგებო სიტუაციების/კრიზისის დროს?
 - რა გავლენას ახდენს შემოწირულობების შემოდინება კრიზისის საწყის ეტაპზე (პანდემია და ახლა ომი) და როგორია გრძელვადიანი ფინანსური გავლენა სსო-ებზე?
 - დაბენის სივრცეები – როგორ ხდება კოლექტიური ზრუნვისა და დალიტენის სივრცეების შექმნა/გადაწვის პრევენცია/დაძლევა?

6.2 მეთოდოლოგია

პროექტის მიზნებზე პასუხის გასაცემად, განხორციელებული სოციოლოგიური კვლევის პროექტი მოიცავდა ორგვარ მეთოდოლოგიას: მეორად სამაგიდო კვლევასა და სიღრმისეულ ინტერვიუებს.

სიღრმისეული ინტერვიუებისთვის რესპონდენტთა არჩევის მთავარი კრიტერიუმი იყო მათი ლტოლვილთა

კრიზისში ჩართულობა და მუშაობა გენდერული კუთხით. საბოლოოდ შეირჩა 23 ორგანიზაცია, რომელთაგან 19 გამოეცვება ურა და დათანხმდა მონაწილეობას. რესპონდენტთა პროცენტი ასეთია:

- 4 დიდი ორგანიზაცია სპეციალიზირებული და უშუალოდ ჩართულია საიმიგრაციო კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა დაცვაში (ბულგარეთის ჰელსინგის კომიტეტი, ასოციაცია ლტოლვილ ქალთა საბჭო, ფონდი **Mission Wings** და იურიდიული დახმარების ცენტრი – ბულგარეთის ფონდი).
- 2 უკრაინის კრიზისის საპასუხოდ დაარსდა (**Za Dobro-to Foundation, Open Doors Situational Centre**).
- 6 ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაცია: **PULSE Foundation**, ქალთა კლუბი ასოციაცია **Rodopchanka, Dignita Foundation**, ეკატერინა კარაველოვას ფონდი, ასოციაცია **Center Dinamika**, ევროპის ქალთა ლობის ბულგარული პლატფორმა (ეროვნული ქსელი).
- 2 LGBTIQ+ / ქვიარ ორგანიზაცია: ფონდი **Bilitis**-ის რესურს ცენტრი და ასოციაცია **BiblioFem**.
- 1 ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაცია: სოციალური ფონდი **Indi Roma-97**.
- 3 ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია: ფონდი „უფლება ბავშვობაზე“, სოციალური ჩაის სახლის ასოციაცია, ბავშვთა ეროვნული ქსელი.
- 1 ორგანიზაცია მეწარმეობისთვის: **Startup Factory Association**.

ინტერვიუები ჩატარდა 2022 წლის აგვისტო-ნოემბერში შემდეგი სტრუქტურით:

- 1) ქალთა უფლებების ორგანიზაციების ბოგადი გამოცდილება 2022 წელს.
- 2) ორგანიზაციის სტატუსი და მდგომარეობა ფართობაში მასშტაბიანი ომის დაწყებისას.
- 3) ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების დაუყონებლივი რეაგირების გამომწვევი მიზეზები და ბარიერები.
- 4) ურთიერთობა სამინე ჯგუფებთან. მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება.
- 5) ურთიერთობა მთავრობასთან.
- 6) ურთიერთობა ადგილობრივ თემთან
- 7) ამჟამად არსებული პროექტები და ინიციატივები
- 8) რეკომენდაციები უკრაინული ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის.
- 9) ორგანიზაციის დაუკმაყოფილებელი საჭიროებები და ყველაზე დიდი ცვლილება 2022 წელს.
- 10) ორგანიზაციის ზოგადი სულისკვეთება და გაზრდილ ბრუნვასთან გამკლავების გზები.

6.3 ძირითადი განვითარებები

ამ კვლევის მიზნებისთვის განხილული და გამოყენებული იქნება ორი ძირითადი განვითარებება:

- კრიზისის მენეჯმენტი: ტიმოთი კომბისის სტატიაში „კრიზისის კომუნიკაციის ვითარება: მტკიცებულებები და თანაგრძობის ზღვარი“ ტიმოთი კომბისის მიხედვით, კრიზისის მენეჯმენტი არის რეაგირების მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა, ეფექტური ბომბები მიიღო საზოგადოებრივი კრიზისის პრევენციისა და გადაჭრისთვის და მიზნად ისახავს, აღადგინოს სოციალური წესრიგი და მისი რეპროდუქცია, რაც უზრუნველყოფს სოციალური სტაბილურობისა და განვითარების აღსადგენად და ხელშესაწყობად საკმარის საშუალებებს.

მაგალითად, თეორიულად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც სსორ რომელიც სარგებელს ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე ორგანიზებულ, მოხალისეობრივ როგანიზაციების ანაწილებს. ვოლჩი აკრიტიკებს საღამონის რწმენას, რომ სსორ ა ქვეყნი, არაკომერციული, ავტონომიური, ნებაყოფლობითი ატრიბუტების მქონე ორგანიზაციების მახასიათებლები. 2022 წელს ბულგარული ორგანიზაციების მხრიდან უკრაინული ლტოლვილების მხარდაჭერის შემთხვევის განხილვისას, შეგვიძლია ვიპოვოთ ჰუმანიტარული მხარდაჭერისა და დაცვისათვის შექმნილი მექანიზმების მტკიცებულება.

ამრიგად, თუ განვითარებას მმართველობის თეორიის პერსპექტივიდან ვეძებთ, კრიზისის მენეჯმენტში მონაწილე სსორებისთვის თეორიული საფუძველი არსებობს. გლობალური მმართველობის ასოციაცია მიიჩნევს, რომ მმართველობა არის ინდივიდუებისა და ინსტიტუტების ერთობა, რომელიც პასუხისმგებელი არიან თავიანთი საერთო საქმეების ოფიციალურ და კერძო მართვაზე. ბულგარეთის შემთხვევაში, არსებული საომარი სიტუაციიდან მიღებული შედეგებისა და გაკვეთილების გათვალისწინებით, სხვადასხვა წინააღმდეგობრივი ინტერესების მქონე ადამიანებმა, შესაძლებლობების გამოყენებითა და თანამშრომლობის გზების გამოწვევით, იპოვეს გაერთიანების გზა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ან განსხვავდებოდეს პროცესში ჩართული საჯარო მოთამაშეების ინტერესების შეთანხმებისგან, ასევე თანამშრომლობის ქმედების დაწყებით. იგი მოიცავს არა მხოლოდ ფორმალურ ინსტიტუტებსა და სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რომ ადამიანებმა გაითვალისწინონ ექსპერტთა აზრები და დაცვან დადგენილი წესები და პროცედურები, არამედ არაფორმალურ მოწყობასაც, რომელშიც ადამიანები ეთანხმებიან ერთმანეთს ან ითვალისწინებენ სხვის ინტერესებს.

მმართველობის თეორიის ძირითადი მახასიათებლების უპერ გასააზრებლად და თვითრეგულირების მექანიზმე-

ბის განსავითარებლად გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ფაქტორები; ინტერაქტული პროცესები; ერთს წამყვანი როლი. კარგი მმართველობის მისაღწევად, ძირითადმა საჭარო აქტორებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ საჭარო სოციალური მართვის პროცესების სარგებელი, რომლის ძირითადი შედეგი სწორედ კარგი, შედეგიანი მმართველობაა. როგორც ასეთი, ეს პროცესები პოლიტიკურ მმართველობაზე, მართვის ეფექტურობაზე, ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებსა და ასპექტებზე აისახება. ბულგარეთის კონტექსტი და აქტივობების განვითარება ასახავს ძირითად მიმართულებებს, რომლის მიხედვითაც წარმოქმნილი სიტუაციის მართვა და კორდინაცია უნდა მოხდეს.

- შესაძლებლობების ზრდა, რაც ქცევის/ორგანიზაციულ ცვლილებას იწვევს:

პირობების კონტაცია ძალიან ფართოა და, ამ კვლევის მიზნებისთვის ჩერნ ვიყენებთ შესაძლებლობების განვითარებას „მონაწილეობაზე დაფუძნებული პროცესის“ მნიშვნელობით, რომელიც ცდილობს გაუმჯობესოს თავისი არასამთავრობო ორგანიზაციის უნარი შეასრულოს თავისი მისა“. ეს ითვალისწინებს სსო-ს მუშაობის ხარისხს, დროთა განმავლობაში კონკრეტული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და მწირი რესურსების პასუხისმგებლობით გამოყენებას. მოუხდავად იმისა, რომ არსებობს ზოგადი შეთანხმება განვითარების საერთაშორისო პრაქტიკოსებს შორის, რომ შესაძლებლობების განვითარება აუცილებელია სსო-ების ზრდისა და მოწიფების ხელშეწყობისთვის, სწორედ ეს შეთანხმება ბევრ ინტერაქტუაციას იწვევს.

La Fond-ისა და Brown-ის სტატიის, გრამკვლევი განვითარებადი ქვეყნების ჯანდაცვის სექტორში შესაძლებლობების განვითარების მონიტორინგისა და შეფასებისთვის, მიხედვით²⁷:

- ქმედუნარიანობა არის „ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მარაგი, ისევე როგორც ქმედებები, რომლებიც გარდაქმნის ამ რესურსებს მოქმედებად“;
- ქმედუნარიანობის ამაღლება არის „პროცესი, რომელიც აუმჯობესებს ორგანიზაციის უნარს მიაღწიოს მიზნებს და უკეთესად იფუნქციონიროს“;
- შესაძლებლობების განვითარება არის „შედეგების ერთობლიობა, რომელიც წარმოშობს პროდუქტულობას და კომპეტენციას, რომელიც დადგენილ მიზნობას კავშირის“.

შესაძლებლობების განვითარება ასევე შეიძლება ჩაითვალის, უნარების, ინსტინქტების, პროცესებისა და რესურსების განვითარებისა და გაძლიერების პროცესად, რომელიც ორგანიზაციებსა და თემებს სწრაფად ცვალე-

ბად სამყაროში გადარჩენისთვის, ადაპტაციისა და განვითარებისთვის სჭირდებათ²⁸.

სსო-ს შესაძლებლობების განვითარება მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ტექნიკური უნარების გაუმჯობესება, ახალი სტრატეგიების შემუშავება ან მისის განაცხადების გადახედვაა. მოუხდავად იმისა, რომ აღნიშნული ნამდვილად მნიშვნელოვანია, შესაძლებლობების განვითარება ქვევის შეცვლას ნიშნავს. ეს მოითხოვს ყურადღების მიქცევას არამატერიალურ ფაქტორებზე, როგორებიცაა დამოკიდებულება, მოტივაცია, ღირებულებები, ურთიერთობები და ვალდებულება, ეს ყველაფერი საფუძვლად უდევს ორგანიზაციის უნარს მართლაც იმოქმედოს მნიშვნელოვან და ძლიერ ცვლილებებზე. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ცვლილებების საჭიროებისადმი წინააღმდეგობა პროგნოზირებადია და როდესაც ის წარმოიქმნება, პროცესის ნორმალურ წარმოიქმნება, აროგნომირებადია და როდესაც ის წარმოიქმნება, როგორიც არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ აანაზღაურონ მმართველობისა და მკაფიო დაგეგმარების ნაკლებობა თავიანთი კავშირების გაძლიერებით და შესაძლებლობების გაზრდით ძირითად სამუშაო სფეროებში. რთულ გარემოში ყოველდღიური საკითხების მოგვარება, მათი ადაბტირებული ქცევა კრიზისთან, იწვევს შესაძლებლობების ზრდას, ასევე, უკეთეს კოორდინაციას და ახლად შექმნილ სერვისებს სამიზნე ჯგუფებისთვის.

6.4 ქვეყნის საერთო ისტორია COVID-19 კანდემიის შემდეგ და სსო-ების ჩართვა უკრაინის მაზრა ქვეყნის რეაგირებაში

ბულგარეთში მიმიღინარე სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ მისი განმასაზღვრელი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი. COVID-19-ის პანდემიის გავრცელების შემდეგ, ისევე როგორც დაახლოებით 5 წლის წინ, რამდენიმე ძირითადმა ტენდენციამ გავლენა მოახდინა ბულგარეთში სამოქალაქო სექტორის საერთო განვითარებაზე და ბულგარეთში საჭარო სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. მთავარი მოვლენა, რომელმაც გავლენა მოახდინა ზემოხსენებულ პროცესებზე, არის მთავრობის უარი მიეღოთ ევროპის საბჭოს №210 კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ (ე.წ. „სტამბულის კონვენცია“ იმ ქალაქის საპატივცემულოდ, რომელშიც ჩატარდა).

1. ამ პერიოდის განმავლობაში, 2018 წლის შემდეგ, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები არაერთი თავდასხმის მსხვერპლინი გახდნენ და გაუარესდა სექტორის საზოგადოებრივი იმიჯი, რაც გამოწვეულია პოლიტიკური ფიგურების და პარტიების თავდასხმებითა და სხვადასხვა მედიის მიზან-

²⁷ MEASURE Evaluation Project, LaFond Anne, Brown Lisanne, A Guide to Monitoring and Evaluation of Capacity-Building Interventions in the Health Sector in Developing Countries, March 2003

²⁸ Philbin, Ann Capacity Building and Social Justice Organizations

და ვერ მოახერხა საკუთარი როლის შესრულება – ვერ წაახალისა და მხარი ვერ დაუჭირა სასო-ების მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმეებსა და კრიზისის მენეჯმენტში, ისევე როგორც მონაწილეობის ეფექტური არხების უზრუნველყოფა და საჯარო რესურსების ხელმისაწვდომობა.

„და რადგან ჩვენ არ გვაქვს დიალოგი DAB-ს [ლტოლვილთა სახელმწიფო სააგენტოს (SAR)] და სსო-ებს შორის და სსო-ები ჩატვირტებული არიან იმ პოზიციაში, რომ „ისინი მხოლოდ ინტრიგებს ქმნიან“, მაშინ ეს განსაკუთრებით მძიმეა, დაღლილები ვართ, მაგრამ არა იმ შემთხვევებით, რომლებზეც ვმუშაობთ. რადგან კონკრეტულ საქმეებზე მუშაობისას, როცა ხედავ თუ რა დადგებითად მოაბრუნე ამბავი, ეს სულს გითბობს. შენ საკუთარ თავს უბნები, რომ ამის კეთებას და ცხოვრებას აბრი აქვს. თუმცა, სახელმწიფოსთან და ინსტიტუტებთან კომუნიკაცია ძალიან რთულია. უკიდურესად შრომატევადი.“ (ლტოლვილ ქალთა საბჭოს ბულგარეთის ასოციაცია)

ეროვნული საკონრინინაციო საბჭო, რომელსაც 2022 წლის ივლისში, მთავრობის გადადგომამდე ვიცე-პრემიერი ხელმძღვანელობდა, დადებით მაგალითად და სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად განიხილება. ორგანიზაციებს „ძლივს პერიოდთ ადგილი, სადაც სახელმწიფოსთან საუბარი და განხილვა შეეძლოთ“ და „ჩვენს სათქმელს ისმენდნენ“. თუმცა, ეს ინიციატივა დიდხანს არ გაგრძელებულა და ამჟამად „[ორგანიზაციისთვის] არავის მიუმართავს“ და „ადმინისტრაცია ჩვეულ ქაოსს დაუზრუნდა“.

ამ საკითხებზე და სფეროში მუშაობის პარალელურად, სსო-ები კიდევ ერთ ბარიერს აწყდებიან: მზარდ პროპაგანდას, რომელიც გავლენას ახდენს ბულგარელების დამოკიდებულებაზე ლტოლვილების მიმართ. საზოგადოებრივ სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციების საერთო ნეგატიურ იმიჯთან დაკავშირებით, აქტივისტებს უწევდათ გაჭირვებულთათვის დახმარების გაწევის წინააღმდეგ უზარმაზარი პროპაგანდის ტალღის ატანაც: „მათ [ლტოლვილებს] ბევრი რამ ესმით საკუთარ თავზე და მართლაც სასოწარკვეთილნი არიან, რადგან მთელი ქვეყნის შეხედულებად ალიქვამენ“. შედეგად, მათ კიდევ უფრო მეტი გადასალახი ბარიერი ხვდებათ. სახელმწიფო, როგორც ჩანს, ორგანიზაციების ქმედებებს ხელშესახები მხარდაჭერის გარეშე ეყრდნობა და ბევრს არაფერს აკეთებს ამ პროპაგანდის სისტემატური და აშკარა წინააღმდეგობისთვის.

„მუშაობ, რაღაცას მიაღწევ და კიდევ ერთი კრიზისი მოდის. და ყოველთვის არის ვიღაც, ვინც არის პუტინის მხარდამჭერი და ანტილიბერალური დემოკრატიის მომხრე და ეწინააღმდეგება გეების უფლებებს. ჩვენ მიჩვეული ვართ ასეთ პირობებში მუშაობას“ (ბილიტის რესურს ცენტრის ფონდი)

6.8 პარტიონული ურთიერთობაბის დამყარება

წარმატებული პასუხი და გასაღები უკეთესი კოორდინაციისთვის, ქსელის მოქმედებისთვის, პრობლემების გადაჭრისა და მოგვარებისთვის, არის სხვადასხვა ორგანიზაციას შორის დამყარებული პარტიორობა:

„თითქმის შეუმჩნევლად დავიწყეთ მუშაობა ერთ სხვა ორგანიზაციასთან რუსეთან³⁰ და შეგძლით ყველა სხვა აქტივის ერთად ორგანიზება. ჩვენ ახლა ბავშვებისთვის საშობაო ზემსაც კი ვამზადებთ“. (ბავშვთა უფლებების ფონდი)

„ფიქრის ამ ნაკადში მე მოვიყვან მაგალითად იმ ინტეგრაციის ცენტრის შემთხვევას, რომელიც სიკეთის ფონდმა გახსნა. მათ ეს გააკეთეს ფაქტობრივად სამ დღეში და აჩვენეს, რომ როდესაც ადამიანს სურს და იგი ფიქრობს, როცა უნდა, რომ გააკეთოს რაღაც ხალხისთვის, მას შეუძლია მიზნის მიღწევა. ამავდროულად, როდესაც ადამიანთა ჯგუფი იკრიბება, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტორია, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს ამისთვის ადეკვატური პოლიტიკა და ადეკვატური ხალხი ამ პოლიტიკის განსახორციელებლად“. (პულსის ფონდი)

ერთად მუშაობისას ზოგიერთმა მათგანმა აღმოაჩინა უზარმაზარი მხარდაჭერა იმავე სფეროში მომუშავე ადამიანებისგან. გარდა ამისა, მიმართულების ნაკლებობამ და სახელმწიფოსგან მომდინარე ქაოსურმა ქმედებებმა გაისარდა განცდა, თითქოს ძირითადი გზა და მიმართულება იკარგებოდა. ასეთ პირობებში კომუნიკაცია და თანამშრომლობა BFW-თან, რომელიც მისი დაარსებული გადაუდებელი დახმარების ფონდის მეშვეობით, უზრუნველყოფდა რესურსებს უკანინელ ქალებთან და ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებისთვის, აღიქმებოდა, უკიდურესად პოზიტურად:

„გადაუდებელი დახმარების კამპანიის წყალობით, რომელიც BFW-მ წამოიწყო, ჩვენ გვაქვს და გვექნება რესურსი, რომელიც მოიცავს ჩვენი ორგანიზაციის ორ სივრცეს, პირველის რეიორგანიზაცია Covid-ის ირგვლივ მოხდა – და აქვეა მეორე, დამატებითი სივრცე, თუ შეიძლება ასე ვთქვა – რომელსაც ამჟამად ჩვენ ვუთმობთ უკანინელ ლტოლვილებს. ფაქტობრივად, ბულგარეთის ქალთა ფონდის წყალობით ვახერხებთ ფართთან დაკავშირებული ყველა ზედნადები ხარჯის დაფარგვას, მათ შორის, ერთ-ერთ ბინაში შევცვალეთ ავეჯი, რადგან საკმაოდ ძველი იყო“. (პულსის ფონდი)

არათანმიმდევრულმა პროცესებმა და სტაბილურობის ნაკლებობამ, რომელიც მოპყვა სახელმწიფოსთან რთულ კომუნიკაციას, განაპირობა BFW-ის მიერ ფინანსური რესურსების გამოყოფა და ხელმისაწვდომობა. ამან, თავის მხრივ, გამოიწყოა დაფინანსების მიმღები სსო-ების უკეთესი ფოკუსირება და სამოქმედო დაგეგმვარება. და-

³⁰ ქალაქი ბულგარეთში.

ფინანსება შესაფერის მომენტში გამოჩნდა, რადგან მოულოდნელი ომი და ჰუმანიტარული კრიზისი შეფერხებებსა და გაურკვევლობას ქმნიდა. ერთი კრიზისიდან მეორე კრიზისზე გადართვისას და გამკლავებისას, ასევე მათი პრიორიტეტების აუცილებელი ცვლისას, ორგანიზაციები აფექტისრებენ არასამედო და არასტაბილური გარემოთი გამოწვეულ ძირითად სირთულეებს. BFW-ის გადაუდებელი დახმარების ფონდზე დაყრდნობა განიხილება, როგორც „დამხმარე“, „საჭირო“ მხარდაჭერა, რომელიც ამსუბუქებს პრობლემური სიტუაციის შედეგებს.

„ეს გვაძლევდა სივრცეს და შესაძლებლობას, რომ გვეფიქრა და გაგვერძელებინა ჩვენი საქმიანობა.“ (ფონდი სიკეთისთვის)

„ჩვენ შევძელით უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე ფოკუსირება, რადგან ჩვეული ღონისძიები არ გვყავდა და არც ფული ჩანდა პორიზონტზე.“ (ასოციაცია „ცენტრი დინამიკა“)

6.9 მთავარი მიზანებები ორგანიზაციისთვის

განვლილი პროცესის გადახედვის და შეფასებისას, ყველა გამოკითხული ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ბოლო სამი წლის გამანავლობაში გადატანილი კრიზისი მათ პარტნიორობის რაოდენობის გაზრდაში დახმარა. ახლად დამყარებულ კონტაქტებთან ერთად, კიდევ ერთი დადებითი შედეგი ის უნარები და შესაძლებლობებია, რომლებიც კრიზისის დროს ჩამოყალიბდა (Pulse Foundation, Mission Wings, ბულგარეთის ჸელასინკის კომიტეტი): ინფრასტრუქტურა, ინდივიდუალური უნარებით, გაცნობიერებითა და ცოდნით აღჭურვა. ამას თან ახლავს ორგანიზაციული განვითარება, მენეჯმენტის სტრუქტურების, პროცესებისა და პროცედურების შემუშავება, არა მხოლოდ ორგანიზაციების შიგნით, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სექტორებს შორის ურთიერთობისას. ეროვნულმა საკორდინაციო ცენტრმა საბოლოოდ განაახლა თავისი საქმიანობა, მაგრამ ამ დროისთვის აშკარა იყო, რომ ორგანიზაციები სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერისა და კრიზისების მართვის ნაკლებობის კომპენსაციისთვის შიდა ძალისხმევას ეყრდნობოდნენ. ბევრი მათგანი პარტნიორული ურთიერთობების შექმნითა და გაძლიერებით აგრძელებს მუშაობას და შევძლია უზრუნველყოს მდგრადი შედეგები:

„2022 წელს მომხდარი ერთ-ერთი იშვიათად კარგი რამ, იყო ორგანიზაციებთან კონტაქტის დამყარებისთვის წამოწყებული ძალისხმევა. თუმცა, ეს ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა იმისათვის, რომ რაიმე შედეგი მიღწეულიყო. მაგრამ ეს ნამდვილად იყო კოორდინაციისა და მხარდაჭერის ჩამოყალიბების მცდელობა.“ (Za dobroto Foundation)

იქიდან გამომდინარე, რაც მთელი წლის განმავლობაში იქნა მიღწეული, ორგანიზაციები შემდგომი თანამშრომ-

ლობისა და მეტი შესაძლებლობების პოტენციალს ხედავენ. მიუხედავად არახელასყრელი პირობებისა, სსო-ები ასევე აღიარებენ, რომ ეს მათ მრავალი მიმართულებით განვითარებაში დახმარა და ბევრი კარი გაუდო:

„ბოლო 3-4 წლის განმავლობაში სხვა რაღაცების ხარჯე, ძალიან განვითარდით და კრიზისის დროს გუნდი შეკრული იყო. სხვა შემთხვევაში, ყოველთვის არის ვიღაც, ვინც რაღაცის კეთებისკენ გბბიძგებს. მაგრამ როდესაც კრიზისი მოდის, კოლეგებს ესმით, რომ ეს არ უნდა ხდებოდეს. სწორედ ეს არის განსხვავება“. (ბულგარეთის ლტოლვილ ქალთა ასოციაციის საბჭო)

„ომი საშინელი რამაა, მაგრამ მან ჩვენი ორგანიზაციისთვის ახალი პორიზონტები გახსნა. ჩვენ დიდი მოტივაციით ვმუშაობთ – ვხედავთ, რომ ამას აზრი აქვს და ყველაფერი საუკეთესოდ ხდება. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამან ჩვენზე ძალიან სასიკეთო გავლენა მოახდინა, წინ ბევრი სამუშაო და ახალი მიზანი გვაქვს“. (ფონდი „დიგნიტა“)

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ საჭიროების მქონე ადამიანებთან მუშაობის შემდეგ, სსოები სპეციალურ სოციალურ კავშირებს ქმნიან, რაც ორმხრივად მოგებიანია ორგანიზაციებისა და მათი სამიზნე ჯგუფებისთვის. ისინი აღნიშნავენ, რომ მოიპოვეს მჭიდრო პიროვნული კავშირები და მომავალში განვითარების პოტენციალის მქონე ურთიერთობები დაამყარეს. ამრიგად, ზოგადი შედეგი მეტწილად დადებითია – არ აქვს მნიშვნელობა სირთულეებს, არის მნიშვნელოვანი შედეგები.

„ზოგადად, ხალხი შეეჩინა ასეთ დაძაბულობას, უფრო გახსნილები გახდნენ, ცოტა ფრთხილები არიან იმასთან მიმართებით, თუ როგორ რეაგირებენ ნებისმიერ ინფორმაციაზე, ცოტა უფრო ანალიტიკურად ფიქრობენ. და ვფიქრობ, რომ ამან ბულგარეთის სსო-ების მხარდაჭერაში საკმაოდ დადებითი გავლენა იქნია უკრაინელებები. ახლაც საკმაოდ ბევრი უკრაინელი გვყავს, ჩვენთან მუშაობენ.“

„ნამდვილად ვხედავ რომ უფრო გახსნილები ხდებიან და რომ ლტოლვილებთან ერთად რაკიის გასაკეთებლადაც კი დადიან. პირიქით, ამ სიტუაციაში დადებითს ვხედავ. მაგრამ არ ვიცი, მზად ვართ თუ არა შემდეგი კრიზისისთვის, იმედია დრო გვიჩვენებს“. (Mission Wings Foundation)

6.10 ძირითადი მიზანებები

1. რუსეთის შემოჭრა ბულგარეთის სსო-ების არასტაბილურ პირობებს დაემთხვა, თუმცა მათ მოახერხეს თავიანთი რესურსების ადაპტირება პოსტ COVID-19-ის პანდემიის ვითარებასთან.
2. სფეროში მომუშავე სსო-ებმა და აქტივისტებმა, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ადამიანის უფლებების დაცვის ძირითად ინციდენტებზე, განახლების უკრაინელი კრიზისისთვის, იმედია დრო გვიჩვენებს.

- ყოველგვარი სტრატეგიისა და გეგმის გატარების გარეშე;
3. მაშასადამე, ლტოლვილებთან ურთიერთობა და მხარდაჭერა ძირითადად ეფუძნება არა წინასწარ განსაზღვრულ სამოქმედო გეგმას, არამედ ჰუმანიტარული ორგანიზაციისა და აქტივისტის მიერ აღქმულ ორგანიზაციულ საფუძველს. ეს იწვევს ორგანიზებული ქმედებების ნაკლებობას და ძალიან ხშირად გადაწვას, რადგან ასეთი ქმედებების განსახორციელებლად საჭირო შესაძლებლობები და რესურსები არ არის საკმარისად დაგეგმილი და მხარდაჭერილი;
 4. ბულგარეთის სსო-ები აღჭურვილი არიან ახლად წარმოქმნილი საჯარო კრიზისის დასაძლევად: მათთვის ბარიერის შემქმნელი საჭიროებების მქონეთა მიმართ გაუწინასწორებელი და არასინქრონული სახელმწიფო მიდგომაა;
 5. ომის დაწყებისთვის, აქტივისტებმა მიიღეს არასამთავრობთა და მოქალაქეების უზარმაზარი მხარდაჭერა, რომელიც, მდგრადი შედეგების მისაღწევად, მართვასა და ორგანიზებას საჭიროებდა. უმრავლესობა არის არა-დაფინანსებული და ეყრდნობა მოხალისეობრივ ქმედებებს სხვადასხვა წყაროებიდან: მეგობრები, მოკავშირეები, კერძო დონორები.
 6. მთელი წლის განმავლობაში, დახმარების საჭიროების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის განვითარებით, ორგანიზაციები იქცნენ ერთადერთ ძირითად კონტაქტად ისეთი სოციალური სერვისებისთვის, როგორებიცაა განათლება, სოციალური უზრუნველყოფა და ჭანდაცება;
 7. სახელმწიფო შეუმჩნეველი რჩებოდა და თავის გეგმარებაში ქაოტურად მოქმედებდა და არ უზრუნველყოფდა საკმარის მხარდაჭერას ორგანიზაციების გადაუდებელი საჭიროებებისთვის;
 8. ამჟამად სახელმწიფო მხოლოდ ლტოლვილების განსახლებაზე ზრუნავს და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ვერაფერს ახერხებს.
 9. სახელმწიფოს და საზოგადოების ძირითად დაინტერესებულ მხარეებს არ გააჩნიათ რამე გეგმა და მიმართულება, თუ როგორ მოახდინონ რეაგირება და როგორ იურთიერთონ დახმარების საჭიროების მქონე ადამიანებთან. „ჩვენ ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ სახელმწიფოს საქმის კეთება გვიწევს. თუმცა, ეს ორი სფერო რჩება დამოუკიდებლად და არ არსებობს საერთო საფუძველი, თუ რა ნაწილში ითავსებენ სსო-ები სახელმწიფოს საქმეს და პირიქით. ამრიგად, მათი საერთო სფერო რჩება ფრაგმენტული და არასტაბილური.
 10. სსო-ების საქმიანობის ყველაზე წარმატებული მაგალითები ისინია, რომლებიც ორიენტირებულია კონკრეტულ მიზანსა და შედეგზე: მაგ., შრომის ბარაზე ინტეგრაციის კამპანიების ორგანიზება, სკოლის ინკლუზიური აქტივობები, განათლება ბულგარულ ენაზე და ა.შ.
 11. ორგანიზაციების უმრავლესობა ამჟამად ყურადღებას ამახვილებს ბულგარეთის საზოგადოებასთან ინტეგრაციული კავშირების გაძლიერებაზე და ინსტიტუციური მხარდაჭერის ძიებაზე მათი სამიზნე კვუფების ყოველდღიური საჭიროებებისთვის, როგორიცაა ბავშვების სკოლაში ინტეგრაცია, ჭანდაცვისა და სასამართლო სერვისები, შრომის ბაზარზე ინტეგრაცია. და ა.შ.
 12. ასეთ საგანგებო ვითარებაში, ძირითადი დაფინანსების და რესურსების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა სსო-ებისთვის სირთულეებს იწვევს და ისინი უფრო მოქნილ და ადვილად მისაწვდომ ფინანსურ წყაროებს ეძებენ.
 13. ქალთა/ადამიანის უფლებები: ადამიანის უფლებათა აქტივისტების უფრო ფართო კონკრეტის ფარგლებში, ორგანიზაციებმა ძირითადი საქმიანობიდან ყურადღება გადაიტანეს, რაც ძალიან პრობლემურია სოციალური ცვლილებებისა და სამართლიანობის მისაღწევად. სიტუაცია მოითხოვდა დაუყოვნებლივ მოქმედებას, ჰუმანიტარული კრიზისის გამოვლენას და ადამიანთა უზარმაზარ კვუფზე ზრუნვას, რამაც მათი ძირითადი საქმიანობის უგლებელყოფა გამოიწვია. თუმცა, მათი სამიზნე კვუფები ძირითადად საჭიროებების მქონე ბავშვების დედები არიან და, როგორც ასეთი, ძირითადი საქმიანობა უგულებელყოფილი არ არის, არამედ აღიქმება არსებული სიტუაციის მიზნებისათვის წინასწარ განსაზღვრულად.
 14. კანონმდებლობის განახლება: ბულგარეთის მიგრაციის ამჟამინდელ კანონს სასწრაფო ადაპტაცია სჭირდება, რადგან მას არ გააჩნია პროცედურები და ინსტიტუციური შესაძლებლობები, იმის შესახებ, თუ როგორი და რა ნაბიჯებია საჭირო ადმინისტრირებისთვის.
 15. ნამდვილად ღირს იმის შესწავლა, გრძელვადიან პერსპექტივული როგორ იმოქმედებს სამოქალაქო საზოგადოებასა და ორგანიზაციებზე გაზრდილი საერთაშორისო, ეროვნული, ზოგ შემთხვევაში, ფრანგისური მხარდაჭერა, რომელიც დაკავშირებულია ისეთ კრიზისებთან, როგორებიცაა პანდემია და ომი.

6.11 ძირითადი რეკომენდაციები

1. გამოიყენეთ უახლესი კრიზისიდან ახლად დამყარებული კონტაქტები და პარტნიორობა და განავითარეთ ახალი უნარები და შესაძლებლობები.
2. ჰუმანიტარულ კრიზისთან დაკავშირებით, ჩამოაყალიბეთ პროაქტიული მიდგომა სახელმწიფოს მიმართ, როგორიცაა თანამშრომლობა და კოორდი-

- ნაცია უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ომის ეკონომიკური შედეგების თავიდან ასაცილებლად.
3. იმუშავეთ საგანგებო ვითარების დროს მთავრობისა და სსო-ების მოვალეობებში კონკრეტული განსხვავების დასადგენად.
 4. იბრძოლეთ, რათა შეიცვალოს მიგრაციის კანონი და გაუმჯობესდეს პირობები, რომელშიც თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები დახმარებას იღებენ.
 5. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროა განხილული იქნას ორ მთავარ მოთამაშეს შორის ზედამხედველობითი ურთიერთობასუსაბჭებლობის მექანიზმი.
 6. ადგოკატირება მთავრობებსა და ფილანთრობიასთან მათზე გავლენის მოხდენის მიზნით და მეტი და მოქნილი, მრავალწლიანი ოპერაციული მხარდაჭერისთვის.
 7. უკეთესი კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების არხებზე მარტივი წვდომის ადგოკატირება, რათა აღმოიფხვრას კოორდინაციის ნაკლებობა და ყველაზე გადაუდებელი ამოცანების შეფერხება – არა მხოლოდ საგანგებო სიტუაციების დროს, არამედ ზოგადად. ყოფილი ხელისუფლების მიერ მართული ეროვნული საკოორდინაციო ცენტრი შეფასებულია, როგორც პოზიტიური ნაბიჯი საზოგადოების წინაშე მდგარი სხვადასხვა ტიპის კრიზისის მართვის საქმეში.
 8. მიმართეთ გუნდში ხშირ კომუნიკაციას ნებისმიერ მომავალ ცვლილებებთან დაკავშირებით, ასევე იმუშავეთ უფრო დაბალანსებული და მიზანმიმართული ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნისთვის, ფოკუსირება მოახდინეთ საჭირო უნარებისა და რესურსების შენარჩუნებაზე იმ პრობლემებისთვის, რომლებზე მუშაობაც მათ უწევთ.
 9. პარტნიორობა და თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციასთან უნდა განიხილებოდეს, როგორც დადებითი ნიშანი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ორგანიზაციების საერთო მოტივაციის შესანარჩუნებლად. ასეთი პარტნიორობისა და პოტენციური კოალიციების გააქტიურება მომავალში შესწავლილ და გატესტილ უნდა იქნას ადვოკატირების დაგეგმვისას.
 10. ორგანიზაციებს შორის გაზიარებული ცოდნა და ტრენინგები შეიძლება ასევე განიხილებოდეს, როგორც შემდგომი შესაძლებლობების განვითარების საშუალება.
 11. მოქნილი და ადვილად გამოსაყენებელი დაფინანსება, როგორც ჩანს, ძალიან საჭიროა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სფეროში. სსო-ებმა ასევე უნდა განიხილონ გადაუდებელი დახმარების ერთობლივი ფონდის შექმნაში (ერთობლივი დაფინანსება), მონაწილეობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კამპანიების მხარდაჭერისთვის.

ბიბლიოგრაფია

- Demydova, V. Alexei Navalny and Protests in Russia: Growth of Online Activism Under the Authoritarian System. *Gaziantep University Journal of Social Sciences*, 20 (4), (2021): 1970–1987. DOI: 10.21547/jss.881872
- Deutsche Welle, Russia tightens legislation on “foreign agents”, 29.06.2022. Last retrieved on 27.07.2022 <https://bit.ly/3cySWJC>
- Economic Pravda. DTEK urged Ukrainians to think about going abroad in order to reduce the load on the energy system, 19 November 2022, <https://www.epravda.com.ua/news/2022/11/19/694029/>
- Keane, John. Civil Society, Definitions and Approaches. In: Anheier H.K., Toepler S. (eds) *International Encyclopedia of Civil Society*. (2010): Springer, New York, NY. https://doi.org/10.1007/978-0-387-93996-4_531
- Kozlov, Sergey. The History of the Transformation of Internet Activism in Belarus (on the Example of Political Protests of 2020–2021). *ISTORIYA*. 12. (2021): 10.18254/S207987840016255-9.
- Kyiv Post. Ukrainian Refugees Should Not Return in Winter – Deputy Prime Minister. 26 October 2022, <https://www.kyivpost.com/ukraine-politics/ukrainian-refugees-should-not-return-in-winter-deputy-prime-minister.html>
- Matveieva, Olga, and Vasil Navumau. „NINE: How Governments’ Response to the Pandemic Exacerbate Gender Inequalities in Belarus and Ukraine: Comparative Analysis of Minsk and Kyiv Cases“. In *Volume 1: Community and Society*, (Bristol, UK: Bristol University Press, 2021) accessed Jul 27, 2022, <https://doi.org/10.5195/9781529218893.ch009>
- Mazepus, H., Dimitrova, A., Frear, M., Chulitskaya, T., Keudel, O., Onopriychuk, N., & Rabava, N. (2021). Civil society and external actors: how linkages with the EU and Russia interact with socio-political orders in Belarus and Ukraine. *East European Politics*, 37(1), 43–64. <https://doi.org/10.1080/21599165.2021.1873780>
- Netgazeti.ge რატომ და ვისთვის ხსნიან რუსეთის მოქალაქეები ახალ სივრცეებს თბილისში, 12 სექტემბერი, 2022, Last retrieved on 13 September 2022 <https://bit.ly/3f1mhW>
- Organizations, <https://eca.unwomen.org/en/digital-library/publications/2022/03/rapid-assessment-impact-of-the-war-in-ukraine-on-womens-civil-society-organizations>
- Patrick Saez. Navigating humanitarian dilemmas in the Ukraine crisis. May 2022, https://cdn.odi.org/media/documents/Navigating_Ukrainian_dilemmas_in_the_Ukraine_crisis.pdf
- Public Defender’s Office in Georgia, 2021, Annual Report on The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia 2020
- Public Defender’s Office in Georgia, The Influence of Covid Pandemic on Conflict-affected Women and Girls, 2021, Last retrieved 31 August, 2022 <https://bit.ly/3KwCR40>
- ReliefWeb, OCHA Services. Ukraine Situation Flash Update #33 (21 October 2022), <https://reliefweb.int/report/ukraine/ukraine-situation-flash-update-33-21-october-2022>
- Salmenniemi, Suvi. “Civic Activity – Feminine Activity?: Gender, Civil Society and Citizenship in Post-Soviet Russia.” *Sociology* 39, no. 4 (October 2005): 735–53. <https://doi.org/10.1177/0038038505056030>.
- Tabidze N. Employment and Labor Rights of LGBTQI Community (In the Context of Covid-19 Pandemic), 2021, Equality Movement: Tbilisi, Last retrieved August 31, 2022 <http://www.equality.ge/en/7404>
- Ukrainian News. Almost 50% Of Ukraine’s Power System Disabled By Russian Missiles – Shmyhal. 18 November 2022, <https://ukranews.com/en/news/896078-almost-50-of-ukraine-s-power-system-disabled-by-russian-missiles-shmyhal>
- UN Women, 2020. Assessment of capacity building needs of women’s groups and civil society organisations that advocate gender equality and women’s rights in Ukraine, https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20eca/attachments/publications/2020/05/cso_capacity_assessment Ukr.pdf?la=en&vs=4350
- UN Women, 2022, Rapid Assessment: Impact of the War in Ukraine on Women’s Civil Society
- UN Women, 2022, Operational gender analysis of the situation in Ukraine: review of secondary data, https://eca.unwomen.org/sites/default/files/2022-05/UNWomen_BRIEF_A4_2022_UKR-1.pdf
- USAID/Ukraine Gender Equality and Social Inclusion (GESI) Analysis Findings and Recommendations. Technical Brief. Democracy and Governance. February 2023
- Wikipedia, Список иностранных агентов (Россия). 25.07.2022. Last retrieved on 27.07.2022 <https://bit.ly/3cD9jVv>
- Bulgaria to the rescue: How the EU’s poorest country secret-

- ly saved Ukraine (2023), <https://www.politico.eu/article/bulgaria-volodymyr-zelenskyy-kiril-petkov-poorest-country-eu-ukraine/>, last retrieved on 12.02.2023
- Russia halts gas supplies to Poland and Bulgaria <https://www.reuters.com/world/poland-bulgaria-face-russian-gas-cut-ukraine-crisis-escalates-2022-04-26/>, last retrieved on 15.02.2023
- Bulgaria economy briefing: Overview of the Bulgarian Economy in 2022, <https://china-cee.eu/2022/12/19/bulgaria-economy-briefing-overview-of-the-bulgarian-economy-in-2022/>, last retrieved on 10.02.2023
- UN report details horrifying Ukrainian accounts of rape, torture and executions by Russian troops, <https://www.cnbc.com/2022/10/28/russia-ukraine-war-un-report-details-accounts-of-rape-torture-and-executions.html>, last retrieved on 11.11.2022
- Украински бежанци напразно се редят на опашки за временна закрила, <https://www.segabg.com/hot/category-bulgaria/ukrainski-bezhanci-naprazno-se-redyat-na-opashki-za-vremenna-zakrila>, last retrieved on 01.11.2022
- Coombs, Tymothy. "State of Crisis Communication: Evidence and the Bleeding Edge", Research Journal of Public Relations, Vol.1, No. 1 (Summer 2014), Institute for Public Relations
- MEASURE Evaluation Project, LaFond Anne, Brown Lisanne A Guide to Monitoring and Evaluation of Capacity-Building Interventions in the Health Sector in Developing Countries, March 2003
- Philbin, Ann Capacity Building and Social Justice Organizations
- Sheehan, James. NGOs and participatory management styles: a case study of CONCERN Worldwide, Mozambique. CVO International Working Paper Number 2, 1998
- Weiss,T. Governance, Good Governance and Global Governance: Conceptual and Actual Challenges: Third World Quarterly, Vol. 21, No. 5 (Oct., 2000), pp. 795–814
- Wolch, Jennifer. Decentering America's Nonprofit Sector: Reflections on Salamon's Crises Analysis. *Voluntas: International Journal of Voluntary and Nonprofit Organizations*, volume 10, pp. 25–35 (1999)

ავტორები:

გეორგი მანდიჩევი, ბულგარეთი
მაია წუკრი ტაბიძე, საქართველო
მიხაილ კორიუკალოვი, უკრაინა

რედაქტორები: რადა ელენკოვა და ალექსანდრა სტანკოვა

პროექტის კოორდინატორი:

ბულგარეთი: ბულგარეთის ქალთა ფონდი, რადა ელენკოვა

პროექტის ასისტენტი:

ბულგარეთი: ბულგარეთის ქალთა ფონდი, ალექსანდრა სტანკოვა

კოორდინატორები ქვეყნების მიხედვით:

უკრაინა: ქალთა ფონდი უკრაინაში, ოლესია ბონდარი

საქართველო: ქალთა ფონდი საქართველოში, ნინო ცეკვურიშვილი

საქართველო: ფონდი „ტასო“, ნინო ასათაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი: ატანასკა სტანკოვა

დიზაინი: ვლადიმირ ვატკოვი, Procreative Studio

კომპიუტერული უზრუნველყოფა: სოფო ვაშაკიძე

მთარგმნელი: მარიამ პაიჭაძე

„იკითხე სტრიქონებს შორის“ (პოსტ) პანდემიური ეკონომიკური გავლენა
ქალთა უფლებადაცვით ორგანიზაციებზე ბულგარეთში, საქართველოსა
და უკრაინაში“ დაფინანსებულია Black Sea Trust-ის მიერ, რომელიც
შეერთებული შტატების გერმანული მარშალის ფონდის პროექტია და
თანადაფინანსებულია ევროკომისიის მიერ.

ამ ჰებლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს
Black Sea Trust-ისა და მისი პარტნიორების შეხედულებებს.